

დისკრიმინაციისგან დაცვის უფლების განხორციელება სხვადასხვა ჯგუფისთვის საქართველოში

2021 წლის ანგარიში

ღია საზოგადოების ფონდი
კოალიცია თანასწორობისთვის
საფარი SAPARI

დისკრიმინაციისგან დაცვის უფლების განხორციელება სხვადასხვა ჯგუფისთვის საქართველოში

2021 წლის ანგარიში

„კოალიცია თანასწორობისთვის” არაფორმალური გაერთიანებაა, რომელიც 2014 წელს საქართველოს ღია საზოგადოების ფონდის ხელშეწყობით შეიქმნა და თერთმეტ არასამთავრობო ორგანიზაციას აერთიანებს. კოალიციის წევრები არიან: საქართველოს ღია საზოგადოების ფონდი, სოციალური სამართლიანობის ცენტრი (ყოფილი EMC), უფლებები საქართველო, „საფარი“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA), ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი (WISG), პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის (PHR), საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI), ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI), ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRC), თანასწორობის მოძრაობა. კოალიციის მიზანი ანტიდისკრიმინაციული მექანიზმების მანდატის გაძლიერება და დისკრიმინაციასთან ეფექტიანი ბრძოლის ხელშეწყობაა. 2015 წელს, ახლადდაფუძნებულმა “კოალიციამ თანასწორობისთვის” და საქართველოს სახალხო დამცველმა ხელი მოაწერეს დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს.

ანგარიში გამოცემულია საქართველოს ღია საზოგადოების ფონდის მხარდაჭერით. ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა, არ გამოხატავდეს ფონდის პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

სარჩევი

შესავალი . . . 9
- მეთოდოლოგია . . . 11
- ძირითადი მიგნებები . . . 13

ბავშვები . . . 19
- კოვიდ 19-ის პანდემია და ბავშვთა უფლებები . . . 21
  - სოციალური დაცვის უფლება . . . 21
  - განათლების უფლება . . . 22
- დიდი ზომის რეზიდენტული დაწესებულებები . . . 23
- რეკომენდაციები . . . 26

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები . . . 29
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კონვენციის იმპლემენტაცია . . . 31
- ფსიქიკური ჯანმრთელობა და დეინსტიტუციონალიზაცია . . . 32
- სოციალური დაცვა . . . 33
- განათლება . . . 34
- დასაქმება . . . 35
- მისაწვდომობა . . . 36
- შშმ ქალები და გოგოები . . . 36
- რეკომენდაციები . . . 37

ქალები . . . 39
- ქალთა უფლებები საერთაშორისო მექანიზმებთან . . . 41
- სქესობრივი ძალადობა და სქესობრივი ხასიათის დანაშაულები . . . 43
- ქალთა მიმართ ეკონომიკური ძალადობა . . . 43
- ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა . . . 44
- რეკომენდაციები . . . 45

ლგბტ(ქ)ი ადამიანები . . . 47
- კოვიდ-19-ის პანდემიის გავლენა ლგბტ(ქ)ი ადამიანების ცხოვრებაზე . . . 49
- ჰომო/ბი/ტრანსფობიური ძალადობა . . . 49
- ტრანსი ადამიანები . . . 51
- შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება . . . 52
- რეკომენდაციები . . . 54

არადომინანტი რელიგიური გაერთიანებები 57
- რელიგიური ორგანიზაციების და სასულიერო პირების სავარაუდო უკანონო თვალთვალი და მიყურადება 59
- უთანასწორობა საქართველოს კანონმდებლობაში 60
- ბათუმის ახალი მეჩეთის მშენებლობასთან დაკავშირებული საკითხი 61
- რელიგიური დღესასწაულები 62
- სავარაუდო სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულები 62
- საეკლესიო ანტისემიტიზმი 64
- კრიზისი ჭყონდიდის ეპარქიაში და სასულიერო პირების უფლებების შეზღუდვის ფაქტები 65
- რეკომენდაციები 66

ეთნიკური უმცირესობები 69
- დაბალი მონაწილეობა და გაუცხოება 71
- სოციალური კონფლიქტები და თემთა შორის ნდობის მშენებლობა 73
- მძიმე სოციალური ყოფა 74
- რეკომენდაციები 76

უცხოელები 77
- სახელმწიფო უსაფრთხოება 79
- საქართველოს საზღვრის კვეთა 80
- უცხოელი სტუდენტების უფლებრივი მდგომარეობა 81
- ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა და COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაცია 83
- ცვლილებები „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონში . . . 84
- რუსეთში ექსტრადიციის შემაშფოთებელი პრაქტიკა 84
- რეკომენდაციები 85

კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობა და დევნილები 87
- სამშვიდობო პოლიტიკა 89
- უფლების დარღვევის პრაქტიკები 90
- გამყოფ ხაზთან მცხოვრები მოსახლეობა 92
- დევნილები 92
- რეკომენდაციები 93

უფლებადამცველები და აქტივისტები 95
აქტივისტთა უფლებრივი მდგომარეობა 97
ადმინისტრაციული წესით დაკავების უკანონო პრაქტიკა 97
აქტივისტების საქმეების განხილვა სასამართლოში 98
ადმინისტრაციული სანქციების გამკაცრება 100
უფლებადამცველების უფლებრივი მდგომარეობა 101
რეკომენდაციები 102

მედია 105
მედიის წარმომადგენლების უსაფრთხოებასთან
დაკავშირებული მდგომარეობა 107
უკანონო მოსმენები ჟურნალისტების მიმართ 109
გამოხატვის თავისუფლების მარეგულირებელი
კრობლემური ინიციატივა 110
საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიდგომები . . . 111
ცილისწამება, როგორც მედიის წინააღმდეგ ბრძოლის
ახალი იარაღი 112
რეკომენდაციები 112

უსახლკარო პირები 115
უსახლკარობის მიზეზები საქართველოში 117
უსახლკარობასთან ბრძოლის სახელმწიფო პოლიტიკა 117
რეკომენდაციები 121

შესავალი

2014 წლის 2 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „დისკიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“, რომლის მიზანია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა. კანონის მიღების შემდგომ, „კოალიცია თანასწორობისთვის“ ყოველწლიურად სწავლობს ადამიანების ცალკეულ ჯგუფთა თანასწორობის უფლების თვალსაზრისით არსებულ მდგომარეობას და ამზადებს შესაბამის ანგარიშებს.

წარმოდგენილი ანგარიში რიგით მეექვსეა და აფასებს 2021 წელს საქართველოში ცალკეულ ჯგუფთა თანასწორობის უფლების რეალიზებისა და დისკრიმინაციასთან ბრძოლის კუთხით არსებულ მდგომარეობას.[1] ანგარიშში გაანალიზებულია 2021 წლის ტენდენციები, რომელმაც გავლენა იქონია ცალკეულ ჯგუფთა უფლებრივ მდგომარეობაზე, კერძოდ, ის წინგადადგმული ნაბიჯები და არსებული გამოწვევები, რომელიც უკავშირდება სახელმწიფოს ანტიდისკრიმინაციულ პოლიტიკას, ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობას, პრაქტიკას და მოწყვლადი ჯგუფების ყოველდღიურ ყოფას.

„კოალიცია თანასწორობისთვის“ იმედს გამოთქვამს, რომ ანგარიში დაეხმარება შესაბამის სახელმწიფო უწყებებს დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად ქმედითი ღონისძიებების გატარებაში და ნებისმიერი პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფაში.

მეთოდოლოგია

წინამდებარე ანგარიში მოიცავს პერიოდს 2021 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, მასში გაანალიზებულია ცამეტი მოწყვლადი ჯგუფის უფლებრივი მდგომარეობა, კერძოდ: ბავშვები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, ქალები, ლგბტქი ადამიანები, არადომინანტი რელიგიური გაერთიანებები, ეთქნიკური უმცირესობები, უცხოელები, კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობა და დევნილები, უფლება-

1. 2020 წლის ანგარიში ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3pE11Bq

დამცველები და აქტივისტები, მედიასაშუალებები/წარმომადგენლები და უსახლკარო პირები.

„კოალიცია თანასწორობისთვის“ წევრი ორგანიზაციები აქტიურად სწავლობდნენ აღნიშნული ჯგუფების უფლებრივ მდგომარეობას 2021 წლის განმავლობაში. შესაბამისად, ანგარიშშიც მხოლოდ ამ ჯგუფებთან დაკავშირებით არსებული სიტუაციის შეფასებაა მოცემული, რაც არ გამორიცხავს სხვა, წინამდებარე ანგარიშში არაიდენტიფიცირებული ჯგუფების მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობის არსებობას.

ანგარიშში მოცემული ჯგუფების უფლებრივი მდგომარეობა შეფასებულია ეროვნული სტანდარტების, პრაქტიკისა და საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების ერთობლივი ანალიზის გზით. თითოეულ ჯგუფთან მიმართებით, კოალიცია ასევე წარმოადგენს რეკომენდაციებს სახელმწიფოს მიერ დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად კონკრეტული მიმართულებების შექმნის, გაძლიერებისა და გაუმჯობესების მიზნით.

ანგარიშში წარმოდგენილი მსჯელობა ეფუძნება შემდეგი წყაროებიდან მიღებულ ინფორმაციას:

- **საჯარო ინფორმაცია** – კოალიციის წევრმა ორგანიზაციებმა სხვადასხვა უწყებიდან გამოითხოვეს საჯარო ინფორმაცია, რომლის ანალიზიც აისახა ანგარიშში;

- **სამართალწარმოება** – ანგარიშში მოცემული შეფასებები ასევე ეყრდნობა კოალიციის წევრი ორგანიზაციების წარმოებაში არსებული საქმეების მასალებს და სამართალწარმოებისას გამოკვეთილ ხარვეზებს;

- **კანონმდებლობისა და რელევანტური საერთაშორისო სტანდარტების ანალიზი** – ანგარიში ცალკეულ ჯგუფთა თანასწორობის უფლებას აფასებს საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო სტანდარტების მიმოხილვის საფუძველზე.

ანგარიში ასევე ეფუძნება საქართველოს სახალხო დამცველისა და სხვა ავტორიტეტული ორგანიზაციების ანგარიშებს/კვლევებს/რეკომენდაციებს.

ძირითადი მიგნებები

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მთავრობას ჯერ კიდევ არ მიუღია ადამიანის უფლებათა დაცვის ახალი სტრატეგია და მისი სამოქმედო გეგმა, საანგარიშო პერიოდში შემუშავდა სამოქალაქო თანასწორობის და ინტეგრაციის ათწლიანი (2021-2030) სტრატეგია და ამავე სტრატეგიის ორწლიანი სამოქმედო გეგმა (2021-2022)[2]. თუმცა, წინა წლის მსგავსად, ქმედითი ნაბიჯები ადამიანების ცალკეულ ჯგუფთა თანასწორობის უფლების რეალიზებისა და დისკრიმინაციასთან ბრძოლის კუთხით არც 2021 წელს გადადგმულა. შესაბამისად, ქვეყანაში თანასწორობის უფლების თვალსაზრისით არსებული მდგომარეობა კვლავ კრიტიკული იყო.

კოვიდ-19-ის პანდემიამ ბავშვის უფლებების დაცვის მდგომარეობა საქართველოში ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა. პანდემიამ კიდევ უფრო გამოააშკარავა და დაამძიმა ის სისტემური პრობლემები, რომელიც არსებობს განათლების მისაწვდომობის, სოციალური დაცვისა და ბავშვთა სიღარიბის, ოჯახების მხარდაჭერისა და ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების უფლებების დაცვის მიმართულებით. პანდემიით გამოწვეული კრიზისის დასაძლევად საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებები, რომელიც ძირითადად ერთჯერადი სახის იყო, არ შეიძლება, ჩაითვალოს ბავშვის უფლებების ეფექტური დაცვის საშუალებებად. უმეტესად, ხელისუფლების მიერ გატარებული ღონისძიებები იყო დაგვიანებული და არ ატარებდა პრევენციისა და რისკების შემცირების მიზანს.

2021 წელს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების მიმართულებით გარკვეული წინ გადადგმული ნაბიჯების მიუხედავად, ამ პირთა უფლებრივი მდგომარეობა არც ერთი მიმართულებით საგრძნობლად დადებითად არ შეცვლილა. შშმ პირებისთვის პრობლემურია თითქმის ყველა უფლება და საზოგადოებრივი ცხოვრების სფერო, რაც სახელმწიფოს არაეფექტიანი და არასისტემური პოლიტიკით, აგრეთვე ერთიანი ინსტიტუციური ჩარჩოს არარსებობით არის განპირობებული. ამ პირებისთვის გამოწვევად რჩება მისაწვდომობა საჯარო სივრცეებზე, დასაქმების ადგილებზე, განათლებასა და ფსიქიკური ჯანმრთელობისა თუ სოციალური დაცვის სერვისებზე. ამასთან, სტატუსის მინიჭების ბიოფსი-

2. სტრატეგია და სამოქმედო გეგმა ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3OutTpO

ქოსოციალური მოდელის დანერგვისთვის კვლავ დიდი დროითი ინტერვალია გათვალისწინებული.

რაც შეეხება ქალებს, 2020 წლის მსგავსად, 2021 წელიც გამოირჩეოდა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ საქართველოში გენდერული თანასწორობის თვალსაზრისით არსებული მდგომარეობის შეფასების ფარგლებში განხორციელებული აქტივობებით. ამასთან, 2021 წელს, საქართველოს წინააღმდეგ წარდგენილ ორ საერთაშორისო საქმეზე დადგინდა, რომ საქართველომ ვერ უზრუნველყო ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვა და, შესაბამისად, საერთაშორისო შეთანხმებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება. წინა წლების მსგავსად, ქალთა მიმართ სქესობრივი ძალადობა გენდერული ძალადობის ერთ-ერთ ყველაზე მძიმე, დაფარულ და დაუსჯელ ფორმად რჩება, რაც გამოწვეულია არსებული საკანონმდებლო, სტრუქტურული და სისტემური პრობლემებით. ამასთან, უხილავ და შეუსწავლელ პრობლემად რჩება ქალთა მიმართ ეკონომიკური ძალადობა. პოზიტიურ სიახლეს წარმოადგენს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გენდერული კვოტების წინააღმდეგ წარდგენილი სარჩელის დაუშვებლად ცნობა. თუმცა, „საარჩევნო კოდექსში“ მოულოდნელად შეტანილი ცვლილებებით, ქალთა საზიანოდ შეიცვალა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის პარტიული (პროპორციული) სიების შედგენის წესი.

საქართველოში კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება ლგბტ(ქ)ი პირთა უფლებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებული არაერთი საკითხი. თემის წევრები განიცდიან დისკრიმინაციას, გარიყვას, სიძულვილით მოტივირებულ ძალადობას, სისტემურ ჩაგვრას, რაც სახელმწიფოს არასისტემური და მხოლოდ რეაქციული ინტერვენციის პოლიტიკით განპირობებული შედეგია. საქართველოში ბოლო წლებში ჩატარებული კვლევების შედარებითი ანალიზი ცხადყოფს, რომ 2018 წლიდან 2021 წლამდე პერიოდში, ლგბტ(ქ)ი პირთა უფლებების დაცვის მიმართ საზოგადოებრივ განწყობებში გარკვეული პოზიტიური ცვლილებები შეინიშნება.[3] ამის

3. მაგალითად, ევროპის საბჭოს კვლევის თანახმად, 2021 წელს გამოკითხულთა 47% მიიჩნევს, რომ ლგბტ(ქ)ი პირთა უფლებების დაცვა მნიშვნელოვანია, შედარებით 2018 წელთან, როცა აღნიშნულს მხოლოდ 33% ამბობდა. იხ. „სიძულვილით მოტივირებული დანაშაული, სიძლვილის ენა და დისკრიმინაცია საქართველოში: ცოდნა და დამოკიდებულება“, კვლევის ანგარიში მისაწვდომია შემდეგ ბმულზე: https://bit.ly/3jqOnkT წყარო ბოლოს ნანახია: 14.04.2022.

მიუხედავად, საზოგადოებაში კვლავ მაღალია ჰომოფობიური განწყობები[4]. სახელმწიფოს ადამიანის უფლებათა დაცვის პოლიტიკა არ ითვალისწინებს საზოგადოებაში ჰომო/ბი/ტრანსფობიური განწყობების გარდატეხისკენ მიმართულ ღონისძიებებს. ფორმალური განათლების დონე არ აჩვენებს წრფივ კავშირს ცოდნასთან, მითებისა და სტერეოტიპების გავრცელებასთან, რაც მიანიშნებს, რომ განათლების სისტემა არ წარმოადგენს გენდერისა და სექსუალობის შესახებ ცოდნის კვლავწარმოების საფუძელს[5], რაც შესაძლოა, მნიშვნელოვანი ფაქტორი ყოფილიყო ჰომო/ბი/ტრანსფობიური განწყობების ცვლილებისთვის.

2021 წელს, მიმდინარე მწვავე პოლიტიკური პროცესების, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების და პანდემიის ფონზე, კიდევ უფრო კრიტიკულად წარმოჩნდა რელიგიისა და რწმენის თავისუფლების და სეკულარობის პრინციპის დაცვის პრობლემაც. საჯარო სივრცეში გამოქვეყნებულმა. სავარაუდოდ, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ფაილებმა, ცხადყო, რომ ხელისუფლება ტოტალურად აკონტროლებს რელიგიური ორგანიზაციების საქმიანობას. ამავდროულად, წინაასარჩევნო პერიოდში, განსაკუთრებულად თვალშისაცემი იყო მართლმადიდებელი ეკლესიის მაღალი რანგის სასულიერო პირების მონაწილეობა მმართველი პარტიის საარჩევნო შეკრებებში. წლის მნიშვნელოვან საკითხებად, ასევე, შეიძლება, გამოიყოს რელიგიური დანიშნულების ნაგებობების მშენებლობა, საჯარო სკოლებში რელიგიური ნეიტრალობის დაცვა, შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულების დროული და ეფექტიანი გამოძიება და სხვა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობის მიერ სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021 წელს მიღებული ათწლიანი სტრატეგია[6] არ გვთავაზობს არსებითად ახალ ხედვებს და მიდგომებს, რაც დაეფუძნებოდა ძველი გამოცდილების კრიტიკულ ანალიზს და უპასუხებდა უმცირესობების წინაშე არსებულ სისტემურ ინსტიტუციურ პრობლემებს და

4. წინარწმენიდან თანასწორობამდე, საზოგადოების ცოდნის, ინფორმირებულობისა და დამოკიდებულების კვლება ლგბტ(ქ)ი ჯგუფისა და მათი უფლებრივი თანასწორობის მიმართ, ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი (WISG), 2022 წელი, კვლევა გამოქვეყნდება 2022 წლის მაისში.

5. იქვე.

6. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3OutTpO

ყოველდღიურ გამოწვევებს[7]. აქვე, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ შერიგების და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი, როგორც ინტეგრაციის პოლიტიკის განმახორციელებელი უწყება, შეზღუდულია მაკოორდინირებელი ფუნქციებით. სტატეგიის სამოქმედო გეგმის[8] შესწავლისას, ნათელი ხდება, რომ უწყების საქმიანობა შემოიფარგლება ცნობიერების ამაღლებასთან, კულტურული დღეების აღნიშვნასთან დაკავშირებული ნომინალური საქმიანობით, ასევე ის აკოორდინირებს საჯარო სამსახურში უმცირესობების სტაჟირების პროგრამას. ინტეგრაციის პოლიტიკის სხვა ძირითადი საქმიანობები გადანაწილებულია თემატურ სამინისტროებზე და ამ მხრივ სახელმწიფო მინისტრის აპარატის აღმასრულებელი ფუნქციები მკვეთრად შეზღუდულია.

2021 წელს, უცხოელთა უფლებრივი მდგომარეობის თვალსაზრისით, საქართველო რიგი გამოწვევების წინაშე იდგა. კვლავაც პრობლემური იყო საქართველოში თავშესაფრის მაძიებელთათვის საერთაშორისო დაცვის მინიჭების საკითხის გადაწყვეტისას სახელმწიფო უსაფრთხოების პოტენციურ საშიშროებაზე მითითებით უარის თქმის პრაქტიკა. ამასთან, სასამართლოს მიერ საქმის განხილვის ფორმალური ხასიათი და თავშესაფრის მაძიებელთათვის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის დასაბუთებაზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვა უცხოელთა უფლებრივ მდგომარეობას მნიშვნელოვნად აზიანებდა. ახალი რეგულაციებით, კიდევ უფრო გამკაცრდა უცხოელებისთვის ბინადრობის ნებართვის მიღების პირობები. ასევე, შესწავლის საგანი გახდა რუსეთის ფედერაციაში ექსტრადიციის მზარდი პრაქტიკა. კვლავაც გამოწვევას წარმოადგენდა უცხოელი სტუდენტებისთვის სწავლის დასრულების შემდგომ, სტაჟირების საფუძველზე, საქართველოში საცხოვრებელი ნებართვის მიღება. ასევე, არსებობდა საქართველოს საზღვრის კვეთაზე დაუსაბუთებლად უარის თქმისა და ამ უფლებამოსილების შერჩევითად, დისკრიმინაციულად გამოყენების მომეტებული საფრთხე.

სამშვიდობო პოლიტიკის, ნდობის აღდგენის და კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის უფლებრივი და სოციალური მდგომარეობის

7. „სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის კრიტიკული შეფასება“, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2021. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3OrBCov

8. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3OutTpO

მხრივაც, კვლავ რთული მდგომარეობაა და ხელისუფლებას 2021 წელს ტრანსფორმაციული ნაბიჯები არ გადაუდგამს ამ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

2021 წელს საქართველოს ხელისუფლებამ არა მხოლოდ გააგრძელა, არამედ გააძლიერა აქტივისტებისა და უფლებადამცველების წინააღმდეგ რეპრესია, რაც გამოიხატა მათი ხშირი უკანონო დაკავებების, ფუნდამენტურ საპროცესო გარანტიებთან შეუსაბამო სამართალწარმოებისა და ადმინისტრაციული სანქციების გამკაცრების სახით. აღსანიშნავია, რომ კოალიციის წევრი ორგანიზაციები 2021 წლის განმავლობაში აქტიურად იყვნენ ჩართული აქტივისტთა უფლებების დაცვაში. კერძოდ, იცავდნენ მათ ინტერესებს სახელმწიფო ორგანოების წინაშე და წარმოადგენდნენ სასამართლოში.

საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო აქტებით გარანტირებულია გამოხატვის, მედიის თავისუფლება და ჟურნალისტური საქმიანობისთვის თავისუფალი, თანასწორი და უსაფრთხო გარემოს შექმნა. 2021 წელი ამ უფლების რეალიზების კუთხით მრავალი გამოწვევით იყო სავსე. გაუარესებულია ქვეყანაში მედიის უსაფრთხოების მდგომარეობა და გაძლიერებულია აგრესიული რიტორიკა, ასევე დისკრიმინაციული დამოკიდებულებები მედიის წარმომადგენლების მიმართ. კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მხრიდან იყო მაუწყებლების შინაარსობრივი კონტროლის მცდელობები. ასევე, გაგრძელდა მედიასაშუალებების გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვისკენ მიმართულ საკანონმდებლო ინიციატივებზე მსჯელობა.

საქართველოში სათანადო საცხოვრებლის უფლების რეალიზაციის კუთხით, კვლავ მძიმე მდგომარეობაა. გამოწვევაა უსახლკარო პირთა საჭიროებების უგულებელყოფა და ღირსეულ საცხოვრებელ პირობებზე ხელმისაწვდომობის არქონა[9]. საქართველოს სახალხო დამცველის ოფისის განცხადებით, აპარატში ყოველწლიურად მაღალია თავშესაფრის ან სათანადო საცხოვრებელი პირობების უქონლობის ფაქტებთან დაკავშირე-

9. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“, გვ. 229, 2021. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3OCOxnN [ბოლო ნახვა 20.04.2022].

ბით მიღებული განცხადებების რაოდენობა[10]. აპარატში შესული განაცხადების შესწავლის შედეგად კი ვლინდება მთელი რიგი საკანონმდებლო და პრაქტიკული პრობლემები, რომელიც ატარებს არა ინდივიდუალურ ხასიათს, არამედ უკავშირდება სისტემურ პრობლემებს[11].

10. საქართველოს სახალხო დამცველის კონსტიტუციური სარჩელი, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და სხვათა წინააღმდეგ“, კონსტიტუციური სარჩელი N1639, 2021. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3L4zcKu [ბოლო ნახვა 20.04.2022].

11. იქვე.

ბავშვები

კოვიდ 19-ის პანდემია და ბავშვთა უფლებები

■ სოციალური დაცვის უფლება

ოვიდ-19-ის პანდემიამ მნიშვნელოვნად გააუარესა ბავშვთა სოციალური დაცვის მდგომარეობა. მძიმე სოციალური ფონის გამო 2021 წლის ბოლოსთვის არსებული მონაცემებით, ინტერნეტზე წვდომა არ ჰქონდა შინამეურნეობების 14.8%-ს[12], რაც პირდაპირ აისახებოდა ბავშვებისთვის განათლების მისაწვდომობაზე. ინტერნეტთან წვდომის პრობლემა განსაკუთრებით აქტუალური იყო სოფლად მცხოვრები ბავშვებისათვის[13]. კიდევ უფრო საგანგაშო იყო მონაცემები კომპიუტერზე ან პლანშეტზე წვდომასთან დაკავშირებით[14]. კოვიდ-19-ის პანდემიის უარყოფითი გავლენის გამო, შინამეურნეობების დიდმა ნაწილმა დაკარგა სამსახური[15], აღნიშნულის ფონზე კი სახელმწიფოს მიერ დაწესებული ერთჯერადი ფულადი გასაცემლები არ შეიძლება, ჩაითვალოს ბავშვთა სიღარიბის დაძლევის ეფექტურ გზად[16]. განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც 2021 წლის მდგომარეობით, 146600 ბავშვი ცხოვრობს უღარიბეს კვინტილში, 221000 - სიღარიბის აბსოლუტურ ზღარს მიღმა და აქედან მხოლოდ 161000 ბავშვი იყო რეგისტრირებული მიზნობრივი სოციალური დახმარების მიმღებად[17].

12. მონაცემთა მონიტორინგი რეალურ დროში/მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის დამატება, UNICEF, 2021, ხელმისაწვდომია: https://uni.cf/377G8HV
13. იქვე. შინამეურნეობების წილი სოფლად 2.4-ჯერ აღემატება ქალაქის მაჩვენებელს, 22.5% და 9.3% შესაბამისად.
14. მოსახლეობის მხოლოდ 60.4%-ს ჰქონდა წვდომა კომპიუტერსა და პლანშეტზე. ასეთი შინამეურნეობების წილი ქალაქად 72.7%, ხოლო სოფლად 43.3% შეადგენს.
15. იქვე. 2021 წლის ივლისიდან ოქტომბრამდე პერიოდში, შინამეურნეობების 5.8 პროცენტში ერთმა წევრმა მაინც დაკარგა სამსახური დროებით ან ხანგრძლივი პერიოდით, 2020 წლის იანვრიდან ივნისამდე პერიოდში - შინამეურნეობების 13.9 პროცენტში, ხოლო 2020 წლის მარტიდან დეკემბრამდე პერიოდში - შინამეურნეობების 31.8 პროცენტში;
16. შრომითი ურთიერთობები და სოციალური დაცვა პანდემიის დროს, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3KvT7Si: მთავრობის ანტიკრიზისული პაკეტის ფარგლებში 850 000 ბავშვმა მიიღო ერთჯერადი 200-ლარიანი დახმარება. მრავალშვილიანი ოჯახებისთვის (3 ან მეტი ბავშვი), ვისი ქულაც 100,000-ს არ აღემატება, გამოიყო დამატებითი დახმარება, 100 ლარის ოდენობით.
17. მოწყვლადი ბავშვები და რისკები ახალი კორონავირუსის (COVID-19) დროს, UNICEF, 2020, ხელმისაწვდომია: https://uni.cf/37ADha4.

კოვიდ-19-ის პანდემიის პირობებში შექმნილი მძიმე სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გამო, კიდევ უფრო გაიზარდა ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების უფლებრივი მდგომარეობის დაცვის აუცილებლობის საკითხი და განსაკუთრებული სიმწვავით გამოიკვეთა აღნიშნულ სფეროში არსებული სისტემური ხარვეზები. გაიზარდა შრომით საქმიანობაში ბავშვთა ჩართვის რისკი[18]. ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების გაზრდილი რაოდენობის ფონზე, კიდევ უფრო მეტად გამოჩნდა მობილური ჯგუფების არასაკმარის რაოდენობასთან არსებული სირთულეები[19]. 2021 წელს კვლავ გამოვლინდა ბავშვების მიერ სიღარიბისგან თავის დაღწევის მიზნით ისეთი მძიმე სამუშაოების შესრულება, როგორიცაა ჯართის შეგროვება, სატვირთო მანქანებზე მუშაობა, მესაქონლეობასა და მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული სამუშაოების რეგულარული შესრულება[20].

■ განათლების უფლება

კოვიდ-19-ის პანდემიის პირობებში გამოწვევას წარმოადგენდა წვდომა ზოგად განათლებაზე. გარდა იმისა, რომ მნიშვნელოვნად შემცირდა ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობა, ბავშვების 15% საერთოდ არ ესწრებოდა სასწავლო პროცესს[21]. პანდემიის პირობებში კიდევ უფრო შემცირდა წვდომა ხარისხიან განათლებაზე, შეზღუდული შესაძლებლობის და/ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების შემთხვევაში. გამოიკვეთა გონივრული მისადაგების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული პრობლემები ზოგადი განათლების საფეხურზე[22].

18. სპეციალური ანგარიში ბავშვთა შრომა ახალი კორონავირუსის პანდემიის პირობებში და მის მიღმა, გვ. 7, UNICEF, სახალხო დამცველის აპარატი, 2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/38xTE7T.
19. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 279-278, საქართველოს სახალხო დამცველი, 2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3rIZZ78
20. სპეციალური ანგარიში ბავშვთა შრომა ახალი კორონავირუსის პანდემიის პირობებში და მის მიღმა, გვ. 7, UNICEF, სახალხო დამცველის აპარატი, 2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/38xTE7T.
21. მონაცემთა მონიტორინგი რეალურ დროში/მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის დამატება, UNICEF, 2021, ხელმისაწვდომია: https://uni.cf/377G8HV.
22. საბავშვო ბაღების ფუნქციონირების შეჩერების პარალელურად, სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო დისტანციური სწავლების მექანიზმების სრულყოფილად დანერგვა, გვ. 22-24, სახალხო დამცველის აპარატი, 2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3jmVomJ.

2021 წლის განმავლობაში, კვლავ აქტუალური იყო სწავლის მიტოვებისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების მაჩვენებელი, რაც კვლავაც ყველაზე მაღალი იყო თბილისში (2947/35%), ქვემო ქართლსა (1970/23.4%) და კახეთში (714/8.5%)[23]. პრობლემას წარმოადგენს მოსწავლის სტატუსის შეჩერების/შეწყვეტის შემთხვევების აღრიცხვისას ბუნდოვანი შინაარსის საფუძვლები, როგორიცაა „მშობლის განცხადება“ ან „გაცდენების ზღვრული რაოდენობა“. აღნიშნული ბავშვის საგანმანათლებლო პროცესიდან ჩამოშორების რეალური მიზეზის შესახებ ზუსტ ინფორმაციას არ იძლევა[24].

დიდი ზომის რეზიდენტული დაწესებულებები

2021 წელს ბავშვის უფლებების დაცვის სფეროში ყველაზე მწვავე საკითხს წარმოადგენდა დიდი ზომის რეზიდენტულ დაწესებულებებში მცხოვრები ბავშვების უფლებრივი მდგომარეობა. მიუხედავად იმისა, რომ 2021 წლის დეკემბერში დაიხურა კოჯრის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა სახლი და 14 ბავშვი ალტერნატიულ ზრუნვაში განთავსდა, ქვეყანაში არალიცენზირებულ დაწესებულებებთან ერთად კვლავ ფუნქციონირებს სამი ლიცენზირებული დიდი ზომის დაწესებულება[25].

საპატრიარქოს დაქვემდებარებაში არსებული ორივე დიდი ზომის დაწესებულებაში 2021 წლის განვალობაში გამოვლინდა ბავშვის უფლებების სისტემური დარღვევის არაერთი მაგალითი. დაწესებულებებში არსებულ ჩაკეტილ გარემოს დამანგრეველი გავლენა აქვს როგორც ბავშვების ფსიქოემოციურ მდგომარეობაზე, ისე - ფიზიკურ ჯანმრთელობასა და განვითარებაზე, ხელს უშლის ბავშვების სოციალიზაციას და სახელმწიფო ზრუნვიდან გასვლისთვის მზაობას. განსაკუთრებით პრობლემური იყო ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევების გამოვლენა. საკითხს კიდევ

23. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 268-269, საქართველოს სახალხო დამცველი, 2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3rlZZ78

24. იქვე.

25. თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლი, „ა(ა)იპ ჯავახეთის ნინოწმინდის წმინდა ნინოს სახელობის მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონი” და ა(ა)იპ სოფელ ფერიის წმ. მატათა მოციქულის სახელობის ფონდის პანსიონი“.

უფრო ამწვავებდა ის გარემოება, რომ ორივე რეზიდენტული დაწესებულების შემთხვევაში, სოციალური მუშაკები დროულად არ ახორციელებდნენ დაწესებულების მონიტორინგს, ბავშვებთან ინდივიდუალურ გასაუბრებას და მათი მდგომარეობის შეფასებას[26].

განსაკუთრებით რთულ მდგომარეობაში იყვნენ ბავშვები ნინოწმინდის პანსიონში, სადაც არათუ უგულებელყოფილი იყო ბავშვების საბაზო საჭიროებები და ინტერესები, არამედ, დაწესებულების მოქმედებები უშუალო ზიანს აყენებდა მათ ჯანმრთელობას და განვითარებას, იყო მატრავმირებელი, ხშირად, დანაშაულებრივი ხასიათის და ეწინააღმდეგებოდა ბავშვზე ზრუნვის ყველა სტანდარტს[27].

საგულისხმოა, რომ ბავშვების მიმართ ჩადენილი სავარაუდო დანაშაულების ფაქტებზე არ ხდება ეფექტური გამოძიება შესაბამისი სახელმწიფო უწყებების მიერ, რაც კიდევ უფრო დისკრიმინაციულ მდგომარეობაში აყენებს დიდი ზომის დაწესებულებებში მცხოვრებ ბავშვებს. 2016 წლიდან 2021 წლამდე 4 სისხლის სამართლის საქმე არის დაწყებული. საქმის მასალების შესწავლა აჩვენებს, რომ გამოძიებაზე პასუხისმგებელი პირები გულგრილად ეკიდებიან არასრულწლოვანთა მიმართ ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებებს, წლების განმავლობაში აჭიანურებენ საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებას, არ ახდენენ გამოძიების სწორ კვალიფიკაციას და არ ანიჭებენ მსხვერპლებს დაზარალებულის სტატუსს. საგულისხმოა, რომ შესწავლილი მასალებიდან, იკვეთებოდა ბავშვების მიმართ სავარაუდო სექსუალური ხასიათის დანაშაულის ნიშნებიც, თუმცა ამ მიმართულებით გამოძიება არც საქმეების ფარგლებში წარმართულა და არც ცალკე წარმოებად გამოყოფილა საქმე[28].

ნინოწმინდის პანსიონატში ბავშვის უფლებების დაცვის მდგომარეობა კიდევ უფრო საგანგაშო იყო იმ პირობებში, როდესაც დაწესებულების ადმინისტრაციამ უფლება არ მისცა სახალხო დამცველის აპარატს, შეეს-

26. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 274-275, საქართველოს სახალხო დამცველი, 2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3rlZZ78

27. იქვე.

28. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 66-67, საქართველოს სახალხო დამცველი, 2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3rlZZ78

რულებინა კანონით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილება და განეხორციელებინა დაწესებულების მონიტორინგი 2021 წლის 15 აპრილსა და 19 მაისს. რაც ყველაზე საგანგაშოა, სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს სოციალურ მუშაკს, 2020 წლის 20 ივნისიდან 2021 წლის აპრილის ბოლომდე არ ჰქონდა დაწესებულებაში შესვლის შესაძლებლობა[29].

ნინოწმინდის პანსიონატში სახალხო დამცველის ვიზიტის განხორციელება შესაძლებელი გახდა ა(ა)იპ ,,პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ მიერ დაწყებული სამართალწარმოების შემდეგ, რომლის ფარგლებშიც, დროებითი განჩინების გამოცემის მოთხოვნით, ორგანიზაციამ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართა[30]. თბილისის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა ორგანიზაციის მოთხოვნა, რომელიც ასევე ძალაში დატოვა თბილისის სააპელაციო სასამართლომ[31]. ორგანიზაციამ საჩივრით ასევე მიმართა გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტს, რომელმაც 2021 წლის 7 მაისს გამოსცა დროებითი ღონისძიება და სახელმწიფოს ნინოწმინდის პანსიონში მონიტორინგის ჩატარების უზრუნველყოფა დაავალა[32].

ნინოწმინდის პანსიონატის შემთხვევა ადასტურებს იმ სისტემურ პრობლემებს, რომელიც არსებობს ქვეყანაში ბავშვთა უფლებების დაცვის მიმართულებით. დაწესებულებაში მცხოვრები ბავშვების უფლებები ყოველდღიურად ირღვევა და სახელმწიფოს მიერ 2021 წლის განმავლობაში გადადგმული ნაბიჯები ბავშვთა დიდი ზომის დაწესებულებების დახურვის მიმართულებით კვლავ არაეფექტურად შეიძლება შეფასდეს. სახელმწი-

29. სპეციალური ანგარიში ა(ა)იპ ჯავახეთის ნინოწმინდის წმინდა ნინოს სახელობის მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონის აღსაზრდელთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ სპეციალური ანგარიში, გვ. 10, საქართველოს სახალხო დამცველი, 2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3Otf46O

30. თბილისის საქალაქო სასამართლოს დროებითი განჩინება სპეციალური მოსარჩელის სტატუსის მქონე ორგანიზაციის ,,პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ შუამდგომლობაზე, საქმე № 4704728-21, 2021, ხელმისაწვდომია: https://phr.ge/search/475

31. თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება, საქმე № 3/ბ-1560-21, 2021, ხელმისაწვდომია: https://phr.ge/search/401

32. ა(ა)იპ ,,პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ (PHR) განცხადება „ნინოწმინდის პანსიონატის საქმეზე გაერომ PHR-ის მოთხოვნა დააკმაყოფილა“, 2021 ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3rdJoYS

ფოს ჯერაც არ დაუმტკიცებია დიდი ზომის რეზიდენტული დაწესებულებების მინდობით აღზრდისა და ოჯახსა და თემზე დაფუძნებული ზრუნვის სერვისებით ჩანაცვლების კონკრეტული გეგმა.

რეკომენდაციები

- განხორციელდეს კოვიდ-19 პანდემიის სოციალური ზეგავლენების შეფასება ბავშვთა სიღარიბეზე, არსებულ შედეგებზე დაყრდნობით შევიდეს ცვლილებები და საჭიროების შემთხვევაში, შემუშავდეს ახალი გადაუდებელი, ასევე გრძელვადიანი სოციალური დაცვის პროგრამები/ტრანსფერები, როგორც მუნიციპალურ, ისე - ცენტრალური ხელისუფლების დონეზე;
- გაიზარდოს მობილური ჯგუფების რაოდენობა ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების შემთხვევების ეფექტური და დროული შესწავლის მიზნით;
- დაიგეგმოს პრევენციის და აღმოფხვრის ქმედითი ღონისძიებები, ბავშვთა შრომის შემთხვევებზე მულტიდისციპლინური მიდგომის საფუძველზე;
- კოვიდ-19-ის პირობებში ხარისხიან განათლებაზე წვდომის მიმართულებით არსებული შედეგების აღმოფხვრის მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ გადახედოს არსებულ პროგრამებსა და მიდგომებს და შეიმუშაოს მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმა პანდემიის უარყოფითი გავლენის აღმოფხვრის მიზნით, როგორც აკადემიური, ისე - ბავშვების ფსიქოემოციური მდგომარეობის გაუმჯობესების მიმართულებით;
- საქართველოს მთავრობამ დაჩქარებულ ვადებში შეიმუშაოს და დაამტკიცოს დეინსტიტუციონალიზაციის ერთიანი სახელმწიფო სტრატეგია და გეგმა;
- პანსიონში ბავშვების მიმართ ჩადენილ სავარაუდო დანაშაულის ფაქტებზე წარმოებული ყველა საქმე ერთ წარმოებად გაერთიანდეს და უზრუნველყოს საქმეებზე ეფექტური გამოძიება;

- დაუყოვნებლივ მოხდეს პანსიონატში დარჩენილი ყველა ბავშვის შეფასება, მოხდეს მათი ბიოლოგიურ ოჯახში რეინტეგრაცია და ასეთის შეუძლებლობის შემთხვევაში, ზრუნვის სხვა, ოჯახთან მიახლოებულ ფორმაში გადაყვანა;
- გაგრძელდეს ეფექტური მუშაობა პანსიონატიდან გაყვანილი და რეინტეგრირებული ბავშვების ოჯახებთან, მათი ოჯახურ გარემოში შენარჩუნებისა და სახელმწიფო ზრუნვის სხვადასხვა ფორმაში გაყვანის პრევენციის მიზნით.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კონვენციის იმპლემენტაცია

2021 წელს, საქართველოს პარლამენტმა მოახდინა გაეროს შშმ პირთა კონვენციის ფაკულტატური ოქმის რატიფიცირება[33], რაც საერთაშორისო დონეზე ამ პირთა უფლებების დაცვის კუთხით მნიშვნელოვანი მექანიზმია. ამავე წელს, საქართველოს მთავრობამ „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონისა და გაეროს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის“ იმპლემენტაციის კოორდინაციაზე პასუხისმგებელი ორგანო, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ უწყებათაშორისო საკოორდინაციო კომიტეტი შექმნა[34]. საგულისხმოა, რომ კომიტეტის მიერ მასზე დაკისრებული ფუნქციების ეფექტიანად შესრულებისთვის გამოყოფილი შესაბამისი ადამიანური, ფინანსური და ექსპერტული რესურსი არასაკმარისია[35].

ამასთან, მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ სახელმწიფო დონეზე შშმ პირთა უფლებების დაცვის სფეროში ერთიანი სტანდარტების არარსებობის პირობებში, სახელმწიფო უწყებებისა და მუნიციპალიტეტების დიდმა ნაწილმა დაგვიანებით და შშმ თემის მონაწილეობის გარეშე, შეიმუშავა და დაამტკიცა სამოქმედო გეგმები, რომელიც გათვალისწინებულია შშმ პირთა უფლებების შესახებ კანონით[36].

გარდა ამისა, ქვეყანაში კვლავ გამოწვევად რჩება შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მინიჭება სამედიცინო მიდგომის საფუძველზე. ჯერ კიდევ

33. საქართველოს პარლამენტის 2021 წლის 5 მარტის დადგენილება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის“ ფაკულტატური ოქმის რატიფიცირების შესახებ”.

34. საქართველოს მთავრობის 2021 წლის 29 ნოემბრის დადგენილება “შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის იმპლემენტაციის უწყებათაშორისი საკოორდინაციო კომიტეტის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ”.

35. „მთავრობა კვლავ ვერ გვთავაზობს შშმ პირთა კონვენციის განხორციელების მექანიზმის ფუნქციონირების გარანტიებს“, პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის ვებგვერდი, 2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3vA0hhW, განახლებულია: 13.04.2022.

36. იხ. „საიას შეფასება 2021 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“, 6, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/369BDMm, განახლებულია: 13.04.2022.

არ გადადგმულა ეფექტიანი ნაბიჯები სტატუსის მინიჭების ბიოფსიქოსოციალურ მოდელზე გადასვლისთვის[37], რაც, თავის მხრივ, აბრკოლებს ამ პირთა ინკლუზიას და საზოგადოების ცხოვრებაში თანასწორ ჩართვას.

ფსიქიკური ჯანმრთელობა და დეინსტიტუციონალიზაცია

ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში არსებული გამოწვევები კვლავ მწვავე და სისტემურია. მოცემული სფერო სახელმწიფოს მხრიდან პოლიტიკის დონეზე კვლავ არ არის პრიორიტეტულ საკითხებში მოქცეული. ეს კი პრობლემურს ხდის ფსიქიკური ჯანმრთელობის სისტემის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას და სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას. გარდა საკანონმდებლო თუ პოლიტიკის ზოგადი ხარვეზებისა, ფსიქოსოციალური და ინტელექტუალური ნიშნით, შშმ პირები მოკლებულნი არიან შესაძლებლობას, საკუთარ ცხოვრებასთან დაკავშირებით დამოუკიდებელად მიიღონ გადაწყვეტილება, რაც გამოწვეულია ქმედუნარიანობის რეფორმის იმპლემენტაციის ხარვეზიანობით[38]. ასევე, ნაკლებად ინკლუზიური გარემოს შექმნაში დიდი როლი აქვს იმ მექანიზმების არარსებობას, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფო უწყებების მიერ შშმ ან/და ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე თემის წარმომადგენლების ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში[39]. ამ რეალობის გათვალისწინებით კი, „საქართველოს 2022-2030 წლების ფსიქიკური ჯანმრთელობის სტრატეგია“ კვლავ ბუნდოვანია, თემზე დაფუძნებული სერვისების შექმნის და მისი ეფექტიანი იმპლემენტაციის საკითხებთან მიმართებით[40].

37. „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის დადგენის მექანიზმის ბიოფსიქოსოციალური მოდელის დანერგვასთან დაკავშირებით განსახორციელებელი ღონისძიებების გეგმა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ 2023 წლის 1 იანვარს უნდა დაამტკიცოს.

38. იხ. ჯანიაშვილი მ., სოციალური სამართლიანობის ცენტრი, „ფსიქიკური ჯანმრთელობა და ადამიანის უფლებები-პრობლემური საკითხები და ცვლილებების პოტენციალი“, 2021, 9, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3E9nwTY, განახლებულია: 13.04.2022.

39. იქვე, 13.

40. საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიში საქართველოში ადამიანის

სახელმწიფოს მიერ გაცხადებული დეინსტიტუციონალიზაციის პოლიტიკის მიუხედავად, დღემდე პრობლემას წარმოადგენს ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირების ინსტიტუციონალიზაცია. ამისი განმაპირობებელ მიზეზებად კი კვლავ რჩება: საკანონმდებლო ჩარჩოს სისუსტე, ინდივიდუალიზებული მხარდამჭერი სერვისების დეფიციტი და სხვ.[41]. აღსანიშნავია, რომ დეინსტიტუციონალიზაციის სტრატეგიის შემუშავება სახელმწიფოს მიერ ამ ეტაპზე მიმდინარეობს[42]. გარდა ამისა, ფსიქიატრიული დაწესებულებების დეინსტიტუციონალიზაციის პროცესში 2021 წელს უკან გადადგმული ნაბიჯია თბილისის ერთ-ერთ მულტიპროფილურ კლინიკაში ფსიქიკური ჯანმრთელობის განყოფილების გაუქმება. ეს, თავის მხრივ, საფრთხეს უქმნის ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირების უფლებას, ხელი მიუწვდებოდეთ ჯანდაცვის სერვისებზე[43].

სოციალური დაცვა

გაეროს შშმ პირთა უფლებების კონვენციის რატიფიცირებიდან დღემდე, სახელმწიფოს კვლავ არ დაუნერგავს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი და ღირსეული სოციალური დაცვის სისტემა. მიუხედავად ცენტრალურ თუ ადგილობრივ დონეზე არსებული გარკვეული სერვისებისა თუ მომსახურებებისა, მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება შშმ პირებისა და მათი ოჯახებისთვის ადეკვატური მხარდაჭერის გაწევა. განმაპირობებელ მიზეზთაგან ხაზგასასმელია: ეროვნულ კანონმდებლობაში სოციალური დაცვის მიმართულებით სუსტი მექანიზმების არსებობა, სო-

---

უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2022, 288, https://bit.ly/3vbynbU.; განახლებულია: 13.04.2022.

41. იხ. ჯანიაშვილი მ., სოციალური სამართლიანობის ცენტრი, „ფსიქიკური ჯანმრთელობა და ადამიანის უფლებები-პრობლემური საკითხები და ცვლილებების პოტენციალი“, 2021, 9, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3E9nwTY, განახლებულია: 13.04.2022.

42. ჯანიაშვილი მ., სოციალური სამართლიანობის ცენტრი, „საცხოვრისის სერვისების მნიშვნელობა შშმ პირთა დაწესებულებების დეინსტიტუციონალიზაციის პროცესში“, 2021, 35, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3xrTVDN, განახლებულია: 13.04.2022.

43. იხ. ჯანიაშვილი მ., სოციალური სამართლიანობის ცენტრი, „ფსიქიკური ჯანმრთელობა და ადამიანის უფლებები-პრობლემური საკითხები და ცვლილებების პოტენციალი“, 2021, 11, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3E9nwTY, განახლებულია: 13.04.2022.

ციალური პაკეტით განსაზღვრულ პირთა წრე, სოციალური პაკეტის დაფუძნება სამედიცინო მოდელზე, სოციალური პაკეტის სიმწირე და სხვა[44].

პანდემიის პირობებში არსებული პრობლემები კიდევ უფრო გამწვავდა და ნათლად გამოიკვეთა ის ხარვეზები, რომელიც სახელმწიფოში შშმ პირთა სოციალური დაცვის მიმართულებით არსებობს[45]. გარდა ამისა, პანდემიის პერიოდში განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა მუნიციპალურ დონეზე სოციალური პროგრამების საჭიროების გაუთვალისწინებლად და არასაკმარისად დაგეგმვის პრაქტიკა. კანონმდებლობაში არსებული მოთხოვნის მიუხედავად, მუნიციპალურ დონეზე არ ხდება შშმ ბავშვთა საჭიროებების კვლევა[46]. შედეგად კი, ადგილობრივი ხელისუფლების მიერ გატარებული ღონისძიებები, ძირითადად, მოკლევადიან პერიოდზეა გათვლილი და არასაკმარისია შშმ ბავშვთა მდგომარეობის უკეთესობისკენ შესაცვლელად[47].

განათლება

ქვეყანაში კვლავ გამოწვევაა ხარისხიანი ინკლუზიური განათლება. პანდემიის პერიოდში კომპიუტერული მოწყობილობებისა და ინტერნეტის არქონამ დამატებითი პრობლემები გამოკვეთა და ბავშვებისთვის განათლების ხელმისაწვდომობის შეზღუდვა გამოიწვია[48].

44. პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის (PHR), საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA), სოციალური სამართლიანობის ცენტრი, კავშირი „საფარი“, ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი (WISG), „სოციალური დაცვის სისტემის ძირითადი გამოწვევები სხვადასხვა დაუცველი ჯგუფებისათვის საქართველოში“, 2022, 32, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/36ejv48, განახლებულია: 13.04.2022. „საქართველოს სახალხო დამცველის განცხადება ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით“, სახალხო დამცველის ვებგვერდი, 10.12.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3JDgR5G, განახლებულია: 13.04.2022.
45. იქვე, 43.
46. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, „შშმ ბავშვთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული პროგრამები“, 2021, 2, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3v-5LAEi, განახლებულია: 13.04.2022.
47. იქვე.
48. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა განათლების უფლება კოვიდ-19-ის დროს“, 2021, 15, https://bit.ly/3v-jpOvT, განახლებულია: 13.04.2022.

ამასთან, პრობლემურია შინ სწავლების პროცესის მიმდინარეობა. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, გათვალისწინებულია, რომ სკოლა ვალდებულია, სპეციალური გეგმა შეუდგინოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს და უზრუნველყოს შინ სწავლება იმ ბავშვებისთვის, რომლებიც გაკვეთილებს ვერ ესწრებიან მაგრამ სკოლაში ირიცხებიან[49]. თუმცა, სახელმწიფოს არ გააჩნია შინ სწავლებაზე რეგისტრირებულ შშმ მოსწავლეთა სტატისტიკა და შესაბამისად, არ ფლობს სწავლების ხარისხის კონტროლის ქმედით მექანიზმებს[50].

საანგარიშო პერიოდში გამოწვევად რჩება შშმ მოსწავლეების, მათი მშობლებისა და შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების ჩართულობის ნაკლებობა ან არარსებობა იმ ძირითადი გადაწყვეტილებების მიღებისას, რომელიც განათლების უფლების სრულფასოვნად რეალიზებას შეეხება[51].

დასაქმება

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შესაბამისი სამუშაო პირობებისა და ხელშემწყობი მექანიზმების სიმწირე და არაეფექტიანობა ქმნის იმ ბარიერებს, რომელიც შშმ პირთა დასაქმების საკითხს კვლავ პრობლემურ საკითხად ტოვებს. საყურადღებოა, რომ სახელმწიფოს მიერ შემუშავებული დასაქმების ხელშემწყობი ღონისძიებების მიუხედავად, სამუშაოს მაძიებელ შშმ პირთა რაოდენობა, საანგარიშო პერიოდშიც კვლავ საგრძნობლად აღემატება დასაქმებულ პირთა რაოდენობას[52].

49. ეროვნული სასწავლო გეგმა 2018-2024, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/38dBeJn, განახლებულია: 13.04.2022.

50. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა განათლების უფლება კოვიდ-19-ის დროს“, 2021, 18, https://bit.ly/3vjpOvT, განახლებულია: 13.04.2022.

51. “ინკლუზიური განათლების უზრუნველყოფა შშმ პირებისთვის: რა შეგვიძლია ვისწავლოთ პანდემიისგან?“, საქართველოს სახალხო დამცველის ვებგვერდი, 07.12.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3ro130h, განახლებულია: 13.04.2022.

52. საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2022, 288, https://bit.ly/3vbynbU, განახლებულია: 13.04.2022.

მისაწვდომობა

ტექნიკური რეგლამენტი, ,,მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“, 2021 წლის პირველი მარტიდან შევიდა ძალაში[53]. თუმცა, მის ეფექტურ აღსრულებასთან დაკავშირებით, მონიტორინგი სათანადოდ არ ხორციელდება[54]. ამავდროულად, კვლავ არ არის შემუშავებული მისაწვდომობის ეროვნული გეგმა.

ასევე, გამოწვევაა შშმ პირებისთვის ვებ მისაწვდომობის საკითხი[55]. განსაკუთრებული სიმწვავით მისაწვდომობის პრობლემა შშმ ქალებთან მიმართებით იკვეთება რეპროდუქციული უფლებებით სარგებლობის თვალსაზრისით[56], ხოლო ინფრასტრუქტურასა თუ შესაბამის მასალებზე ხელმისაწვდომობის პრობლემა კვლავ ქმნის ბარიერებს ინკლუზიური განათლების სრულფასოვნად განხორციელებისთვის[57].

შშმ ქალები და გოგოები

შშმ ქალებისა და გოგოების უფლებების დაცვა, პოლიტიკის დონეზე, სახელმწიფოსთვის ჯერ კიდევ არ წარმოადგენს პრიორიტეტულ მიმართულებას. ისინი შშმ თემში დღემდე ერთ-ერთ ყველაზე მოწყვლად ჯგუფებად რჩებიან. სახელმწიფოს მხრიდან არ არსებობს ერთიანი სისტემური ხედვა, ასევე არ ხორციელდება სეგრეგირებული სტატისტიკის წარმოება, რაც მათთვის მინიჭებული უფლებებითა და ძირითადი

53. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 დეკემბრის N732 დადგენილება.
54. სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2022, 287, https://bit.ly/3vbynbU, განახლებულია: 13.04.2022.
55. იქვე.
56. „საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის სპეციალური ანგარიში დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ“, 2022, 20, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/369U7wg, განახლებულია: 13.04.2022.
57. სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2022, 284, https://bit.ly/3vbynbU, განახლებულია: 13.04.2022.

თავისუფლებებით სარგებლობისთვის დამატებითი ხელისშემშლელი ფაქტორია[58].

შშმ ქალები და გოგოები აწყდებიან ბარიერებს საზოგადოებრივი ცხოვრების არაერთ სფეროში. პანდემიის პერიოდში აღნიშნული პრობლემების ნაწილი გაღრმავდა და გამოიკვეთა მათი უფლებების დაცვის სტანდარტის გაუარესების ტენდენციები ისეთ სფეროებში, მაგალითად, როგორიცაა ჯანმრთელობის უფლებისა და ძალადობისგან დაცვა[59].

რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობას:

- უზრუნველყოს უწყებათაშორისი კომიტეტი ადეკვატური ადამიანური, ფინანსური და ექსპერტული რესურსებით, რათა შესაძლებელი იყოს მასზე დაკისრებული ფუნქციების დაუბრკოლებლად და ეფექტიანად შესრულება;
- სტატუსის მინიჭების ბიოფსიქოსოციალურ მოდელზე გადასვლამდე, უზრუნველყოს შშმ პირებისათვის სოციალური პაკეტის ზრდა, ამ პირთა რეალური საჭიროებების გათვალისწინებით;
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ჩართულობით უზრუნველყოს მუნიციპალურ დონეზე შშმ ბავშვთა საჭიროებების კვლევა;
- დროულად შეიმუშაოს მისაწვდომობის ეროვნული გეგმა შშმ პირებისა და შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების ჩართულობით;
- შეიმუშაოს შესაბამისი წესები, რომელიც სახელმწიფო უწყებების მიერ დანერგავს ვებ მისაწვდომობის სტანდარტებს.

58. საქართველოს სახალხო დამცველი, „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისა და გოგოების საჭიროებებისა და მათი უფლებების დაცვის მდგომარეობის შეფასება საქართველოში“, 2022, 2, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3vbyt3g, განახლებულია: 13.04.2022.

59. იქვე, 5.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს:

- დროულად დანერგოს სტატუსის მინიჭების ბიოფსიქოსოციალური მოდელი;
- შეიმუშაოს და დაამტკიცოს დეინსტიტუციონალიზაცის სტრატეგია, შშმ პირთა და მათი წარმომადგენლობითი ორგანიზაციების ჩართულობით;
- უზრუნველყოს სისტემური ანალიზი შშმ ქალების საჭიროებებზე, რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე წვდომის კუთხით და შეიმუშაოს სამოქმედო გეგმა, რომელიც უზრუნველყოფს მოცემული საჭიროებების სათანადოდ დაკმაყოფილებას;
- დანერგოს შშმ პირთა დასაქმების ხელშემწყობი ეფექტიანი მექანიზმები;
- შშმ პირებისათვის დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობის მიზნით, შეიმუშაოს და განავითაროს ინდივიდუალიზებული მხარდამჭერი მომსახურებები.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს:

- მიიღოს სათანადო ზომები, რათა მოხდეს ფორმალური განათლების მიღმა დარჩენილი შშმ ბავშვების საჭიროებების გამოკვეთა და შესაბამის სერვისებში ჩართვა;
- გაატაროს ეფექტიანი ღონისძიებები შშმ მოსწავლეების/სტუდენტების საგანმანათლებლო დაწესებულებების სასწავლო მასალებზე და ინფრასტრუქტურაზე წვდომის გასაუმჯობესებლად;
- უზრუნველყოს შინ სწავლებაზე რეგისტრირებულ შშმ მოსწავლეთა სტატისტიკის წარმოება და შეიმუშაოს მონიტორინგის ქმედითი მექანიზმები;
- განათლებასთან დაკავშირებული ძირითადი გადაწყვეტილების მიღებისას, უზრუნველყოს შშმ მოსწავლეების, ასევე მათი მშობლებისა და შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების ჩართულობა.

ქალები

ქალთა უფლებები და საერთაშორისო მექანიზმები

2021 წელს, „კოალიციამ თანასწორობისთვის", სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ საქართველოს მიმოხილვის ფარგლებში, წარადგინა ორი ჩრდილოვანი ანგარიში საქართველოს მიერ შემდგომი ორი კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესახებ: 1. გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია (CEDAW) - ზოგად საკითხებთან ერთად, ანგარიში აფასებს ქალთა განსაკუთრებით მოწყვლადი სხვადასხვა ჯგუფის მდგომარეობას (მაგ., იძულებით გადაადგილებული, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი, სოფლად მცხოვრები, ლბტი, ა. შ. ქალები)[60]; 2. ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია (სტამბოლის კონვენცია)[61].

გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტმა, დასკვნითი დებულებების მიღებამდე, 2021 წლის ივლისში, შეადგინა იმ საკითხებისა და კითხვების სია, რომლებსაც საქართველომ დამატებით უნდა უპასუხოს[62]. ნოემბერში, საქართველოს პირველი საბაზისო შეფასების ფარგლებში, ევროსაბჭოს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებზე მომუშავე ექსპერტთა ჯგუფმა (GREVIO) კი შეხვედრა გამართა არასამთავრობო სექტორის, მათ შორის კოალიციის წევრი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.

ამასთან, გაეროს ქალთა კომიტეტის მიერ 2021 წლის 25 ოქტომბერს მიღებული მოსაზრების თანახმად, საქართველომ ვერ უზრუნველყო გამოძიება და სამართლებრივი დევნა ხანუმ ჯეირანოვას მიმართ გენდერული ნიშნით და, რაც ხაზგასასმელია, ღირსების სახელით ჩადენილ ძალადო-

60. ანგარიში ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3gef8HI

61. ანგარიშში მიმოხილული საკითხებია: პოლიტიკა და მონაცემთა შეგროვება; პრევენცია; დაცვა და მხარდაჭერა; კანონმდებლობა; გამოძიება, დევნა, პროცედურული სამართალი და დაცვის ღონისძიებები. ანგარიში ხელმისაწვდომია: https://bit.ly/35KugdR

62. ხელმისაწვდომი: https://bit.ly/3ulQ2yo; საქართველოს მიერ გაგზავნილი მეექვსე პერიოდული ანგარიში ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3fl68eI

ბასთან დაკავშირებით. შედეგად, კომიტეტმა დაადგინა საქართველოს მიერ გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის არაერთი მუხლითა და პუნქტით ნაკისრი ვალდებულებების, მათ შორის ნეგატიურის, დარღვევა, როგორც მატერიალურ, ისე პროცედურულ ნაწილში[63]. ამასთან, მოსაზრებაში აღნიშნულია, რომ ხანუმ ჯეირანოვა გახდა „ეთნიკურ კუთვნილებასთან და პოლიციისა და სასამართლო სისტემის სტერეოტიპულ დამოკიდებულებებთან დაკავშირებული ჯვარედინი დისკრიმინაციის მსხვერპლი“ (§7.6)[64].

2021 წლის 8 ივლისს, სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, საქმეზე “თხელიძე საქართველოს წინააღმდეგ”[65], დაადგინა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 (სიცოცხლის უფლება) და მე-14 (დისკრიმინაციის აკრძალვა) მუხლების დარღვევა ერთობლივად[66]. ეს საქმე პრეცედენტული მნიშვნელობისაა, რამდენადაც წარმოადგენს ფემიციდის პირველ საქმეს საქართველოს წინააღმდეგ და სტრასბურგის სასამართლოს პრაქტიკაში პირველია, როდესაც ოჯახურ დანაშაულზე დისკრიმინაცია დადგინდა სიცოცხლის უფლების დარღვევის როგორც მატერიალურ, ისე პროცედურულ ნაწილთან მიმართებით. სასამართლო გადაწყვეტილებაში საუბარია ოჯახში ძალადობასთან მიმართებით არსებულ სისტემურ პრობლემებზე. კერძოდ, სამართალდამცავი ორგანოების ზოგად და დისკრიმინაციულ პასიურობაზე ოჯახში ძალადობის ბრალდებებთან მიმართებით, რამაც, სასამართლოს თანახმად, შექმნა სათანადო გარემო ქალთა მიმართ ძალადობის უფრო ფართოდ გავრცელებისათვის (§51).

63. კომიტეტის მოსაზრებები ქართულ ენაზე ხელმისწავდომია: https://bit.ly/35TcBBb

64. ინტერსექციური (ჯვარედინი) დისკრიმინაცია: დისკრიმინაცია, რომელიც ხდება რამდენიმე დაცული ნიშნის ურთიერთგადაკვეთის შედეგად, როდესაც აღნიშნული ნიშნები, ცალკე აღებული, არ ქმნის დისკრიმინაციის შემადგენლობას (მაგ. შშმ ქალის შემთხვევაში - დისკრიმინაცია სქესისა და შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით, მაშინ, როდესაც არაშშმ ქალი და შშმ კაცი არ დაექვემდებარებოდნენ დისკრიმინაციას კონკრეტულ შემთხვევაში).

65. გადაწყვეტილება ქართულ ენაზე ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3xj7wxr

66. იხ., ასევე საქმე *A and B v. Georgia* (No. 73975/16), რომელშიც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, 2022 წლის 10 თებერვალს, დაადგინა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 (სიცოცხლის უფლება) და მე-14 (დისკრიმინაციის აკრძალვა) მუხლების დარღვევა. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3KhBJ2o

სქესობრივი ძალადობა და სქესობრივი ხასიათის დანაშაულები

გაუპატიურებისა და სხვა სქესობრივი ხასიათის დანაშაულთა დეფინიციების[67] შეუსაბამობა საერთაშორისო სტანდარტებთან[68] კვლავ გამოწვევად რჩება. ამასთან, პროკურატურის მიერ გამოყენებული მტკიცებულებითი სტანდარტი კვლავ ხისტი, შეუსაბამოდ მაღალი და დისკრიმინაციულია, რაც ეწინააღმდეგება საერთაშორისო სტანდარტებსა და პრაქტიკას და ხელს უწყობს დაუსჯელობას[69].

„საფარის“ პრაქტიკა ცხადყოფს, რომ საქართველოს პროკურატურა 2021 წელსაც აჭიანურებდა სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ქალების დაზარალებულად ცნობას ან საერთოდ უარს ამბობდა ამ სტატუსის მინიჭებაზე[70]; აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ მსხვერპლს დღემდე არ აქვს დაზარალებულის სტატუსი მინიჭებული. შესაბამისად, მსხვერპლს/მის წარმომადგენელს ერთმევა წვდომა საქმის მასალებზე[71] და არ აქვს ინფორმაცია ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებებისა და გამოძიების ეფექტურობის შესახებ.

ქალთა მიმართ ეკონომიკური ძალადობა

ეკონომიკური ძალადობა საქართველოში უხილავია[72]. ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ კანონი პოლიციელს ანიჭებს უფლებამოსილებას,

67. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი 137-139.

68. იხ., მაგალითად, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია („სტამბოლის კონვენცია“), მუხლი 36; გაეროს ქალთა მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის (CEDAW) ზოგადი რეკომენდაცია N35, პარაგრაფი 29(ე); ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე M.C. v Bulgaria (No. 39272/98), პარაგრაფი 181.

69. უფრო ვრცლად იხ. თამარ დეკანოსიძე, „ქალთა მიმართ სექსუალური ძალადობის დანაშაულებზე მართლმსაჯულების განხორციელება საქართველოში“, საქართველოს სახალხო დამცველი, 2020, გვ. 30-32. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3OGsrRk

70. უფრო ვრცლად იხილეთ „საფარის“ ონლაინ კონფერენცია “სქესობრივი დანაშაულები: გამოწვევები კანონმდებლობასა და პრაქტიკაში”, 11 მარტი 2021. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3Ed02x9

71. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მუხლი 57 (1)(თ).

72. უფრო ვრცლად იხ. ბაია პატარაია, „ეკონომიკური ძალადობა - შეუსწავლელი პრობლემა“, „საფარი“, 2021. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2WNIkiu

საკუთარი ინიციატივით გამოსცეს შემაკავებელი ორდერი, მათ შორის, ეკონომიკური ძალადობის დროსაც[73], თუმცა, სისხლის სამართლის კოდექსი ოჯახში ძალადობის ფორმებად არ მიიჩნევს ეკონომიკურ ძალადობას, რაც პრობლემაა[74]. შესაბამისად, ქართული კანონმდებლობის მიხედვით, ეკონომიკურ ძალადობაზე რეაგირების ერთადერთი მექანიზმია შემაკავებელი ან დამცავი ორდერის გამოცემა. შინაგან საქმეთა სამინისტროს ოჯახში ძალადობის სტატისტიკის თანახმად, 2021 წელს, სულ გამოიცა 9376 შემაკავებელი ორდერი[75]. ეკონომიკური ძალადობა დაფიქსირდა 203 შემთხვევაში[76], რაც შეადგენს 2.2%-ს, მაშინ, როცა სხვა ქვეყნების კვლევების თანახმად, ეკონომიკური ძალადობა ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა 94-99%-ს მიემართება[77].

ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა

საკონსტიტუციო სასამართლოს სარჩელით 2021 წელს მიმართა მოქალაქეთა პოლიტიკურმა გაერთიანებამ „ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის“ და რამდენიმე ფიზიკურმა პირმა (სულ 12 მოსარჩელე), მუნიციპალიტეტის ორგანოთა საერთო არჩევნებში სავალდებულო კვოტირების წესის გასაუქმებლად. 2021 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნული სარჩელი დაუშვებლად ცნო.

2021 წლის 28 ივნისს, „საქართველოს საარჩევნო კოდექსში“ შეტანილი ცვლილებით, არსებითად შეიცვალა და გაუარესდა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის პარტიული (პროპორციული) სიების შედგენის წესი. კერძოდ, პოლიტიკური პარტია ვალდებული იქნება, 2028 წლამდე ჩასატარებელი ადგილობრივი თვითმმართველობის ყველა არჩევნებისთვის ისე შეადგინოს პარტიული სია, რომ ყოველი მეორე კანდიდატის მაგივრად, სამი კანდიდატიდან ერთი მაინც იყოს განსხვავებული

73. მუხლი 11(3).
74. მუხლი 126^1(1)
75. სტატისტიკა ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3O16TyI
76. სტატისტიკა ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3xiYnVn
77. Berkley Economic Review, Economic Abuse, 2 აპრილი, 2019, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3KtLYIe

სქესის წარმომადგენელი[78]. ეს ცვლილებები მოულოდნელად აისახა კანონპროექტში, პირდაპირ მეორე მოსმენით განხილვის ეტაპზე, მაშინ, როცა პირველი მოსმენისას, ეს საკითხი საერთოდ არ დასმულა და შესაბამისად, არც საჯაროდ განხილულა საკომიტეტო და პლენარულ სხდომებზე[79].

საანგარიშო პერიოდში, განსაკუთრებით პრობლემურად გამოიკვეთა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში პარტიულ კოორდინატორებად ჩართული ქალების შრომითი და სხვა უფლებების დარღვევის ფაქტები. ქალთა მოძრაობის შეფასებით, ხშირად ქალებს სიღარიბის გამო უწევთ დათანხმდნენ პარტიის კოორდინატორობას და ამ სამუშაოს შესრულებისას, ზოგჯერ მათ აიძულებენ ისეთ უკანონო საქმიანობაში მონაწილეობას, როგორიცაა ხმის სანაცვლოდ ფულის დარიგება, ამომრჩევლის ნებაზე ზეგავლენა, ზეწოლა/მუქარა და სხვა[80].

რეკომენდაციები

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საერთაშორისო საქმეები

- საქართველოს ხელისუფლებამ სრულად და ეფექტურად აღასრულოს საერთაშორისო ორგანოების გადაწყვეტილებები; აღსრულების პროცესში, აქტიურად ითანამშრომლოს როგორც მომჩივნებთან, ისე - არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

სექსუალური ძალადობა

- სისხლის სამართლის კოდექსში არსებული გაუპატიურებისა და სხვა სქესობრივი დანაშაულების დეფინიციები და სისხლისსამართლებრივი დევნის პრაქტიკა მოვიდეს შესაბამისობაში სტამბოლის კონვენციასა და სხვა საერთაშორისო სტანდარტებთან.

78. იხ. 2021 წლის 28 ივნისის ორგანული კანონი N 703-Vრს-Xმპ. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3rdsFVB

79. იხ. ქალთა მოძრაობის 2021 წლის 23 ივნისის საგანგებო განცხადება. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3O2aMTt

80. უფრო ვრცლად იხილეთ ქალთა მოძრაობის 2021 წლის 4 ნოემბერის განცხადება კოორდინატორი ქალების უფლებების დასაცავად. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3rh4RAm იხ., ასევე, პრესკონფერენცია: https://bit.ly/38An1Xb

ქალთა მიმართ ეკონომიკური ძალადობა

- სისტემატური ეკონომიკური ძალადობა გახდეს დასჯადი სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით.

ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა:

- გაძლიერდეს სავალდებულო გენდერული კვოტები, რათა ქალთა წარმომადგენლობის მინიმუმ 30% იქნას უზრუნველყოფილი საარჩევნო კანონმდებლობით;
- აღიკვეთოს კოორდინატორი ქალებისათვის უკანონო დავალებების მიცემის პრაქტიკა და გამოძიებულ იქნას მათ მიმართ ჩადენილი შესაძლო დანაშაულები.

ლგბტ(ქ)ი ადამიანები

კოვიდ-19-ის პანდემიის გავლენა ლგბტ(ქ)ი ადამიანების ცხოვრებაზე

ოვიდ-19-ით გამოწვეულმა პანდემიამ და მასთან დაკავშირებულმა შეზღუდვებმა მნიშვნელოვნად გააუარესა ლგბტ(ქ)ი ადამიანების მდგომარეობა საქართველოში. აღნიშნული შეზღუდვების ფონზე, გაუარესდა ლგბტ(ქ)ი პირთა შრომითი უფლებრივი მდგომარეობა[81]. ვინაიდან, თემის დასაქმებული წევრების დიდი ნაწილი გართობის, ხელოვნების, დასვენების ან განთავსების და კვებით მომსახურების სფეროებშია დასაქმებული[82] და აღნიშული შეზღუდვების შედეგად, ეს სფეროები ყველაზე მეტად დაზარალდნენ, თემის წევრების ყოველთვიური შემოსავლების მედიანური მაჩვენებელი კარანტინის დროს სამჯერ შემცირდა და 300 ლარი შეადგინა[83], რამაც, ფინანსურთან ერთად, თემის წევრების სოციალური ცხოვრების მრავალ ასპექტზე იქონია გავლენა.

აღსანიშნავია, რომ წინა წლის მსგავსად, სახელმწიფოს ანტიკრიზისული პოლიტიკა კვლავ ვერ პასუხობს ლგბტ(ქ)ი პირთა საჭიროებებს, რაც უარყოფითად აისახება თემის წევრების სოციო-ეკონომიკურ მდგომარეობაზე. აღნიშნულს მოწმობს საზღვარგარეთ საცხოვრებლად წამსვლელ თემის წევრთა მზარდი რაოდენობა, პანდემიის დაწყების წლიდან[84].

ჰომო/ბი/ტრანსფობიური ძალადობა

ლგბტ(ქ)ი პირთა მიმართ ჩადენილი სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით, პროგრესულ ნაბიჯად შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ საქართველოს პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს და უზენაესი სასამართლოს ერთობლივ ანგარიშში, მსხვერ-

81. ლგბტქი ადამიანების შრომითი უფლებები და დასაქმება კოვიდ-19-ის პანდემიის კონტექსტში, ნუკრი ტაბიძე, 2021 წელი, კვლევა მისაწვდომია შემდეგ ბმულზე: https://bit.ly/3NO7GT1 წყარო ბოლოს ნანახია: 14.04.2022.

82. იქვე.

83. კოვიდ-19-ის გავლენა ლგბტ(ქ)ი თემზე, ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი (WISG), 2022 წელი. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3MwrsB8

84. აღნიშნული მონაცემი ეყრდნობა „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის“ დაკვირვებას სხვადასხვა სამედიცინო და სოციალური სერვისის მიმღებ პირთა ჯგუფზე.

პლისა და მოძალადის სოციალური კავშირის ჩამონათვალში გაჩნდა კატეგორია „ინტიმური პარტნიორი“[85]. აღნიშული ჩანაწერი აჩენს ერთი და იმავე სქესის წყვილებს შორის მომხდარი ძალადობის შესახებ მონაცემთა შეგროვების შესაძლებლობას. თუმცა, ოჯახის წევრის განმარტებაში ინტიმური პარტნიორის არარსებობის გამო, კვლავ გამოწვევაა ერთი და იმავე სქესის პარტნიორებს შორის მომხდარი ძალადობის შემთხვევების იდენტიფიცირება, რაც ნეგატიურად აისახება მათ მიერ დაცვისა და დახმარების სერვისებით სარგებლობაზე, რადგან მათ არ მიუწვდებათ ხელი შემაკავებელი და დამცავი ორდერებით სარგებლობის შესაძლებლობაზე. ამავე დროს, აღსანიშნავია, რომ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ლგბტ(ქ)ი თემის წევრზე ოჯახის წევრის მხრიდან განხორციელებულ ძალადობაზე რეაგირებისას, დანაშაულის დისკრიმინაციული ნიშნის იდენტიფიცირება.

სამართალდამცავი უწყებებისა და უზენაესი სასამართლოს ერთობლივი ანგარიშის თანახმად, 2021 წელს გენდერული იდენტობის ნიშნით 24, ხოლო სექსუალური ორიენტაციის ნიშნით - 12 პირის მიმართ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა[86], მაშინ, როცა 2020 წელს სექსუალური ორიენტაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით დანაშაულის ჩადენისთვის 8 პირის მიმართ, ხოლო გენდერული იდენტობის ნიშნით - 9 პირის მიმართ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა[87]. გამოწვევად რჩება არსებითი სხვაობა სამართალდამცავი უწყებების მიერ გამოვლენილ სოგი-ს ნიშანსა და თემის წევრების მიერ განცდილი ძალადობის სტატისტიკას შორის[88].

85. დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის ერთიანი ანგარიში, 2021 წელი, ანგარიში მისაწვდომია შემდეგ ბმულზე: https://bit.ly/3LEOk0R წყარო ბოლოს ნანახია: 14.04.2022.

86. იქვე.

87. საქართველოს სახალხო დამცველის ყოველწიური საპარლამენტი ანგარიში, 2020 წელი, ანგარიში ხელმისაქვდომია შემდეგ ბმულზე: https://bit.ly/3wWCoDE წყარო ბოლოს ნანახია: 14.04.2022.

88. ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის (WISG) მიერ ჩატარებული კვლევა, კოვიდ-19-ის გავლენა ლგბტ(ქ)ი თემზე, რომლის საველე სამუშაოები 2020 წელს ჩატარდა, ასახავს თემის წევრების 2018-2020 წლების ძალადობის გამოცდილებებს. აღნიშნული კვლევის თანახმად, რესპონდენტთა 73.5% (N=155) ერთხელ მაინც გამხდარა სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მსხვერპლი. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3MwrsB8

ასევე, აღსანიშნავია, რომ კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთა მსხვერპლთათვის განკუთვნილი სახელმწიფო სერვისების არარსებობა, რაც ნეგატიურად ზემოქმედებს ამგვარი დანაშაულის მსხვერპლთა მიერ სამართალდამცავი უწყებებისთვის მიმართვიანობაზე.

ტრანსი ადამიანები

კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება ტრანს-სპეციფიკურ ჯანდაცვის სერვისებზე წვდომა. აღნიშნული საკითხი პრობლემურია, როგორც ფინანსური წვდომის, ასევე, სახელმწიფოს მიერ აღნიშნული სერვისების ხარისხის კონტროლის თვალსაზრისით. არაერთი რეკომენდაციის მიუხედავად, საქართველოში ჯერ კიდევ არ მომხდარა ტრანს-სპეციფიკური ჯანდაცვის სერვისების სამედიცინო ეროვნული გაიდლაინებისა და პროტოკოლების შემუშავება, რაც სახელმწიფოს ბერკეტს მისცემდა, გაეკონტროლებინა აღნიშნული სერვისის ხარისხი[89].

ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ ტრანსი ადამიანებისთვის საქართველოში განსაკუთრებულ გამოწვევას წარმოადგენს გენდერის სამართლებრივი აღიარების მოქნილი და თვითიდენტიფიკაციაზე დაფუძნებული მექანიზმის არარსებობა. 2021 წელს, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ ტრანსი ქალის მოთხოვნა დააკმაყოფილა და მისი გენდერის მარკერი „მამრობითი“, „მდედრობითით“ შეცვალა[90]. სააგენტომ აღნიშნული გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც ტრანსმა ქალმა სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობა წარადგინა იმის დასტურად,

89. ტრანს-სპეციფიკური ჯანდაცვის სამედიცინო პროტოკოლებისა და გაიდლაინების შექმნის შესახებ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2020 წელს ზოგადი წინადადებით მიმართა საქართველოს სახალხო დამცველმა. ინფორმაცია მისაწვდომია შემდეგ ბმულზე: https://bit.ly/3uTLaQ5 წყარო ბოლოს ნანახია: 14.04.2022. ტრანს-სპეციფიკური ჯანდაცვის სამედიცინო პროტოკოლებისა და გაიდლაინების შექმნის შესახებ საქართველოს რეკომენდაციით მიმართა გაეროს დამოუკიდებელმა ექსპერტმა სოგი ნიშნით ძალადობის საკითხებში. რეკომენდაცია მისაწვდომია შემდეგ ბმულზე: https://bit.ly/36Q5qKC წყარო ბოლოს ნანახია: 14.04.2022.

90. აღნიშნული საქმის შესახებ, დეტალური ინფორმაცია მისაწვდომია შემდეგ ბმულზე: https://bit.ly/3j59byb წყარო ბოლოს ნანახია: 14.04.2022.

რომ მან ჩაიტარა სქესის კვლავმინიჭების ქირურგიული ოპერაცია[91]. საა-გენტოს აღნიშნული გადაწყვეტილება მხოლოდ ილუსტრაციაა იმ დამ-კვიდრებული პრაქტიკისა, რომლის თანახმად, სახელმწიფო ტრანსი ადამიანების გენდერს მხოლოდ იმ შემთხვევაში აღიარებს სამართლებ-რივად, თუ ისინი დაექვემდებარებიან ხშირად არასაჭირო და ინვაზიურ სამედიცინო ჩარევას, რომელიც თავის თავში მოიაზრებს სტერილიზა-ციას. აღნიშნულ პრაქტიკას შესაბამისი სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნია და ასევე, არ არის შესაბამისობაში ადამიანის უფლებების საერ-თაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებთან.

შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება

წინა წლების მსგავსად, ორგანიზატორებს 2021 წელსაც არ მიეცათ „ღირსების მარშის“ ჩატარების შესაძლებლობა. აღსანიშნავია, რომ ღო-ნისძიების დღემდე, ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან ადგი-ლი ჰქონდა ჰომოფობიური განწყობების წამახალისებელ არაერთ გან-ცხადებას, მათ შორის, პრემიერ-მინისტრის განცხადებას, რომელმაც ღონისძიების ჩატარების მიზანშეუწონლობაზე ისაუბრა იმ პირობებში, როცა მის ჩატარებას „95% ეწინააღმდეგება“[92]. აღნიშნული განცხადე-ბა, სავარაუდოდ, რადიკალურად განწყობილი ჯგუფების 5-6 ივლისს მა-სიური მობილიზების ერთ-ერთი წამახალისებელი ფაქტორი აღმოჩნდა, რასაც შედეგად არეულობა, დაგეგმილი „ღირსების მარშის“ გაუქმება, ჟურნალისტების ფიზიკური დაზიანება, სამოქალაქო ორგანიზაციების „სირცხვილიას“, „ადამიანის უფლებათა სახლისა“ და „თბილისი პრაი-დის“ ოფისებზე თავდასხმა მოჰყვა[93]. ოფისების დარბევის ეპიზოდზე, დღეის მდგომარეობით, სამ პირს აქვს ბრალი წარდგენილი[94].

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად 5-6 ივლისის ძალადობრივი მოვლენე-

91. იქვე.

92. საქართველო პრემიერ-მინისტრის განცხადება მისაწვდომია შემდეგ ბმულზე: https://bit.ly/3j8eKMl წყარო ბოლოს ნანახია: 14.04.2022.

93. ინფორმაცია მისაწვდომია შემდეგ ბმულზე: https://bit.ly/3v5KSG1 წყარო ბოლოს ნანახია: 14.04.2022.

94. ინფორმაცია მისაწვდომია შემდეგ ბმულზე https://bit.ly/3joYmar წყარო ბოლოს ნანახია: 14.04.2022.

ბის ირგვლივ განხორციელებული არაერთი საგამოძიებო მოქმედებისა და სახალხო დამცველის მიერ გამოცემული ზოგადი წინადადებებისა, მომხდარიყო ჯგუფური ძალადობის ორგანიზებასა და ძალადობრივი ქმედებისკენ საჯაროდ მოწოდებაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისგებაში მიცემა[95], დღემდე არ არის დაკავებული კონტრაქციის არც ერთი ორგანიზატორი პირი. 5-6 ივლისს განვითარებული მოვლენები აისახა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების იმპლემენტაციის ანგარიშში[96], ასევე, ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისრის ვიზიტის შემდგომ განცხადებაში[97].

ზემოხსენებულთან მიმართებაში აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოს არ გააჩნია მკაცრი და თანმიმდევრული პოლიტიკა რადიკალურად განწყობილი ჯგუფების მიმართ, რაც ამგვარი აგრესიული და ძალადობრივი გამოვლინებების პრევენციას მოახდენდა.

აღსანიშნავია, რომ 2021 წლის მიწურულს, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება საქმეზე, *WOMEN'S INITIATIVE'S SUPPORTING GROUP and others vs. Georgia,* რომელიც 2013 წლის 17 მაისს IDAHOT[98] აღნიშვნის დღისადმი მიძღვნილ აქციაზე განვითარებულ მოვლენებსა და უფლებადარღვევებს შეეხება. სასამართლომ დაადგინა ადამიანის უფლბათა ევროპული კონვენციის მე-3 (წამების აკრძალვა), მე-11 (შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება) და მე-14 (დისკრიმინაციის აკრძალვა) მუხლების დარღვევა[99].

აღნიშნული გადაწყვეტილებით, სასამართლომ დაადგინა, რომ ხელისუფლებამ ვერ მიიღო აქტივისტების დაცვისთვის ეფექტიანი ზომები, მიუხედავად იმისა, რომ ჯეროვნად იყო ინფორმირებული შესაბამისი რისკების მოსალოდნელობის შესახებ. ასევე, მტკიცებულებებით დასტურდება,

95. ინფორმაცია სახალხო დამცველის მიერ გაცემული წინადადების შესახებ მისაწვდომია შემდეგ ბმულზე: https://bit.ly/3vdiEt3 წყარო ბოლოს ნანახია: 14.04.2022.

96. ასოცირების შემტანხმების იმპლემენტაციის ანგარიში მისაწვდომია შემდეგ ბმულზე: https://bit.ly/3O8DG4o წყარო ბოლოს ნანახია: 14.04.2022.

97. საქართველოში ვიზიტის შემდგომი განცხადება მისაწვდომია შემდეგ ბმულზე: https://bit.ly/3E9JXIz წყარო ბოლოს ნანახია: 14.04.2022.

98. ჰომოფობიასთან, ტრანსფობიასა და ბიფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღე.

99. სასამართლოს გადაწყვეტილება მისაწვდომია შემდეგ ბმულზე: https://bit.ly/3DI6T1v წყარო ბოლოს ნანახია: 14.04.2022.

რომ ადგილი ჰქონდა ძალადობის აქტების სახელმწიფოს მხრიდან წაქეზებას/თანხმობას. ამავე დროს, სასამართლომ დაადასტურა, რომ 2013 წლის 17 მაისს მომხდარ უპრეცედენტოდ მასშტაბურ ძალადობაზე ზეგავლენა მოახდინა თემის წევრებზე წარსულში განხორციელებეული თავდასხმების დროული და ობიექტური გამოძიების განუხორციელებლობამ სახელმწიფოს მხრიდან[100]. უნდა აღინიშნოს, რომ გადაწყვეტილება და ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მხრიდან მისი აღსრულების მონიტორინგის პროცესი, საქართველოში ლგბტ(ქ)ი პირთა შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების აღსრულებისთვის მნიშვნელოვანი საფუძველი იქნება[101].

რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობას:

- დროულად მოხდეს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავება და დამტკიცება. შემუშავების პროცესში, უზრუნველყოფილ იქნას ლგბტ(ქ)ი თემის წევრების ჩართულობა, მათი საჭიროებების მაქსიმალური ასახვის მიზნით;
- შემუშავდეს რადიკალურად განწყობილ ჯგუფებთან გამკლავების მკაცრი და თანმიმდევრული პოლიტიკა.

საქართველოს გენერალურ პროკურატურას:

100. ინფორმაცია მისაწვდომია შემდეგ ბმულზე: https://bit.ly/36VKaTt წყარო ბოლოს ნანახია: 14.04.2022.

101. ამავე დროს, აღსანიშნავია, რომ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა, სახელმწიფოს პოზიციის მიუხედავად, დაესრულებინა ე. წ. იდენტობას ჯგუფის საქმეების გადაწყვეტილების აღსრულების მონიტორინგი, მიიღო გადაწყვეტილება, გაეგრძელებინა მონიტორინგი 2022 წლის ბოლომდე. კომიტეტმა გაითვალისწინა არასამთავრობო ორგანიზაციების პოზიცია, რომლის თანახმად, მთავრობის მიერ გადადგმული არაერთი პროგრესული ნაბიჯის მიუხედავად, სახელმწიფოს არ გააჩნია სისტემური მიდგომა ლგბტ(ქ)ი პირთა უფლებების დაცვის მიმართ, რის შედეგადაც, თემის წევრებს დღემდე არ ეძლევათ შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლების განხორციელების შესაძლებლობა. შესაბამისი დოკუმენტაცია მისაწვდომია შემდეგ ბმულებზე: https://bit.ly/3r33hC7 ; https://bit.ly/3uZU5iX ; https://bit.ly/3NT095t; წყაროები ბოლოს ნანახია: 14.04.2022

- დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა 5-6 ივლისის ძალადობრივი ქმედებების ყველა ორგანიზატორისა და სხვა პასუხისმგებელი პირების მიმართ;

საქართველოს პარლამენტს და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს:

- შემუშავდეს მოქნილი, მისაწვდომი და თვითიდენტიფიკაციაზე დაფუძნებული გენდერის სამართლებრივი აღიარების მექანიზმი, როგორც სრულწლოვანი, ისე - არასრულწლოვანი პირებისთვის, რომელიც თავისუფალი იქნება ინვაზიური და ადამიანის უფლებების საერთაშორისო სტანდარტებთან შეუსაბამო წინაპირობებისგან[102].

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს:

- მოხდეს ტრანს-სპეციფიკური ჯანდაცვის სერვისების ეროვნული გაიდლაინებისა და პროტოკოლების შემუშავება და პროცესში თემის წევრებისა და საკითხის შესაბამისი ექსპერტიზის მქონე ორგანიზაციების ჩართვის უზრუნველყოფა.

საქართველოს პარლამენტს:

- ერთი და იმავე სქესის წყვილებს შორის ძალადობის შემთხვევებზე ეფექტიანი რეაგირების განხორციელების მიზნით, ოჯახის წევრთა ჩამონათვალს დაემატოს „ინტიმური პარტნიორის“ ცნება.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს:

- სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების მიზნით, მოხდეს შესაბამისი სახელმწიფო სერვისების შემუშავება და დანერგვა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს:

- როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური განათლების სის-

102. გენდერის სამართლებრივი აღიარების თვითიდენტიფიკაციაზე დაფუძნებული მექანიზმის შემუშავების შესახებ საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს, 2022 წელს მოუწოდა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმაც. მინისტრთა კომიტეტის რეზოლუცია 2418 (2022) მისაწვდომია შემდეგ ბმულზე: https://bit.ly/3M4jorf წყარო ბოლოს ნანახია: 14.04.2022.

ტემებში დაინერგოს ადამიანის სექსუალობის შესახებ ყოვლისმომ-
ცველი განათლების კომპონენტი, რომელიც მოიცავს სექსუალობა-
სა და გენდერულ იდენტობასთან დაკავშირებულ საკითხებს.

არადომინანტი რელიგიური გაერთიანებები

რელიგიური ორგანიზაციების და სასულიერო პირების სავარაუდო უკანონო თვალთვალი და მიყურადება

13 სექტემბერს მედიასა და ინტერნეტ სივრცეში გავრცელდა ინფორმაცია სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ მასშტაბური უკანონო ფარული მოსმენებისა და თვალთვალის შესახებ[103]. საიდუმლო ფაილები, უმთავრესად, უკავშირდება რელიგიისა და რელიგიური ორგანიზაციების საქმიანობას. ფაილებში არსებულმა ინფორმაციამ აჩვენა, რომ ხელისუფლება უსმენს არასამთავრობო ორგანიზაციებს, ჟურნალისტებს, პოლიტიკურ ოპოზიციას, რელიგიურ გაერთიანებებს - როგორც საპატრიარქოს, ასევე არადომინანტურ რელიგიურ ჯგუფებს. გავრცელებული მონაცემთა ბაზა შეიცავს ადამიანების პირადი ცხოვრების, მათი ოჯახის წევრების, ახლობლებისა და სხვა ადამიანებთან ურთიერთობის შესახებ ინფორმაციას. 2021 წლის 18 სექტემბერს, გენერალური პროკურატურის მიერ გავრცელებული განცხადების თანახმად, გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის 158-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-4 ნაწილებით (კერძო კომუნიკაციის საიდუმლოების დარღვევა) გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით)[104]. სახალხო დამცველთან არსებულმა რელიგიათა საბჭომ აღნიშნული ფაქტები კრიტიკულად შეაფასა[105].

სახელმწიფოს მხრიდან რელიგიური გაერთიანებების შესაძლო კონტროლის შესახებ ფაქტებს წარსულშიც არაერთხელ ჰქონდა ადგილი. მაგალითისთვის, თვალსაჩინოა 2013 წელს სახელმწიფო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი უწყების წარმომადგენლების მიერ შეიხ ვაგიფ აქპეროვის სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს შეიხის თანამ-

103. 2021 წლის განცხადება გავრცელებულ უკანონო ჩანაწერებზე ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3rGaEiX

104. იხ. სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“, გვ. 161. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/38Z6Qmw

105. საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა საბჭოს განცხადება, 19.09.2021. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3rFWWg8

დებობიდან იძულებით გადაყენება[106]. აღსანიშნავია, რომ 2021 წლის 21 მარტს, ტელეკომპანია მთავარის ინფორმაციით[107], სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ყოფილმა თანამშრომელმა ინტერვიუში აღიარა, რომ ვაგიფ აქპეროვის კომპიუტერზე მან ვირუსული ფაილი ფარულად ჩატვირთა შეიხის პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის ფარულად მოპოვების მიზნით[108], რასთან დაკავშირებითაც, საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ, მანამდე მიმდინარე გამოძიებისგან ცალკე წარმოების სახით დაიწყო შესაბამისი გამოძიება.

უთანასწორობა საქართველოს კანონმდებლობაში

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების მიუხედავად, არადომინანტური რელიგიური გაერთიანებების მიმართ არსებული დისკრიმინაცია საქართველოს კანონმდებლობაში არ აღმოფხვრილა. 2021 წლის 11 ივნისს, საკონსტიტუციო სასამართლომ არსებითად განსახილველად ნაწილობრივ მიიღო წარმოებაში ცხრა რელიგიური გაერთიანების სარჩელი იმპორტის გადასახადზე[109]. კონსტიტუციური სარჩელით, რელიგიური ორგანიზაციები ითხოვენ საქართველოს საგადასახადო კოდექსის იმ ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობას, რომელიც რელიგიური დანიშნულების საგნების იმპორტირებისას, მართლმადიდებელი ეკლესიის გარდა, ყველა სხვა რელიგიურ გაერთიანებას იმპორტის და დღგ-ის გადახდის ვალდებულებას აკისრებს.

გარდა ამისა, 2021 წლის 16 დეკემბერს, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ წარმოებაში მიიღო რელიგიური ორგანიზაციების კიდევ ერთი სარჩელი[110], რომლითაც მოსარჩელეები ითხოვენ "სახელმწიფო

106. TDI ყოფილი შეიხის წინააღმდეგ ჩადენილი სავარაუდო დანაშაულების გამოძიებას ითხოვს, 2016. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/38dITaB

107. ხემლისაწვდომია: https://bit.ly/3rKASkp

108. იხილეთ TDI-ს 2021 წლის განცხადება შეიხ ვაგიფ აქპეროვის საქმესთან დაკავშირებით: https://bit.ly/3ED0FjU

109. საკონსტიტუციო სასამართლომ წარმოებაში მიიღო რელიგიური გაერთიანებების სარჩელი იმპორტის გადასახადზე, 2021. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3L8cf98

110. საკონსტიტუციო სასამართლომ წარმოებაში მიიღო რელიგიური ორგანიზაციების კიდევ ერთი სარჩელი, 2021. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3JZX3cQ

ქონების შესახებ" საქართველოს კანონში არსებული ჩანაწერის (მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „მ" ქვეპუნქტი) იმ ნორმატიული შინაარსის არაკონსტიტუციურად ცნობას, რომელიც რელიგიურ ორგანიზაციებს უკრძალავს, სახელმწიფოსგან საკუთრებაში მიიღონ რელიგიური და საკულტო ნაგებობები როგორც სასყიდლით[111], ისე - უსასყიდლოდ.

დამატებით, 2020 წლის საკანონმდებლო ცვლილებებით, მართლმადიდებელ ეკლესიას უფლება მიეცა, სახელმწიფოსგან საკუთრების უფლებით მიიღოს ეკლესიების მიმდებარედ არსებული ტყის მასივი, 20 ჰექტარის ოდენობით. 2021 წელს, სახალხო დამცველმა საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრა სახელმწიფო ქონების შესახებ კანონის ზემოაღნიშნული ნორმა (მე-3 მუხლის მე-6 პუნქტი), რომელიც მხოლოდ მართლმადიდებელ ეკლესიას ანიჭებს უფლებას, საკუთრებაში მიიღოს ეკლესიების გარშემო არსებული ტყის მასივი[112]. აღნიშნულ საკითხზე საკონსტიტუციო სასამართლოში სხვა დამოუკიდებელი სარჩელიც შევიდა[113].

ბათუმის ახალი მეჩეთის მშენებლობასთან დაკავშირებული საკითხი

2021 წელს, ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ უცვლელად დატოვა ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის საკითხზე ბათუმის მერიის უარი დისკრიმინაციულად და უკანონოდ იქნა მიჩნეული. სააპელაციო პალატამ დამატებით აღნიშნა, რომ ერთი მხრივ, ბათუმის ადგილობრივი თვითმმართველობა მართლმადიდებელ ეკლესიას აძლევს შესაძლებლობას, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე, საცხოვ-

111. გარდა აღნიშნულისა, სასამართლოს წარმოებაშია სარჩელები, რომლებითაც რელიგიური ორგანიზაციები დაობენ საგადასახადო კოდექსით დადგენილი ქონების გადასახადის და სახელმწიფო ქონების კანონით დადგენილი სახელმწიფო ქონების ყიდვის შესაძლებლობის დისკრიმინაციულ შინაარსზე.

112. საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის 22 ივლისის კონსტიტუციური სარჩელი №1627. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3MGZPWO

113. სოციალური სამართლიანობის ცენტრის განცხადება, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3rFfuNF

რებელი სახლებით მჭიდროდ დასახლებულ კვარტლებში, ააშენოს საკულტო ნაგებობები და ისარგებლოს რელიგიის თავისუფლებით, ხოლო მეორე მხრივ, მუსლიმ თემს, რომელიც საკუთარ მიწის ნაკვეთზე ითხოვს საკულტო ნაგებობის მშენებლობის ნებართვას, უარს ეუბნება, ქალაქგანვითარებითი ინტერესების დაცვის არგუმენტით. საქმემ საქართველოს უზენაეს სასამართლოში გადაინაცვლა[114].

რელიგიური დღესასწაულები

გასული წლის მსგავსად, covid-19-ით გამოწვეული პანდემიისა და შეზღუდვების პირობებში, 2021 წელს კვლავ შენარჩუნდა დიფერენცირებული მოპყრობა რელიგიური კონფესიების მიმართ. ხელისუფლებამ კვლავინდებურად მიანიჭა ექსკლუზიური პრივილეგიები მართლმადიდებელ ეკლესიას. მაგალითად, მაშინ, როდესაც მთავრობის მიერ შეზღუდული იყო გადაადგილების თავისუფლება, გამონაკლისები მხოლოდ მართლმადიდებელი ეკლესიის სასარგებლოდ დაწესდა. მართლმადიდებლურ დღესასწაულებზე მოიხსნა შეზღუდვა 2021 წლის 6 იანვრის ღამეს (ქრისტეშობის დღესასწაული) და 2021 წლის 2 მაისის ღამეს (ქრისტეს აღდგომის დღესასწაული). საქართველოს მთავრობამ სრულად უგულებელყო სხვა რელიგიური კონფესიების ინტერესები რელიგიურ დღესასწაულებზე შეზღუდვების მოხსნასთან დაკავშირებით, რაც დისკრიმინაციული პოლიტიკის გამოვლინებად უნდა შეფასდეს[115].

სავარაუდო სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულები

სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები რელიგიის ნიშნით ისევ გამოწვევაა, თუმცა covid-19 პანდემიის პირობებში შემთხვევებმა იკლო, რაც საჯარო სივრცეში რელიგიური ჯგუფების ნაკლებად გამოჩენით აიხ-

114. იხ. TDI-ს 2021 წლის განცხადება: https://bit.ly/3L9nSMW; აგრეთვე, სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 160. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/38Z6Qmw

115. იქვე, გვ. 169.

სნება[116]. მაგალითად, იეჰოვას მოწმეთა ქრისტიანულ ორგანიზაციას, რომელიც ყველაზე ხშირად ხდება სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის სამიზნე, პანდემიის გამო შეჩერებული ჰქონდა საჯარო შეკრებები და საქმიანობა. 2021 წელს იეჰოვას მოწმეების მიმართ გამოვლინდა რელიგიური შეუწყნარებლობის 6 შემთხვევა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, პროკურატურისა და უზენაესი სასამართლოს 2021 წლის სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების შესახებ ერთიანი სტატისტიკური მონაცემებით, შინაგან საქმეთა სამინისტრომ სავარაუდო რელიგიური შეუწყნარებლობის საფუძველზე 19 საქმეზე დაიწყო გამოძიება; საქართველოს პროკურატურამ დევნა დაიწყო 3 პირის მიმართ, ხოლო 3 პირს დაზარალებულის სტატუსი მიანიჭა. სასამართლოს მონაცემებით კი, 2021 წელს ორი პირი იქნა მსჯავრდებული რელიგიური შეუწყნარებლობის საფუძველზე ჩადენილი დანაშაულებისთვის[117].

აღსანიშნავია მუსლიმთა უფლებების დარღვევის ფაქტები. 2021 წლის იანვარში, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ბუკნარში მუსლიმების დევნის ახალი შემთხვევა დაფიქსირდა. 2020 წელს ადგილობრივმა მუსლიმებმა კერძო სახლი შეიძინეს და სამლოცველო მოაწყვეს, რასაც ადგილობრივი მართლმადიდებლების უკმაყოფილება მოჰყვა. ინციდენტი სიტყვიერ და ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა. 2021 წლის 12 იანვარს, შინაგან საქმეთა სამინისტრომ საქმეზე გამოძიება დაიწყო. ბუკნარში ჩადენილი ძალადობის სხვადასხვა ეპიზოდის გამო, დაზარალებულად ცნეს 5 პირი; ორ პირთან გაფორმდა განრიდების შეთავაზების ოქმი და სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება შეწყდა, ერთ პირს კი ბრალი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 120-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით (ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება) წარედგინა[118]. საქართველოს სახალხო დამცველის შეფასებით, სახელმწიფოს რეაგირება მეტ-ნაკლებად დროული იყო, რაც დაპირისპირების ადგილზე პოლიციის მობილიზებასა და მხარეთა

116. იქვე, გვ. 168.

117. შსს-ს, პროკურატურისა და უზენაესი სასამართლოს 2021 წლის ერთიანი სტატისტიკური მონაცემები ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3v5ml4V

118. იქვე.

შორის მედიაციის პროცესის წარმართვაში გამოიხატა[119], თუმცა, წინა წლებში მომხდარი სხვა რელიგიური კონფლიქტების მსგავსად, სახელმწიფო უწყებებმა არც ამ შემთხვევის შემდეგ შეისწავლეს კონფლიქტის სისტემური მიზეზები და არ გაატარეს გრძელვადიანი ტრანსფორმაციული პოლიტიკა[120].

აღსანიშნავია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2021 წლის ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „მიქელაძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ"[121]. საქმე ეხებოდა 2014 წელს ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ მოხეში პოლიციის მხრიდან რელიგიური შეუწყნარებლობის ნიადაგზე ადგილობრივი მუსლიმების მიმართ განხორციელებულ არასათანადო მოპყრობასა და მასზე წარმოებული გამოძიების არაეფექტიანობას. საქმეზე ევროპული კონვენციის მე-3 და მე-14 მუხლების დარღვევა დადგინდა[122].

საეკლესიო ანტისემიტიზმი

ანტისემიტიზმის საგანგაშო ტენდენცია 2021 წელსაც შენარჩუნდა. 2021 წლის დასაწყისში, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირების ანტისემიტურ ქადაგებებს საჯარო დისკუსია მოჰყვა, ხოლო სოციალურ ქსელებში არაერთი ანტისემიტური შინაარსის კომენტარი გაჩნდა. ეკლესიას და სახელმწიფოს არ გაუკეთებიათ ანტისემიტიზმის კონკრეტული შემთხვევების კრიტიკული შეფასება. 2020 წლის 20 დეკემბერს, ქუთათელ-გაენათელმა მიტროპოლიტმა, საქართველოს საპატრიარქოს განათლების ცენტრის ხელმძღვანელმა იოანე გამრეკელმა

119. სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 166-167. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/38Z6Qmw

120. სოციალური სამართლიანობის ცენტრის კვლევა, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3k8RbTT

121. სოციალური სამართლიანობის ცენტრის განცხადება, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3v41OO7

122. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2021 წლის 16 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე Mikeladze and others v. Georgia, (Application no. 54217/16). ხელმისაწვდომია: https://bit.ly/37HMIoM

ბაგრატის ტაძარში ქადაგებისას ანტისემიტური განცხადებები[123] გააკეთა, რომელზეც გამოხმაურებები 2021 წელსაც გაგრძელდა[124].

კრიზისი ჭყონდიდის ეპარქიაში და სასულიერო პირების უფლებების შეზღუდვის ფაქტები

მიმდინარე წელს კვლავ დაძაბული მდგომარეობა იყო ჭყონდიდის ეპარქიაში. ეპარქიის დროებით მმართველად დანიშნული ეპისკოპოსის სტეფანე კალაიჯაშვილისა და მასთან დაკავშირებული სხვა ჯგუფების მხრიდან კრიტიკული სასულიერო პირების დევნამ მძიმე შინაარსი შეიძინა და მათი განკვეთის, მონასტრებიდან გაძევების და იძულების სხვა ფორმა მიიღო.

2021 წლის 5 ნოემბერს სალხინოს ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძარში მცხოვრებ განკვეთილ სასულიერო პირებთან ჭყონდიდის ეპარქიის დროებით მმართველად დანიშნული ლეჩხუმისა და ცაგერის ეპისკოპოსი სტეფანე კალაიჯაშვილი, საპატრიარქოს იურისტი და საქართველოს საპატრიარქოს ჩოხოსანთა საზოგადოების 50-ზე მეტი პირი მივიდა და მონასტრის ტერიტორიის დაუყოვნებლივი დატოვება მოსთხოვეს. ამაზე სასულიერო პირებმა უარი განაცხადეს. მაშინ, ათეულობით ჩოხოსანი მღვდელმსახურების კელიებში შევიდა და საცხოვრებელი სივრცეები დაიკავა. ადგილზე მყოფი სასულიერო პირები ცდილობდნენ, ადგილზე მოსული პირებისთვის აეხსნათ, რომ არ ჰქონდათ მონასტრიდან მათი გაძევების უფლება, თუმცა, პოლიციამ სწორედ ადგილზე მყოფი რამდენიმე სასულიერო პირი დააკავა და მარტვილის პოლიციის სამმართველოში გადაიყვანა[125], ხოლო ჩოხოსნების მიმართ, რომლებიც მონასტრის ტერიტორიაზე შეიჭრნენ და იქ მცხოვრები სასულიერო პირების საცხოვრებელი კელიები თვითნებურად დაიკავეს, პოლიციას რეაგირება არც კი მოუხდენია. აშკარაა, რომ განსახილველ შემ-

123. იხ. კოალიციის 2020 წლის ანგარიში „დისკრიმინაციისგან დაცვის უფლების განხორციელება სხვადასხვა ჯგუფისთვის საქართველოში“, გვ. 65. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/39asuEC

124. საეკლესიო ანტისემიტიზმი - განახლებადი ინფორმაცია, 2021. https://bit.ly/3vEEgP9

125. სოციალური სამართლიანობის ცენტრის შეფასება, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3vAQBUy

თხვევაში, სასულიერო პირების იძულებითი გამოსახლება საპატრიარქომ დაიწყო სამართლებრივი პროცედურების გვერდის ავლით და სასულიერო პირებს იძულებით დაატოვებინეს საცხოვრებელი ადგილი.

რეკომენდაციები

საქართველოს პარლამენტს:

- აღმოფხვრას სახელმწიფო ქონების კანონში, საგადასახადო კოდექსსა და ტყის კოდექსში არსებული დისკრიმინაციული ნორმები, რომელებიც არადომინანტური რელიგიური გაერთიანებებისთვის უთანასწორო გარემოს ქმნის;
- გააძლიეროს საპარლამენტო კონტროლის მექანიზმები ქვეყანაში რელიგიის თავისუფლებისა და თანასწორობის დაცვის მიმართულებით.

საქართველოს მთავრობას:

- სახელმწიფოს მაღალი თანამდებობის პირებმა გააკეთონ დროული და მკაფიო განცხადებები რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის, ანტისემიტიზმის, სიძულვილისა და ძალადობის წინააღმდეგ;
- დაიცვას სეკულარობის, თანასწორობისა და დისკრიმინაციის აკრძალვის პრონციპები და უზრუნველყოს ყველას მიერ რელიგიისა და რწმენის თავისუფლებით განუხრელი სარგებლობა, მათ შორის - რელიგიური დღესასწაულების აღნიშვნისას.

საქართველოს პროკურატურას:

- უზრუნველყოს სავარაუდოდ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ მასშტაბური უკანონო ფარული მოსმენისა და თვალთვალის ფაქტების გამოძიება და დადგეს შესაბამისი თანამდებობის პირების პასუხისმგებლობა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს და პროკურატურის ორგანოებს:

- უზრუნველყონ რელიგიური შეუწყნარებლობის საფუძველზე ჩადენილი დანაშაულების სისტემური პრევენცია, და ასევე დროული და ეფექტიანი გამოძიება;

- შეიმუშაოს და დანერგოს რელიგიური და ეთნიკური კონფლიქტების იდენტიფიკაციის, პრევენციისა და სათანადო რეაგირების ინსტრუქციები, რომელიც სხვა ქვეყნების საუკეთესო გამოცდილებებსა და ადამიანის უფლებების სტანდარტებს დაეფუძნება;
- ჭყონდიდის ეპარქიაში მიმდინარე მოვლენებთან კავშირში პოლიციამ განუხრელად დაიცვას რელიგიური მიუმხრობლობის და კანონის უზენაესობის პრინციპი.

ადგილობრივ თვითმმართველობებს:

- იხელმძღვანელონ თანასწოუფლებიანობისა და სეკულარობის პრინციპებით, აღმოფხვრან დისკრიმინაცია სხვადასხვა კონფესიისთვის რელიგიური დანიშნულების ნაგებობების მშენებლობის ნებართვის გაცემისას და ხელი შეუწყონ ყველას მიერ რელიგიისა და რწმენის თავისუფლებით სარგებლობას.

ეთნიკური უმცირესობები

დაბალი მონაწილეობა და გაუცხოება

უმცირესობების როგორც „უცხოების“ აღქმა, კიდევ უფრო გააძლიერა 2021 წლის მარტში პარლამენტის ინიციატივამ, შექმნილიყო უმცირესობების სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის ბაზაზე[126]. მაშინ, როცა საპარლამენტო დონეზე არსებობს ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი, გაუგებარი აღმოჩნდა პარლამენტის გადაწყვეტილება საკონსულტაციო ორგანოს შექმნის თაობაზე დიასპორის კომიტეტის ქვეშ. დიასპორის კომიტეტის კომპეტენციაა ქართული დიასპორის და კავკასიის ხალხებთან პოლიტიკის კოორდინაცია, უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან და კავკასიის ხალხებთან ურთიერთობის ხელშეწყობა. შესაბამისად, გაუგებარია, რატომ შედის მის მანდატში საქართველოში ისტორიულად მცხოვრები, ამ ქვეყნის მოქალაქე ეთნიკური უმცირესობები. ამგვარი ნაბიჯით, მათი აღქმა, როგორც მეზობელ ქვეყანასთან დაკავშირებული მოქალაქეებისა, კიდევ უფრო ძლიერდება და აშორებს საქართველოს სახელმწიფოსგან. ასევე, ბუნდოვანი იყო ამ ორგანოს მანდატი, შემადგენლობის განსაზღვრის წესი, მიზნები და ამოცანები. საზოგადოებრივი აღშფოთების ფონზე, ეს პროცესი შეჩერდა, თუმცა არც პარლამენტს და არც აღმასრულებელ ხელისუფლებას არ შეუქმნია დემოკრატიული და ინკლუზიური ფორმატი ალტერნატიული საკონსულტაციო მექანიზმის შექმნის განსახილველად.

ხანგრძლივი მოთხოვნების მიუხედავად, დემოკრატიული და მდგრადი საკონსულტაციო მექანიზმები ამ დრომდე არ შექმნილა. ერთადერთი მექანიზმი, რომელიც სახალხო დამცველის აპარატთან არსებობს - ეროვნულ უმცირესობათა საბჭო, ქმნის დიალოგის მნიშვნელოვან ფორმატს, თუმცა საჭიროებს გაძლიერებას, განახლებას და აუცილებელია, ხელისუფლებას მასთან რეგულარული და ფორმალური კავშირები ჰქონდეს, რაც ევროპის საბჭოს რეკომენდაციებშიც იყო ასახული[127]. საკონსულტაციო მექანიზმები უმცირესობების პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის

126. პარლამენტში ეროვნული უმცირესობების სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო შეიქმნა, 2021. იხ. https://bit.ly/3rGBsjq

127. მრჩეველთა კომიტეტის მოსაზრება მესამე ციკლის ფარგლებში, 2019, 136. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/37ISGpq

უფლების ერთ-ერთი კრიტიკული ელემენტია და მის შექმნის აუცილებლობას ევროპის საბჭოს მრჩეველთა კომიტეტი საქართველოს შეფასების სამივე ციკლის ფარგლებში უსვამდა ხაზს[128].

უმცირესობებთან დიალოგის პლატფორმების საჭიროება არაერთხელ გამოვლინდა მიმდინარე წელსაც.

2021 წელს საქართველოს აზერბაიჯანელებმა წამოიწყეს კამპანია „გვარი დამიბრუნე“, რითიც ისინი ითხოვენ საბჭოური გვარების ცვლილებას და ავთენტური აზერბაიჯანული გვარების დაბრუნებას. პარლამენტმა ფორმალისტური მიზეზებით საკანონმდებლო ინიციატივა ამ საკითხთან დაკავშირებით განსახილველად არც კი მიიღო, რაც სასამართლოშია გასაჩივრებული[129].

2021 წლის მარტში, საქართველოს აზერბაიჯანელები ასევე ითხოვდნენ „კომენდანტის საათის“ გაუქმებას, ნოვრუზის ტრადიციული დღესასწაულის აღსანიშნავად, რაზეც მთავრობისგან ასევე უარი მიიღეს. ამავე წელს, აქტივისტებმა დაარეგისტრირეს საპარლამენტო ინიციატივა ნოვრუზის უქმე დღედ გამოცხადების შესახებ, რაც ასევე არ მიიღო პარლამენტმა. ამგვარი თვითორგანიზებული, სათემო ინიციატივების უგულებელყოფა, რაც მიზნად ისახავს უმცირესობების მიერ საქართველოს სახელმწიფოსთან მეტი კავშირების გაჩენას, აზიანებს დემოკრატიულ, ინკლუზიურ პროცესებს და ხელს უშლის ინტეგრაციას.

გარდა იმისა, რომ უმცირესობების მონაწილეობა მკვეთრად ასიმეტრიული და სუსტია, საანგარიშო პერიოდში ასევე არ დაწყებულა პროცესი პოლიტიკური რეპრეზენტაციის გაძლიერებაზე მიმართული სპეციალური პოზიტიური მექანიზმების შესაქმნელად. ეს საკითხი არც ათწლიან სახელმწიფო სტრატეგიაშია გათვალისწინებული. 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებმა და 2021 წლის თვითმმართველობის არჩევნებმა კიდევ უფრო ნათელი გახადა ამგვარი პოზიტიური მექანიზმების საჭიროება. 2020 წლის არჩევნების შემდეგ, ეთნიკური უმცირესობების რაოდენობა პარ-

128. მრჩეველთა კომიტეტის მოსაზრება პირველი ციკლის ფარგლებში, 2009, 202-205. მეორე ციკლის ფარგლებში, 2012, 113. მესამე ციკლის ფარგლებში, 2019, 136. ხელ_ მისაწვდომია: https://bit.ly/3OH5H3I

129. #გვარიდამიბრუნე კამპანიის ორგანიზატორების სახელით სასამართლო დავა დაიწყო, 2021. იხ. https://bit.ly/38Z54BQ

ლამენტში მკვეთრად შემცირდა, - 6 დეპუტატამდე. რაც შეეხება თვითმმართველობის არჩევნებს, იგი უმცირესობების რეგიონებში კრიტიკული გამოწვევებით ხასიათდებოდა[130], სადაც ჩანდა სუსტი დემოკრატიის, რეგიონების პერიფერიულობის გამოყენების, სოციალური კონტროლის და ძალადობრივი პრაქტიკები.

პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო პროგრამების ანალიზი ავლენს, რომ მათ არ აქვთ გააზრებული უმცირესობების რეალური საჭიროებები და გამოწვევი მიზეზები[131]. ისინი უფრო მოძველებულ მიდგომებს იყენებენ და ვერ გვთავაზობენ ახალ ხედვებს და მექანიზმებს, რაც ეთნიკური უმცირესობების საჯარო ცხოვრებაში რეალური მონაწილეობისთვის, სამართლიან პოლიტიკური და სოციალური გარემოს შექმნიდა[132].

დაბალი მონაწილეობის პირობებში, ხელისუფლება კვლავ უგულებელყოფს ეთნიკური უმცირესობების ენობრივ საჭიროებებს და არ უზრუნველყოფს სახელმწიფო სერვისებს, ასევე მოსახლეობასა და სახელმწიფო ორგანოებს შორის კომუნიკაციას და ადმინისტრაციულ წარმოებას უმცირესობებისთვის გასაგებ ენაზე[133].

სოციალური კონფლიქტები და თემთა შორის ნდობის მშენებლობა

2021 წლის მაისში, დმანისში საყოფაცხოვრებო ნიადაგზე დაწყებული დავა აზერბაიჯანელებსა და ქართველებს შორის მძიმე დაპირისპირებაში გადაიზარდა, რამაც ეთნიკური შინაარსიც შეიძინა. საგანგაშო იყო საპატრიარქოს განცხადებაც აღნიშნულ კონფლიქტთან დაკავშირებით,

130. „არჩევნები ეთნიკური უმცირესობების რეგიონებში - ძირითადი ტენდენციების და პრაქტიკების ანალიზი“, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2021. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3EFU48w

131. „ხედვა პოლიტიკური პარტიებისთვის მუნიციპალიტეტების ძირითადი საჭიროებების და პოლიტიკური ინტერვენციების შესახებ“, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2021. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3rGh5T9

132. ეთნიკური უმცირესობების უფლებები პარტიების წინასაარჩევნო ხედვებში, 2020. იხ. https://bit.ly/3EAJT4M

133. ხელისუფლება ეთნიკური უმცირესობების ლინგვისტურ საჭიროებებს კვლავ უგულებელყოფს, 2022. იხ. https://bit.ly/3OG2KjM

რომელშიც ეს რეგიონი ,,არასახარბიელო ეთნიკური ბალანსის მქონედ“ მოიხსენია[134]. კონფლიქტის შესწავლისას, ნათელი ხდება, რომ საყოფაცხოვრებო კონფლიქტს მძიმე სოციალური გაუცხოების და უთანასწორობის საფუძვლები აქვს. როგორც წესი, ამ რეგიონებში ხელისუფლება საპოლიციო და უსაფრთხოების მექანიზმებით მუშაობს და სუსტია ინტეგრაციის პოლიტიკა. ნიშანდობლივია, რომ დმანისის შემთხვევის დროსაც, პოლიცია და უსაფრთხოების სამსახურები დომინირებდნენ და არსად ჩანდა სახელმწიფო მინისტრის აპარატი. აშკარაა, რომ ინტეგრაციის პოლიტიკას მოჩვენებითი და ფორმალური ხასიათი აქვს, ის ვერ ახდენს ნდობის და მშვიდობის მშენებლობის ტრანსფორმაციული პროცესების მართვას[135].

ცალკე უნდა აღინიშნოს 2020 წლის ყარაბაღის ომიც. მნიშვნელოვანია, რომ ჩვენმა თანამოქალაქეებმა მშვიდობიანი თანაცხოვრების პრინციპები დაიცვეს. თუმცა, მათი პოლიტიკური და ემოციური ჩართულობა მაინც მაღალი იყო. სახელმწიფოს ეს მდგომარეობა არ მიუჩნევია, როგორც კიდევ ერთი სიგნალი, მშვიდობის, ინტერეთნიკური დიალოგისა და ნდობის მხარდამჭერი კულტურული პლატფორმების შესაქმნელად.

მძიმე სოციალური ყოფა

ინტეგრაციის სუსტი მექანიზმების ფონზე, კვლავ მძიმეა უმცირესობების სოციალური ყოფა და შეზღუდულია ხელმისაწვდომობა საბაზისო რესურსებზე. მარნეულში, სადაც მიწის რესურსები სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, მოსახლეობა წლებია, ითხოვს მისი გამოყენების შესაძლებლობას. სოფელ მეორე ქესალოში დაპირისპირება სწორედ ამ მიზეზით მოხდა ადგილობრივ გლეხებსა და მართლმადიდებელი ეკლესიის ეპარქიას შორის. ეპარქია გლეხებს 5 წლის მანძილზე ართმევდა იჯარის ფულს სამართლებრივი საფუძვლის გარეშე. როცა ადგილობრივებმა მოითხოვეს მიწით სარგებლობის უფლება, ეპარქია მათ შოვინისტურ ნიადაგზე დაუპირისპირდა და მეზობელ სახელმწიფოზე მიუთითა, სადაც მიწების მოთ-

134. ანდრია ჯაღმაიძის სიძულვილის ენის შემცველი განცხადების შეფასება, TDI, 2021. იხ. https://bit.ly/3kkzXmZ

135. დმანისის კონფლიქტი - ყოფით ნიადაგზე დაწყებული დაპირისპირების ეთნიკური შტრიხები, 2021. იხ. https://bit.ly/3MmmuGV

ხოვნა შეეძლოთ. თვითმმართველობის ჩარევის და დაპირებების მიუხედავად, ეს საკითხი კვლავ მოუგვარებელია[136].

მიწის რესურსებთან ხელმისაწვდომობის პრობლემა გამოვლინდა იორმუღანლოშიც, სადაც ადგილობრივები საუბრობენ მერის წარმომადგენლის მიერ მათ მართლზომიერ მფლობელობაში არსებული მიწების მითვისებაზე, ასევე საძოვრების გასხვისების პრობლემაზე ყალბი დოკუმენტაციის საფუძველზე. თვითმმართველობის წარმომადგენლები ბოროტად იყენებენ მოსახლეობის სოციალურ მოწყვლადობას და ენის ცოდნასთან დაკავშირებულ პრობლემებს და მათ არსებობისთვის მნიშვნელოვან რესურსზე წვდომას უზღუდავენ[137].

სამცხე-ჯავახეთში მძიმე სოციალურ ყოფას, ინფრასტრუქტურულ ჩავარდნას და თანმდევ ყოველდღიურ პრობლემებს[138] კვლავ ამძიმებდა მოქალაქეობის მიღებასთან დაკავშირებული გამოწვევები. ჯავახეთში 10000-ზე მეტი ადამიანი, რომლებმაც საქართველოს მოქალაქეობა მეზობელ ქვეყნებში შრომითი მიგრაციის გამო დაკარგეს, საკანონმდებლო და ინსტიტუციური შეზღუდვების გამო ვეღარ ახერხებს მოქალაქეობის აღდგენას[139], რაც, თავის მხრივ, აბრკოლებს ხელმისაწვდომობას მთელ რიგ სახელმწიფო და სოციალურ სერვისებზე.

პანკისის ხეობაში წინა წლებში მომხდარ უსამართლობებს და უსაფრთხოების სამსახურის ტოტალურ კონტროლს, თემირლან მაჩალიკაშვილის სიცოცხლის მოსპობის საქმეს მისი თანამდევი ნეგატიური სოციალური შედეგები დღემდე მოჰყვება. სოციალური უიმედობა ადგილობრივებს აიძულებს, მასობრივად დატოვონ საქართველო. წელს ნიშანდობლივი იყო, ასევე, ერთ-ერთი ადგილობრივისთვის მოქალაქეობაზე უარის თქმის შემთხვევა. ჯაბრაილ ხანგოშვილმა საქართველოს მოქალაქეობა ჩეჩნეთის ომის შემდგომ დაკარგა, დაკარგული ქონებრივი უფლებების

136. გლეხები მარნეულიდან - უფლება და საჭიროება მიწაზე, 2021. იხ. https://bit.ly/3rJ5S-BE

137. იორმუღანლოში გლეხების მიწების უკანონო მითვისების პრაქტიკა დროულ რეაგირებას ითხოვს, 2021. იხ. https://bit.ly/3OvJyVz

138. ჯავახური ზამთრის სირთულეები და თავისებურებები, 2022. იხ. https://bit.ly/3K-6m31W

139. ათასობით ადამიანი ჯავახეთიდან საქართველოს მოქალაქეობის აღდგენის მოლო_ დინში, 2021. იხ. https://bit.ly/3Ovg4qP

აღდგენის მიზნით, და ახლა მის აღდგენაზე ხელისუფლება უარს ამბობს, უსაფრთხოებასთან დაკავშირებული დაუსაბუთებელი მოტივებით[140].

რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობას:

- გააძლიეროს შერიგების და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აღმასრულებელი ფუნქციები, ინტეგრაციის პოლიტიკის ეფექტიანად საწარმოებლად.
- ევროპის საბჭოს სტანდარტების შესაბამისად, შექმნას მდგრადი, დემოკრატიული და ინკლუზიური საკონსულტაციო პლატფორმები პარლამენტის და მთავრობის, ასევე მუნიციპალიტეტების დონეზე, სადაც უმცირესობები კომპაქტიურად ცხოვრობენ.
- დაიწყოს კონსულტაციები და დისკუსიები უმცირესობებთან და ადამიანის უფლებათა ორგანიზაციებთან პოლიტიკური მონაწილეობის სპეციალური პოზიტიური მექანიზმების დანერგვასთან დაკავშირებით.
- შეიმუშაოს და დანერგოს რელიგიური/ეთნიკური კონფლიქტების გამოვლენის, თავიდან აცილებისა და სათანადო რეაგირების პოლიტიკა და სახელმძღანელო პრინციპები, რომელიც ადამიანის უფლებების სტანდარტებს დაეფუძნება;
- გააძლიეროს ადამიანის უფლებათა რეტორიკა, სიძულვილის კამპანიების საწინააღმდეგოდ.
- შექმნას უმცირესობების ენებზე თარგმანის რესურსები, განსაკუთრებით - სახელმწიფო სერვისების მიწოდებაზე პასუხისმგებელ უწყებებსა და მათ საინფორმაციო პლატფორმებზე.
- შეიმუშაოს შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები და პოლიტიკა, სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები ეთნიკური სომხებისთვის საქართველოს მოქალაქეობის აღსადგენად.

140. ჯაბრაილ ხანგოშვილისთვის მოქალაქეობაზე უარი პოლიტიკურ დაინტერესების ნიშნებს შეიცავს, 2021. იხ. https://bit.ly/3EEt8FX

უცხოელები

სახელმწიფო უსაფრთხოება

საქართველოში თავშესაფრის მაძიებლისთვის საერთაშორისო დაცვის მინიჭების, აგრეთვე, საერთაშორისო დაცვის სტატუსის ჩამორთმევის საკითხის გადაწყვეტისას, მნიშვნელოვან როლს თამაშობს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ წარმოდგენილი დასკვნა, რომელიც ეხება თავშესაფრის მაძიებლის მიერ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისთვის პოტენციური საშიშროების შექმნას. აღნიშნული დასკვნა, თავისი არსით, წარმოადგენს რეკომენდაციას და სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებულ ინფორმაციას, რომელზე წვდომაც მხოლოდ ადმინისტრაციული ორგანოს შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილ პირსა და შემდგომში მოსამართლეს, გააჩნიათ.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის (შემდგომში - მიგრაციის დეპარტამენტი) მიერ პირისთვის საერთაშორისო დაცვის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის ერთ-ერთ ხშირად გამოყენებულ საფუძველს სწორედ აღნიშნული ინფორმაცია წარმოადგენს. ამასთან, საქმის სასამართლო განხილვის ეტაპზე, არც მოსარჩელე მხარეს და არც მის წარმომადგენელს არ აქვთ აღნიშნულ ინფორმაციაზე წვდომა, რაც, ამ კუთხით, საქმის განხილვის პროცესში მოსარჩელისა და მისი წარმომადგენლის მონაწილეობას მხოლოდ ფორმალურად აქცევს.

მიუხედავად იმისა, რომ, ზოგადად, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ წარდგენილი ინფორმაცია მიეკუთვნება სახელმწიფო საიდუმლოებას, კანონმდებლობით განისაზღვრება ის ზოგადი საფუძვლები, რაც შესაძლოა, ამგვარ უარყოფით დასკვნას დაედოს საფუძვლად[141]. მაგალითად, ასეთ საფუძვლებს მიეკუთვნება პირის კავშირი სხვა ქვეყნის სადაზვერვო სამსახურებთან, ტერორისტულ ან/და ექსტრემისტულ ორგანიზაციებთან და სხვა. აღსანიშნავია, რომ პრაქტიკაში, თავშესაფრის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ არც მიგრაციის დეპარტამენტის და, შემდგომში, არც სასამართლოს გადაწყვეტილება ამგვარ ზოგად საფუძვლებზეც კი, როგორც წესი, არ აკეთებს მითითებას, რაც მოსარჩელის მხრიდან დაცვის უფლების სრულყოფილ რეალიზაციას მეტად შეუწყობდა ხელს.

141. „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 69-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

ამგვარი სამართლებრივი რეალობა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში წარდგენილი ინფორმაციის დაუსაბუთებლად და დისკრიმინაციულად გამოყენების მომეტებულ საფრთხეს ქმნის და მნიშვნელოვნად აბრკოლებს თავშესაფრის მაძიებლის დაცვის უფლებით სრულყოფილად სარგებლობის შესაძლებლობას.

საქართველოს საზღვრის კვეთა

საქართველოს კანონმდებლობით, შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) შესაბამის უფლებამოსილ პირს გააჩნია საკმაოდ ფართო დისკრეცია, როდესაც საქმე შეეხება უცხოელთა საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლის საკითხს და საზღვრის კვეთისას მისთვის უარის თქმის საფუძვლებს. შესაბამისი საკანონმდებლო ნორმა, ერთი მხრივ, განსაზღვრავს კონკრეტულ გარემოებებს, რომელიც შესაძლოა, უცხოელისთვის საქართველოს ტერიტორიაზე დაშვებაზე უარის თქმას დაედოს საფუძვლად, ხოლო, მეორე მხრივ, ერთ-ერთ ამგვარ გარემოებად ითვალისწინებს „საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებს“[142]. ამ უკანასკნელის შინაარსი არ არის ამოწურვადი და უფლებამოსილ თანამდებობის პირს ანიჭებს ფართო დისკრეციას, მასში მოიაზროს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ნებისმიერი რეგულაცია. თუმცა, აღსანიშნავია კანონმდებლობის მოთხოვნა, რომ საქართველოში შემოსვლაზე პირისთვის უარის თქმა იყოს დასაბუთებული. მიუხედავად ამ მოთხოვნისა, უცხოელისთვის საქართველოს ტერიტორიაზე დაშვებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების ფორმა, ისევე, როგორც ამ კუთხით არსებული პრაქტიკა, არ ითვალისწინებს კონკრეტული გარემოებ(ებ)ის მითითებას, რასაც უფლებამოსილი თანამდებობის პირი დაეყრდნო საკუთარ გადაწყვეტილებაში.

საბოლოოდ, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის კვეთისას სამინისტროს უფლებამოსილი თანამდებობის პირისთვის ამგვარი დისკრეციის მინიჭება ქმნის მისთვის ქვეყნის ტერიტორიაზე შემოსვლაზე დაუსაბუთებ-

142. „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი.

ლად უარის თქმისა და ამ უფლებამოსილების შერჩევითად, დისკრიმინაციულად გამოყენების მომეტებულ საფრთხეს.

გადაწყვეტილების მიღებისას ამგვარად ფართო დისკრეციასთან ერთად, გასათვალისწინებელია, რომ დასახელებული უარყოფითი გადაწყვეტილების გასაჩივრების მექანიზმის არსებული წესი და ვადები, ვერ ქმნის უცხოელისთვის საკუთარ უფლებაში აღდგენის ეფექტურ და დროულ მექანიზმს.

უცხოელი სტუდენტების უფლებრივი მდგომარეობა

უცხოელი სტუდენტებისთვის, სწავლის დასრულების შემდეგ, პრაქტიკული გამოცდილების მიღება და სამუშაო ადგილის პოვნა 2021 წელს კვლავ სირთულეს წარმოადგენდა. კერძოდ, ახალ კურსდამთავრებულებს, რომლებიც სტაჟირების პროგრამას გადიან, არ აქვთ საცხოვრებელი ნებართვის გაგრძელების შესაძლებლობა და იძულებულნი არიან, დატოვონ ქვეყანა. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, საქართველოს კანონის - „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საფუძველზე, უარს ამბობს სტაჟირების პროგრამის გავლის მიზნით შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე. აღნიშნული კანონის მე-15 მუხლის მიხედვით, შრომითი ბინადრობის ნებართვა გაიცემა სამეწარმეო ან შრომითი საქმიანობის განსახორციელებლად, საიდანაც მიღებული ყოველთვიური შემოსავალი/შრომის ანაზღაურება არ არის საქართველოში განსაზღვრული საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმის ხუთმაგ ოდენობაზე ნაკლები.

მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ, რომ საქართველოს შრომის კოდექსის მე-18 მუხლის მიხედვით, სტაჟირება არის შრომითი ურთიერთობის ფორმა, სადაც სტაჟიორი დამსაქმებლისთვის ასრულებს გარკვეულ სამუშაოს ანაზღაურების სანაცვლოდ ან მის გარეშე, კვალიფიკაციის ასამაღლებლად, პროფესიული ცოდნის, უნარის ან პრაქტიკული გამოცდილების მისაღებად. ამასთანავე, მიუხედავად იმისა, რომ სტაჟიორი შეიძლება, არ იღებდეს ანაზღაურებას, თუკი ის სააგენტოს წარუდგენს ფინანსური უზრუნველყოფის შესაბამის ცნობას, მასზე უნდა გაიცეს მოკლევადიანი შრომითი ნებართვა. გასათვალისწინებელია, რომ ახალ კურსდამთავრებულებს არ აქვთ სხვა ლეგალური შესაძლებლობა, სწავლის დასრულების შემდეგ გაიხანგრძლივონ ქვეყანაში კანონიერად ყოფნის

ვადები. კორონავირუსის პერიოდში კი, ამას დაემატა შეზღუდული შესაძ-ლებლობები, სწრაფად იპოვონ ანაზღაურებადი სამუშაო ადგილი და მის საფუძველზე მოითხოვონ შრომითი ბინადრობის ნებართვების მიღება[143].

აღსანიშნავია რომ იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შე-სახებ საქართველოს მთავრობის N322 დადგენილებაში 15 აპრილიდან ახალი შეზღუდვები ამოქმედდა. ინდოეთიდან საქართველოში ჩამომ-სვლელ პირებს და ინდოელ სტუდენტებს განსხვავებული პირობები დაუ-წესდათ. მიუხედავად ვაქცინაციის სრული კურსისა, ისინი სავალდებულო 14-დღიან კარანტინს გადიოდნენ, საკუთარი ხარჯით. ამასთან, სტუდენ-ტების საქართველოში შემოსვლა შესაძლებელი გახდა მხოლოდ ჩარტე-რული ავიარეისებით[144], მაგრამ საქართველოს მთავრობას 2021 წლის ოქტომბრამდე არ დაუორგანიზებია არც ერთი ჩარტერული ფრენა. სამო-ქალაქო ავიაციის სააგენტოს ინფორმაციით, პირველი ჩარტერული ფრე-ნა მხოლოდ 2021 წლის 20 სექტემბერს განხორციელდა[145]. ამის გამო, ბევრი სტუდენტი აღმოჩნდა მძიმე მდგომარეობაში[146]. ერთი მხრივ, არ არსებობდა საქართველოში სასწავლებლად დაბრუნების პრაქტიკული შესაძლებლობა, ხოლო მეორე მხრივ, უნივერსიტეტები მათგან მოითხოვ-დნენ ფიზიკურ დასწრებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კარგავდნენ სემესტრს და ასევე გადახდილ სწავლის საფასურს. მაგალითისთვის, ბა-თუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის (ბსუ) მიერ ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო საბუნებისმეტყველო მეც-ნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის „დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო ინგლისურენოვანი პროგრამის სტუდენტების მიმართ, მათთვის სტუდენტის სტატუსის შეჩერების მიზნით, ვინაიდან სავალდებულო იყო მათი ფიზიკურად გამოცხადება ფაკულტე-ტის დეკანის ოფისში აკადემიური რეგისტრაციის მიზნით[147]. ინდოეთის

143. იხ. უფლებები საქართველოს მიერ მომზადებული ანგარიში, საქართველოში მცხოვრები უცხოელი სტუდენტების უფლებრივი მდგომარეობა, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3vBowfR

144. იხ. TDI-ის განცხადება ინდოეთის მოქალაქეებისთვის დაწესებულ შეზღუდვებზე, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3k7Ang0

145. სსიპ „სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს“ 20/10/2021 წლის N07/2323 წერილი.

146. იხ. TDI-ის განცხადება ინდოელი სტუდენტების მიმართ დაწესებულ შეზღუდვებზე, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/36HEigM

147. იხ. TDI-ის განცხადება ბათუმის უნივერსიტეტის დისკრიმინაციულ გადაწყვეტილებაზე

რესპუბლიკიდან წამოსულ მგზავრებთან დაკავშირებით დაწესებული შეზღუდვები მხოლოდ 8 ოქტომბრიდან მოიხსნა.

ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა და COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაცია

კორონავირუსზე საზოგადოებისთვის ინფორმაციის დროული და სისტემური მიწოდებისთვის, საქართველოს მთავრობამ შექმნა სპეციალური ვებგვერდი (stopcov.ge). ასევე, ამ მიმართულებით ფუნქციონირებდა რამდენიმე ცხელი ხაზი და გარკვეული სახის ინფორმაცია მოკლე ტექსტური შეტყობინებებითაც ვრცელდებოდა. მიუხედავად ამისა, გამოიკვეთა რიგი ხარვეზები, მათ შორის, ვებ-გვერდზე ინგლისურად ინფორმაცია ან საერთოდ არ იდებოდა, ან რამდენიმე დღის დაგვიანებით ქვეყნდებოდა, რთული იყო ცხელ ხაზზე დაკავშირება, არ არსებობდა ამომწურავი ინფორმაციის ინგლისურ ენაზე მიღების შესაძლებლობა, მოკლე ტექსტური შეტყობინებები კი, მხოლოდ ქართულ ენაზე იგზავნებოდა. უნივერსიტეტები არ იყვნენ ჩართულნი ინფორმაციის აქტიურ გავრცელებაში. ასევე, სტუდენტების დიდმა ნაწილმა არ იცოდა მთავრობის მიერ შექმნილი ვებგვერდის არსებობის შესახებ და ინფორმაციის მიღების ძირითად წყაროდ “Facebook”-ის დახურული ჯგუფები და ამ საკითხებზე მომუშავე ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები დასახელდა[148].

2021 წლის ზაფხულში, ჯანდაცვის მინისტრის ბრძანებით, განისაზღვრა იმ უცხოელთა წრე, ვინც უფლებამოსილი იყო, ესარგებლა იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამით და COVD-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციით. სამწუხაროდ, ვაქცინაციის პროგრამაზე ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილი არ ყოფილა უსაბუთოდ მყოფი უცხოელებისთვის, რამაც მომეტებული საფრთხე შეუქმნა როგორც მათ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, ასევე გაზარდა ვირუსის გავრცელების რისკი[149].

ინდოელი სტუდენტების მიმართ, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3xItcmz

148. იხ. უფლებები საქართველოს მიერ მომზადებული ანგარიში, საქართველოში მცხოვრები უცხოელი სტუდენტების უფლებრივი მდგომარეობა, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3vBowfR

149. იხ. TDI-ის განცხადება უცხოელების ვაქცინაციასა და ინდოელ სტუდენტებზე დაწესებულ შეზღუდვაზე, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/38aOqij

ცვლილებები „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონში

2021 წელს, საქართველოს კანონში „უცხოელთა და მოქალაქეობის არ-მქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ ცვლილებები შევიდა და ახლებურად დარეგულირდა რიგი საკითხები ბინადრობის ნებართვის მოპოვებასთან დაკავშირებით. ახალი რეგულაციებით, უცხოელებისთვის ბინადრობის ნებართვის მიღების პირობები კიდევ უფრო გამკაცრდა. საყურადღებოა, რომ ბინადრობის ნებართვის პროცედურები წლიდან წლამდე სულ უფრო მკაცრი ხდება. უცხოელებისთვის აფრიკისა და აზიის რეგიონის ქვეყნებიდან ბინადრობის ნებართვის მიღება აქამდეც საკმაოდ პრობლემური იყო. მათ მიმართ ხშირად გაიცემა დაუსაბუთებელი უარები, ბლანკეტურად, სახელმწიფო უსაფრთხოების მიზეზებზე აპელირებით. დაუსაბუთებელი უარების პრაქტიკა, რაც უმრავლეს შემთხვევებში სწორედ სახელმწიფო უსაფრთხოების მოტივებს ეფუძნება, სწორედ აფრიკისა და აზიის რეგიონის ქვეყნების წარმომადგენლებზე მოდის. უნდა ვივარაუდოთ, რომ საკანონმდებლო ცვლილებების ეს მორიგი ტალღა ამ მხრივ არსებული სავარაუდო შერჩევითი პოლიტიკის გაგრძელება იყო[150].

რუსეთში ექსტრადიციის შემაშფოთებელი პრაქტიკა

2021 წელს, სოციალური სამართლიანობის ცენტრმა გამოაქვეყნა ანგარიში, სადაც შესწავლილია რუსეთის ფედერაციაში ექსტრადიციის მზარდი პრაქტიკა. ამ კუთხით საჯარო ინფორმაციას საქართველოს იუსტიციის სამინისტრო ჯეროვნად არ გაცემს, თუმცა მხოლოდ 2013-2019 წლების მონაცემები აჩვენებს, რომ რუსეთის ფედერაციის მიერ მთლიანობაში 23 ადამიანის ექსტრადიციის მოთხოვნა იყო წარდგენილი და მათგან 14 შემთხვევაში ეს მოთხოვნა დაკმაყოფილდა. ანუ რუსეთის ფედერა-

150. იხ. TDI-ის განცხადება, რა იცვლება საქართველოს კანონში „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“, ხელმი_საწვდომია: https://bit.ly/3K5WX3o

ციის შუამდგომლობების ნახევარზე მეტი საქართველოს ხელისუფლებამ დააკმაყოფილა, რაც ძალიან მაღალი მონაცემია.

როგორც შესაბამისი საქმეების ანალიზი აჩვენებს, იუსტიციის სამინისტროსა და საერთო სასამართლოების მიერ არ ხდება ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ დევნის, წამებისა და არასათანადო მოპყრობის რისკების სათანადო გაზომვა, რაც აღნიშნულ პირებს ფუნდამენტური უფლებების დარღვევის და ზოგიერთ შემთხვევაში სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და სასიცოცხლო უსაფრთხოების გარანტიების გარეშე ტოვებს[151]. ყველა ამ საქმეში ჩანს საქართველოს ხელისუფლების ჭარბი ლოიალობა მეზობელი ქვეყნების მიმართ და სწორედ პოლიტიკური ინტერესების გამო ადამიანის უფლებათა დაცვის უზენაესი სახელმწიფოებრივი და პოლიტიკური მიზნის უგულებელყოფა[152].

რეკომენდაციები

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტს:

- საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შეფასებისას, სრულყოფილად მოხდეს, ერთი მხრივ, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ წარდგენილი ინფორმაციის, ხოლო, მეორე მხრივ, თავშესაფრის მაძიებლის საქმეში არსებული გარემოებების ყოველმხრივი შესწავლა/შეფასება და არსებული კერძო და საჯარო ინტერესების დაბალანსებით გადაწყვეტილების მიღება;
- თავშესაფრის მაძიებლისთვის, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისთვის პოტენციური საშიშროების შექმნის საფუძვლით საერთაშორისო დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შემთხვევაში, გადაწყვეტილებაში მიეთითოს „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 69-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისი გარემოება.

151. იხ. სოციალური სამართლიანობის ცენტრის ანგარიში, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3MmTorc

152. იქვე.

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს:

- ინდივიდუალურად შეფასდეს და დასაბუთდეს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისთვის პოტენციური საშიშროების შექმნის თაობაზე თავშესაფრის მაძიებლის შესახებ წარმოდგენილი რეკომენდაცია.

საქართველოს საერთო სასამართლოებს:

- ყოველ საქმეზე, მოსარჩელე მხარესა და მის წარმომადგენელს განემარტოთ, რატომ არის სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებულ ინფორმაციაზე წვდომისა და, აქედან გამომდინარე, პროცედურული უფლებების შეზღუდვის საჭიროება;
- სათანადოდ დასაბუთდეს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციის, როგორც მთავარი მტკიცებულების საფუძველზე, გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობა.

საქართველოს პარლამენტსა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს:

- კურსდამთავრებულ უცხოელ სტუდენტებს, პროფესიული უნარ-ჩვევების გაძლიერებისა და სამუშაო ადგილის პოვნის მიზნით, სტაჟირების საფუძველზე, მიეცეთ ქვეყანაში კანონიერად დარჩენის უფლება (ე. წ. სამუშაოს მაძიებლის ვიზა).

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს:

- „საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევების“ საფუძვლით უცხოელისთვის საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლაზე უარის თქმის დროს, გადაწყვეტილებაში მიეთითოს უარის თქმის კონკრეტული საფუძველი, შესაბამისი სამართლებრივი აქტის დაკონკრეტებით;

საქართველოს პარლამენტს:

- საკანონმდებლო ცვლილებებით დაინერგოს საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლაზე უარის შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრების ეფექტიანი და უცხოელისთვის ხელმისაწვდომი მექანიზმი.

კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობა და დევნილები

სამშვიდობო პოლიტიკა

პოზიურად უნდა შეფასდეს ის გარემობა, რომ შერიგების და სამოქალაქო თანასწორობის სახელმწიფო მინისტრის აპარატმა, საგარეო საქმეთა სამინისტროსთან ერთად, დაიწყო შერიგების და დეოკუპაციის ახალ სტრატეგიაზე მუშაობა. ამ მიმართულებით უწყებები თანამშრომლობენ ექსპერტების დახურულ წრესთან. 2010 წლის ჩართულობის სახელმწიფო სტრატეგია ითვალისწინებდა ყოველ ექვს თვეში ერთხელ სამუშაო დონეზე და სამ წელიწადში ერთხელ სტრატეგიულ დონეზე გადახედვას. თუმცა, ის ამ დრომდე არ შეცვლილა და ამ პროცესის დაწყება მნიშვნელოვანი პოზიტიური ნაბიჯია.

მშვიდობის მშენებლობა მდგრად და თანმიმდევრულ პოლიტიკას, არსებული გამოცდილების და ისტორიის კრიტიკულ შეფასებას და პოლიტიკურ კონსენსუსს საჭიროებს[153]. ეს პროცესი პირდაპირ კავშირშია კონფლიქტის რეგიონებში და მათ მიმდებარედ უფლებების დაცვასთან. განგრძობადი კონფლიქტის და მუდმივი საფრთხის პირობებში უფლებრივი მდგომარეობა უარესდება და სისტემურ ხასიათს იღებს. **უფლებების დარღვევის მძიმე და სისტემური გამოცდილებები**, **რთული სოციალურ-ეკონომიკური ვითარება**, **განგრძნობადი „ბორდერიზაცია“ და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული გამოწვევები ცალსახად მიუთითებს, რომ ხელისუფლებამ დროულად უნდა გადახედოს და კრიტიკულად გადაიაზროს სამშვიდობო პოლიტიკა და შეიმუშაოს კონფლიქტების ტრანსფორმაციის ახალი ხედვა**. უფლებების დაცვის იდეას, ამ მხრივ, მაკონსოლიდირებელი და კონფლიქტის ტრანსფორმაციაში კრიტიკული როლის შესრულება შეუძლია.

არსებულ პოლიტიკურ რეალობაში, მოლოდინი იმისა, რომ ახალი სტრატეგია ალტერნატიულ ხედვებს შემოგვთავაზებს და ტრანსფორმაციის კომპლექსურ პრინციპებს დაეფუძნება, დაბალია. ამ მოლოდინს აძლიერებს ზოგადად პროცესის დახურულობა და ის ფაქტიც, რომ სტრატეგიის შეფასების დოკუმენტი დღემდე არ არის საჯაროდ ხელმისაწვდომი.

153. იხ. სამშვიდობო პოლიტიკა - ახალი მიდგომების და პერსპექტივების ძიებაში, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2022. ხელმისაწვდომი: https://bit.ly/3rLIOSx

უფლების დარღვევის პრაქტიკები

2021 წელს აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლების მიერ გალში სრულად აიკრძალა ქართულ ენაზე სწავლება, რითიც პრაქტიკულად დასრულდა გალის სკოლების აფხაზურ საგანმანათლებლო სისტემაში ასიმილაციისა და რუსიფიკაციის პროცესი, რომელიც წლების წინ დაიწყო[154]. ეს პოლიტიკა პრობლემური არა მხოლოდ მისი დისკრიმინაციული შინაარსის გამოა, არამედ მშობლიურ ენაზე ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობის კუთხითაც აფერხებს ახალგაზრდებს. ამასთანავე, გალის სკოლებში რუსულ ენაზე სწავლებისთვის არც საგანმანათლებლო და არც ადამიანური რესურსები არ არსებობს. ხელისუფლებამ ვერ მოახერხა წლების წინ დაწყებული ასიმილაციური პოლიტიკის შეჩერება და დიალოგის ხაზები ვერ გამონახა დე-ფაქტო ხელისუფლებასთან. მსგავს პოლიტიკას ატარებს ცხინვალის დე-ფაქტო ხელისუფლება ახალგორის ზოგადსაგანმანათლებლო სექტორიშიც.

საანგარიშო პერიოდში კვლავ ვერ გაუმჯობესდა მიმოსვლის რეჟიმი კონფლიქტის რეგიონებთან, რასაც არაერთი ტრაგიკული შედეგი მოჰყვა. 2021 წლის 7 აპრილს მედიასაშუალებებით ცნობილი გახდა, რომ საქართველოს 4 მოქალაქე მდინარე ენგურში დაიღუპა, როდესაც ისინი ცდილობდნენ საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოსვლას[155]. იმ პირობებში, როცა მიმოსვლის თავისუფლება ბევრი ოჯახისთვის უკავშირდება საბაზისო სერვისებზე და რესურსებზე ხელმისაწვდომობას, გადაადგილებასთან დაკავშირებული შეზღუდვები მათ სრული იზოლაციისთვის სწირავს. 2021 წელს მიმოსვლის რეჟიმს ართულებდა ცენტრალური ხელისუფლების მიერ პანდემიის პირობებში დადგენილი საკარანტინო შეზღუდვები. სავალდებულო 5-დღიანი კარანტინი გადმოსვლის მსურველებს იძულებულს ხდიდა, შემოვლითი გზებით ესარგებლათ, რაც ზოგიერ შემთხვევაში მათ სიცოცხლის და ჯანმრთელობის ფასად უჯდებოდათ. ამავე პერიოდში, აფხაზეთიდან გადმოსული

154. გალში ეთნიკური ქართველებისთვის საკუთარ ენაზე განათლების მიღების უფლების ხელყოფამ უმძიმესი ფორმები მიიღო, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2022. იხ. https://bit.ly/3k53hNS

155. მთავრობამ კონფლიქტის რეგიონებთან მიმოსვლის რეჟიმის არსებით გაუმჯობესებაზე უნდა იმუშაოს, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2021. იხ. https://bit.ly/3v6d-3FX

63 წლის ქალიც გარდაიცვალა, რომელიც გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას საჭიროებდა და იძულებული იყო, 5-დღიანი კარანტინი გაევლო, სადაც საჭირო სამედიცინო დახმარება ვერ მიიღო[156]. ამ ტრაგიკული შემთხვევების შემდეგ, ხელისუფლებამ საკარანტინო რეჟიმი გააუქმა.

2021 წელს გენადი ბესტაევის გარდაცვალება უკანონო დაკავებების პრაქტიკის მძიმე შედეგია. ის საოკუპაციო რეჟიმმა ხუთჯერ დააკავა მავთულხლართებს მიღმა საკუთარ სახლში მისვლის გამო, „საზღვრის უკანონო კვეთის ბრალდებით“. ბოლოს ის 2019 წელს დააკავეს და ნარკოტიკების კონტრაბანდის ბრალდებით, სამი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. საქართველოს ხელისუფლებამ მხოლოდ მაშინ შეძლო მისი გადმოყვანა, როცა ჯანმრთელობის მდგომარეობა უკიდურესად დაუმძიმდა და ცხინვალის საავადმყოფოში მისი დროული მკურნალობის რესურსები ვერ მოინახა. ოჯახი აცხადებს, რომ ბესტაევი შეიძლება არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლიც იყო ცხინვალის ციხეში[157]. მისი გადარჩენა სამთვიანი მკურნალობის შემდეგ ვერ მოხერხდა[158].

2021 წელს, 1-წლიანი უკანონო პატიმრობიდან გათავისუფლდა ზაზა გახელაძე[159]. ის ცხინვალის დე-ფაქტო რეჟიმმა სიცოცხლის ხელყოფის მცდელობის და „საზღვრის უკანონო კვეთის“ ბრალდებით დააკავა და ხელისუფლებამ 1-წლიანი მცდელობის შემდეგ შეძლო მისი გათავისუფლება. დღემდე, პატიმრობაში რჩება ირაკლი ბებუა, რომელიც აფხაზური დროშის დაწვის ბრალდებით დააკავეს 2020 წლის სექტემბერში. ჯანმრთელობის ქრონიკული პრობლემების გამო, მისი პატიმრობა კიდევ უფრო სარისკოა.

156. “არ იკვეთებოდა ჩივილი” - ოკუპირებული აფხაზეთიდან გადმოსული ქალი კარანტინში გარდაიცვალა, ტაბულა, 2021. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3rG8iAM

157. ვინ არის გენადი ბესტაევი და რატომ ვერ მოხერხდა მისი გათავისუფლება, რადიო თავისუფლება, 2021. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/38bgVMQ

158. გენადი ბესტაევი სამთვიანი მკურნალობის შემდეგ გარდაიცვალა, რადიო თავისუფლება, 2021. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3rJzYoB

159. ზაზა გახელაძე თავისუფალია, რადიო თავისუფლება, 2021. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3OvkkXl

გამყოფ ხაზთან მცხოვრები მოსახლეობა

უფლებრივი და სოციალური მდგომარეობა გამყოფ ხაზებთან მცხოვრები ადამიანებისთვის არანაკლებ მძიმეა და რჩება შთაბეჭდილება, რომ ომის შემდეგ ეს ადამიანები ხელისუფლებებმა სრულიად მიივიწყეს[160]. გარდა იმისა, რომ აქ მცხოვრები ოჯახები ყოველდღიურ სოციალურ გაჭირვებას აწყდებიან, ისინი დღემდე განაგრძობენ ცხოვრებას ომისგან დანგრეულ სახლებში[161]. ზარდიაანთკარში ომისგან დანგრეული სახლების აღდგენისთვის სამუშაო ჯგუფი 2021 წლის ივლისში შეიქმნა პრემიერის ინიციატივით, თუმცა ამ დრომდე არავითარი პროგრესი არაა ამ მიმართულებით. უმუშევრობა, ყოველდღიური შემოსავლისთვის შრომა და საბოლოოდ მიგრაცია ამ რეგიონების თანმდევი სოციალური ყოფაა. ადგილობრივი ინფრასტრუქტურაც მძიმე მდგომარეობაშია. ხშირად, მოსახლეობას ხელი არ მიუწვდება საბაზისო სერვისებზე და რესურსებზე - გზაზე, ელექტროენერგიაზე, სამედიცინო დახმარებაზე და სხვ. ეს სოციალური კრიზისი კიდევ უფრო მძიმე სურათს ქმნის მუდმივი საფრთხის, გატაცებების განგრძობადი პრაქტიკის და მცოცავი ოკუპაციის პირობებში.

დევნილები

დევნილებისთვის ღირსეული საცხოვრისის შექმნის პრობლემა 2021 წელსაც აქტუალური იყო. მიუხედავად იმისა, რომ სანატორიუმ „ქართლში“ მცხოვრები დევნილები წლებია, ღირსეულ და უსაფრთხო საცხოვრისს ითხოვენ, პრობლემა მოუგვარებელი რჩება[162]. 2021 წლის დეკემბრიდან, აქტიური საპროტესტო აქციები ორგანიზდებოდა დევნილების მიერ[163]. ომიდან 30 წლის შემდეგაც ოჯახების ნახევარი კვლავ საცხოვრი-

160. მოგონებები ომზე, ტრავმა და ყოველდღიურობა, 2021. იხ. https://bit.ly/38dVwm1

161. გამყოფი ხაზის გარშემო მდებარე სოფლების მოსახლეობა სახელმწიფოსგან საგანგებო მხარდაჭერას საჭიროებს. სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2021. იხ. https://bit.ly/36FTHhy

162. ხელმომწერი ორგანიზაციები ვეხმიანებით სანატორიუმ “ქართლში” მომხდარ ტრაგედიას, 2022. იხ. https://bit.ly/3v7GgAu

163. აღსანიშნავია, რომ ხელისუფლების უმოქმედობის პირობებში პროტესტმა ტრაგიკული სახე მიიღო. 2022 წლის 16 იანვარს 52 წლის დევნილმა, ზურაბ ჭიჭოშვილმა პროტესტის ნიშნად თავი მოიკლა

სის გარეშეა დარჩენილი. 2020 წლის ბოლო მონაცემებით, საქართველოში 91 023 დევნილი ოჯახია რეგისტრირებული, რომელთაგან 42 370 ოჯახი განსახლებულია, ხოლო 40 131 ოჯახი განსახლების მოლოდინშია. სახალხო დამცველის 2020 წლის ანგარიშის მიხედვით, ბოლო პერიოდში გააქტიურდა ნგრევადი ობიექტებიდან ოჯახების გამოსახლების პროცესი, თუმცა საფრთხის შემცველი ობიექტების რაოდენობა კვლავ მაღალია[164].

რეკომენდაციები:

- ახალი სამშვიდობო პოლიტიკის შემუშავების პროცესში, მნიშვნელოვანია, ხელისუფლებამ ძალისხმევა მიმართოს ამ საკითხზე ფართო პოლიტიკური და საზოგადოებრივი კონსენსუსის მისაღწევად. ამისათვის, ასევე აუცილებელია ახალი სტრატეგიის შემუშავების პროცესი საზოგადოებრივი ჯგუფების ჩართულობით წარიმართოს;
- სამშვიდობო პოლიტიკის შემუშავების პროცესში გააძლიეროს უფლებების დაცვის და ადამიანური უსაფრთხოების მიდგომები;
- არსებითია, ხელისუფლებამ გამოიყენოს ყველა დიპლომატიური, პოლიტიკური და სამართლებრივი მექანიზმი, ეთნიკური ქართველებისთვის მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლების დასაცავად და მათ შორის, აქტიურად ითანამშრომლოს de facto მთავრობებთან;
- მთავრობამ შეიმუშაოს ქართული ენისა და სხვა საგნების სწავლების ალტერნატიული ფორმატები და პროგრამები გალსა და ახალგორში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის და ამ მიზნით მათ შორის, მოახდინოს ადეკვატური საგანმანათლებლო, ტექნიკური და საბიბლიოთეკო რესურსების მობილიზება ადგილზე;
- უსაფრთხო და თავისუფალი მიმოსვლის აღდგენის მიზნით, გამოიყენოს ყველა პოლიტიკური და დიპლომატიური საშუალება, მათ შორის, აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის დე-ფაქტო მთავრობებთან პირდაპირი მუშაობისა და კომუნიკაციის გზები;

164. სახალხო დამცველის 2020 წლის ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“, გვ 450-451. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3v5jvNp

- გამყოფ ხაზებთან მცხოვრები მოსახლეობისთვის შექმნას რეგულარული სოციალური მხარდაჭერის მექანიზმები, უზრუნველყოს ომისგან დანგრეული სახლების დაუყოვნებლივი რეაბილიტაცია;
- უსაფრთხოების ზომების გაძლიერებით, მათ შორის რეგულარული პატრულირების გზით, უზრუნველყოს გამყოფ ხაზებთან მცხოვრები ადამიანების უსაფრთხოების დაცვა;
- გამოიყენოს ყველა პოლიტიკური და დიპლომატიური მექანიზმი ირაკლი ბებუას გასათავისუფლებლად;
- პროაქტიულად შეისწავლოს უსაფრთხოების რისკების წინაშე მდგარ სხვადასხვა ობიექტებში მცხოვრები დევნილების მდგომარეობა და საჭიროებები და უზრუნველყოს მათი დროული განსახლება, ჯეროვანი ალტერნატივების შექმნის გზით;
- იმსჯელოს დევნილთა საჭიროებების, ინტერესების და წუხილების რეპრეზენტაციის უკეთეს ინსტიტუციურ გზებსა და მექანიზმებზე.

უფლებადამცველები
და აქტივისტები

აქტივისტთა უფლებრივი მდგომარეობა

■ ადმინისტრაციული წესით დაკავების უკანონო პრაქტიკა

2021 წელს, პოლიციამ მშვიდობიანი აქციების დროს აქტივისტები ძირითადად ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლებზე[165] დაყრდნობით, არაერთხელ დააკავა უკანონოდ. სამწუხაროდ, ადმინისტრაციული წესით აქტივისტების უკანონო დაკავება უკვე დამკვიდრებული პრაქტიკაა[166]. თვალსაჩინოებისთვის, შეგვიძლია, დავასახელოთ რამდენიმე მათგანი:

2021 წლის 19 და 21 თებერვალს, სამართალდამცავებმა აქტივისტები კარვების გაშლის პროცესში დააკავეს, მაშინ, როდესაც კარვების დადგმა, როგორც პროტესტის გამოხატვის ფორმა, არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით[167]. მიუხედავად ამისა, პოლიცია უკვე სისტემურად არ აძლევს აქციის მონაწილეებს კარვის გაშლის უფლებას[168].

სამწუხაროდ, წინა წლების მსგავსად, საქართველოში კვლავ გამოწვევად რჩება სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლების მხრიდან აქციის მონაწილეებისთვის მშვიდობიანი შეკრების თავისუფლებისა და დროებითი კონსტრუქციის (მათ შორის - კარვების) განთავსების შესაძლებლობის

165. მუხლი 166. წვრილმანი ხულიგნობა; მუხლი 173. სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის, სამხედრო მოსამსახურის, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლის, აღსრულების პოლიციელის [...] კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა, ან ამ პირის მიმართ სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელება.

166. საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, ადამიანის უფლებები საქართველოში 2020, გვ. 4-5, იხ.: https://rb.gy/zetbsi [ბოლო ნახვა 23.03.22]; საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, ადამიანის უფლებები საქართველოში 2021, გვ. 7-11, https://t.ly/lybj [ბოლო ნახვა 23.03.22].

167. საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, „ადამიანის უფლებები საქართველოში 2021“, გვ. 7-8. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3rJCvPD

168. იქვე, გვ. 8; საია მოუწოდებს შინაგან საქმეთა სამინისტროს პატივი სცეს ტროტუარზე კარავის მეშვეობით შეკრების ჩატარების უფლებას, იხ: https://bit.ly/3OvPVIt [ბოლო ნახვა 23.03.22].

შეზღუდვა. ბოლო პერიოდში, ამ უფლების სრულფასოვანი რეალიზების შეზღუდვის არაერთი შემთხვევა გამოიკვეთა, რაც უარყოფითად აისახება ქვეყნის დემოკრატიულობის ხარისხზე[169].

2021 წლის 3 ივნისს, გენერალური პროკურატურის შენობის წინ ნინოწმინდის ბავშვთა სახლის გარშემო განვითარებულ მოვლენების გასაპროტესტებლად გაიმართა აქცია. პოლიციამ აქციის მონაწილე გიგა მაქარაშვილს დაუმორჩილებლობის საბაბით (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლი) დაკავებისას ხელი მოატეხა მიუხედავად იმისა, რომ მაქარაშვილი სამართალდამცავებს არ უწევდა წინააღმდეგობას[170].

გამოსარჩევია 2021 წლის 10 ნოემბერს აქტივისტების მასობრივი დაკავება. კერძოდ, სხვადასხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან ოპოზიციური პარტიების მიერ ჩატარებულ აქციებზე, პოლიციამ ჯამში 46 პირი დააკავა, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლების საფუძველზე. თვითმხილველების ნათქვამიდან და მედიის ვიდეოკადრებიდან გამომდინარე, პოლიციამ მოქალაქეების ნაწილი დააკავა მაშინ, როდესაც ისინი იმყოფებოდნენ მოვლენების განვითარების ეპიცენტრისგან მოშორებით და მათ ქმედებაში არ იკვეთებოდა რომელიმე სამართალდარღვევის ნიშანი[171].

დაკავებათა მასშტაბურობა, მაშინ, როდესაც ხშირ შემთხვევაში, აქტივისტების მხრიდან არ დასტურდება კანონის რომელიმე მოთხოვნის დარღვევის ფაქტი, მიუთითებს, რომ სახელმწიფო ყველა შესაძლო გზებით ებრძვის განსხვავებულ აზრს ქვეყანაში.

■ აქტივისტების საქმეების განხილვა სასამართლოში

აქტივისტების ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების სამართალწარმოება მწვავე პრობლემას წარმოადგენს.

169. ადამიანის უფლებათა ცენტრი, აკრძალული უფლება - დროებითი კონსტრუქციებისა და ტექნიკური საშუალებების გამოყენების საკანონმდებლო სტანდარტები და პრაქტიკაში რეალიზაციის პრობლემები, გვ.3. ხელმისაწვდომია: https://t.ly/HCMn (ბოლო ნახვა 14/04/2022).

170. საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, „ადამიანის უფლებები საქართველოში 2021“, გვ. 8. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3rJCvPD

171. იქვე, 9.

უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი არ განსაზღვრავს მტკიცებულებით სტანდარტსა და მტკიცების ტვირთს, რაც სასამართლოს მტკიცებულებით გაუმყარებელი და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას უტოვებს. მართლაც, აქტივისტების წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილებები ძირითადად ეყრდნობოდა მხოლოდ სამართალდარღვევისა და დაკავების ოქმებს და მათი შემდგენელი პოლიციელების ზეპირ განმარტებებს. ოქმები, როგორც წესი, ერთგვაროვანი და შაბლონური იყო სამართალდარღვევის კონკრეტული ფაქტების მითითების გარეშე. ასევე, მოსამართლეები მოწმედ კითხავდნენ იმ პოლიციელებს, რომლებიც საერთოდ არ მონაწილეობდნენ აქტივისტის დაკავებაში. გარდა ამისა, საქმის მასალებში, როგორც წესი, არ იყო წარმოდგენილი პოლიციელთა სამხრე კამერების ჩანაწერები, რომლებიც კანონდარღვევას უტყუარად დაადასტურებდნენ, ხოლო წარმოდგენილი კამერების ვიდეოჩანაწერები, ძირითადად, არ ასახავდა დარღვევის ჩადენის პროცესს[172]. აქედან გამომდინარე, აქტივისტების გამამტყუნებელი გადაწყვეტილებები არ ეფუძნებოდა სანდო, მიუკერძოებელ მტკიცებულებებს.

მტკიცების თვალსაზრისით არსებული პრობლემის გარდა, სასამართლო ხშირად არ ახდენდა სამართალდარღვევისათვის აქტივისტის ქმედების სუბსუმციას. კერძოდ, გადაწყვეტილებებში არ არის მითითებული, კონკრეტულად რომელ ქმედებაში გამოიხატა სამართალდარღვევა. ასევე, არ არის განხილული სამართალდარღვევის შემადგენლობის ელემენტები, მაგალითად: კონკრეტულ შემთხვევაში პოლიციელის მოთხოვნის კანონიერება (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლის ერთ-ერთი წინაპირობა) და საკითხი, შეექმნა თუ არა აქტივისტის ქმედებით საფრთხე საზოგადოებრივ წესრიგს[173] (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლი ერთ-ერთი ელემენტი). შესაბამისად, სასამართლო არ ასაბუთებს აქტივისტის მიერ სამართალდარღვევის ჩადენას.

ასევე, გადაწყვეტილებებში ხშირად ვერ ვხდებით არგუმენტაციას, თუ რატომ გამოიყენა მოსამართლემ კონკრეტული სანქცია. აქტივისტისთვის

172. ადამიანის უფლებათა ცენტრი, სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების სასამართლო პროცესების მონიტორინგი, შემაჯამებელი ანგარიში, 2022, გვ.55, 58, 59. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3vCZbC8

173. იქვე.

სახდელი ხშირად შეფარდებულია მისი პიროვნული მახასიათებლებისა და პასუხისმგებლობის დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებების შეფასების გარეშე[174]. შესაბამისად, გადაწყვეტილებებში სანქციის ნაწილიც ხშირად დაუსაბუთებელია.

■ ადმინისტრაციული სანქციების გამკაცრება

უკვე წლებია, მწვავე საკითხს წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის სრულყოფილი რეფორმის საჭიროება, რადგან კოდექსი მიღებულია ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის პერიოდში და, შესაბამისად, ვერ აკმაყოფილებს ადამიანის უფლებათა თანამედროვე სტანდარტებს. მიუხედავად ამისა, საქართველოს პარლამენტმა კოდექსის შეცვლის ნაცვლად გაამკაცრა სანქციები 166-ე და 173-ე მუხლებში, ანუ იმ ნორმებში, რომელიც ყველაზე ხშირად გამოიყენება აქტივისტების უკანონოდ დასაკავებლად და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დასაკისრებლად. კერძოდ, 166-ე მუხლს დაემატა მე-2 ნაწილი, რომლითაც დადგინდა 1500-დან 2000 ლარამდე ჯარიმა, წვრილმანი ხულიგნობის განმეორებით ჩადენისთვის. ამავე დარღვევისთვის, პატიმრობის ვადად განისაზღვრა 5-დან 15 დღემდე პატიმრობა და მოსამართლეს აღარ შეუძლია, პირს შეუფარდოს პატიმრობა 5 დღეზე ნაკლები ვადით. 173-ე მუხლში, ჯარიმის ქვედა ზღვარი გახდა 2000 ლარი, 1000-ის მაგივრად, ხოლო განმეორებით ჩადენისთვის, პირი დაჯარიმდება 3500-დან 4500 ლარამდე და შეიძლება, შეეფარდოს პატიმრობა 7-დან 15 დღემდე. შესაბამისად, მოსამართლეს აღარ შეუძლია, პირს შეუფარდოს პატიმრობა 7 დღეზე ნაკლები ვადით. ორივე მუხლის შემთხვევაში, შეუძლებელი გახდა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისგან პირის გათავისუფლება სიტყვიერი შენიშვნით[175].

სანქციების გამკაცრება იმ მუხლებში, რომელიც ყველაზე ხშირად გამოიყენება აქტივისტების წინააღმდეგ, ზრდის მსუსხავ ეფექტს გამოხატვისა და შეკრების თავისუფლებით სარგებლობაზე. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის დაგვიანებულ რეფორმაზე მუშაობის

174. იქვე

175. იხ. „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის“ შეფასება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე სანქციების გამკაცრებასთან დაკავშირებით. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3vKI1T9

მაგივრად პასუხისმგებლობის გამკაცრება მიუთითებს ხელისუფლების სურვილზე, მაქსიმალურად ჩაახშოს კრიტიკული აზრი და პროტესტი საზოგადოებაში.

უფლებადამცველების უფლებრივი მდგომარეობა

საქართველოში უფლებადამცველებს კვლავ არახელსაყრელ გარემოში უწევთ საქმიანობა, რასაც მათი საჭიროებების შესახებ კვლევა ადასტურებს. კვლევაში გამოკითხულთა 57%-ის თანახმად, საქართველოში უფლებადამცველებისათვის გარემო საფრთხეს შეიცავს, ხოლო მტრული განწყობის მთავარ წყაროებად სახელდება პოზიცია/მმართველი პარტია, რელიგიური ლიდერები და სახელმწიფო ინსტიტუტები[176]. ამასთანავე, რესპონდენტების „82% თვლის, რომ ქართველ უფლებადამცველებს ემუქრება საზოგადოებისგან ნეგატიური დამოკიდებულება. 78% თვლის, რომ ემუქრება ფიზიკური საფრთხე. 72%-ის აზრით, სახელმწიფოსგან უგულებელყოფილია“[177]. მთავარ რისკებად/საფრთხეებად მიჩნეულია ონლაინ ჩაგვრა/ბულინგი (67%), მადისკრედიტირებელი კამპანიები (58%), პოლიციის გულგრილობა უფლებადამცველების წინააღმდეგ განხორციელებული კრიმინალური ქცევის დროს (54%)[178], ხოლო უფლებადამცველთა მოწყვლადობის მიზეზებს შორის დასახელებულია სასამართლოს პოლიტიზებულობა (65%), სახელმწიფოს მზარდი ავტორიტარულობა (72%) და საზოგადოების ნეგატიური აზრი/დამოკიდებულება (78%)[179]. პრობლემას ამძაფრებს კანონმდებლობაში არსებული ნაკლოვანებები, რომელიც არ ითვალისწინებს საკმარის გარანტიებს უფლებადამცველთა საქმიანობაში ხელშეშლისაგან დაცვისათვის და, აქედან გამომდინარე, არ განმარტავს არც უფლებდამცველობით საქმიანობას.

2021 წელს უფლებადამცველებზე, სამწუხაროდ, განხორციელდა თავდასხმები როგორც ფიზიკურ, ისე ინტერნეტ სივრცეში. კერძოდ, 2021 წლის 5 ივლისს “თბილისი პრაიდის” მიერ ორგანიზებული “ღირსების

176. საფარი, უფლებადამცველების საჭიროებების კვლევა საქართველოში, 2021, გვ. 12-13, იხ: https://cutt.ly/iS9UQ5r [ბოლო ნახვა 24.03.22].

177. იქვე, გვ. 13.

178. იქვე, გვ. 15.

179. იქვე, გვ. 18.

მარშის" დარბევისას, სიძულვილის ჯგუფები თავს ესხმოდნენ და ქუჩა-ქუჩა დევნიდნენ ლგბტ+ თემის მხარდამჭერ უფლებადამცველებსა და აქტივისტებს[180]. მათ, ასევე, დაარბიეს "თბილისი პრაიდის", ანუ ლგბტ+ თემის უფლებადამცველი ორგანიზაციის ოფისი და ასაფეთქებელი ნივთი შეაგდეს "ადამიანის უფლებათა სახლის" - ასევე უფლებადამცველი ორგანიზაციის - შენობაში[181]. შედეგად, "ღირსების მარში" ჩაიშალა, ხოლო უფლებადამცველები დაექვემდებარნენ დისკრიმინაციულ, დამამცირებელ და არაადამიანურ მოპყრობას.

უფლებადამცველთა წინაშე არსებული პრობლემებიდან, ასევე, აღსანიშნავია მათი კომუნიკაციის უკანონო მიყურადება. კერძოდ, 2021 წელს მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ უკანონო მიყურადების ობიექტები იყვნენ უფლებადამცველები/არასამთავრობო ორგანიზაციების წევრები, რომლებმაც შემდეგ დაადასტურეს ფარულად ჩაწერილი საუბრების არსებობა[182]. ფარული უკანონო მიყურადება საფრთხეს უქმნის უფლებადამცველთა არამარტო პირად ცხოვრებას, არამედ - საქმიანობასაც, რადგან უფლებადამცველსა და დასაცავ პირს შორის კონფიდენციალობას არღვევს.

რეკომენდაციები

შინაგან საქმეთა სამინისტროს, პროკურატურას, სხვა ძალოვან უწყებებს:

- პატივი სცენ უფლებადამცველებისა და აქტივისტების გამოხატვისა და შეკრების თავისუფლებას და უკანონოდ არ ჩაერიონ აღნიშნული უფლებების რეალიზებაში;
- მოახდინონ უფლებადამცველებისა და აქტივისტების წინააღმდეგ დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევების პრევენცია, მათი

180. "საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა", "05.07.21 მარში ღირსების გარეშე", 2021, გვ. 13, იხ: https://t.ly/OiRB [ბოლო ნახვა 13.04.2022].

181. იქვე, გვ. 13-15.

182. საფარი, საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, ადამიანის უფლებათა სახლი, უფლებადამცველთა სამართლებრივი მდგომარეობა საქართველოში, 2022, გვ. 24, იხ: https://cutt.ly/CS9UL7I [ბოლო ნახვა 24.03.22].

აღკვეთის მიზნით დროული და სათანადო რეაგირება და ეფექტური გამოძიება;

- შეწყვიტონ უფლებადამცველთა კომუნიკაციის უკანონო ფარული მიყურადება და პატივი სცენ მათი პირადი ცხოვრებისა და კომუნიკაციის უფლებას;
- დაიცვან მხარეთა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპები და ხელი არ შეუშალონ დაცვის მხარეს საპროცესო უფლებებით სარგებლობაში.

სასამართლოებს:

- აქტივისტების წინააღმდეგ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები განიხილონ და გადაწყვიტონ საქართველოს კონსტიტუციითა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლით, მათ შორის - ევროკონვენციით, დადგენილი სტანდარტების დაცვით.

საქართველოს პარლამენტს:

- განახორციელოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის სრულყოფილი რეფორმა, საქართველოს კონსტიტუციითა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლით, მათ შორის - ევროკონვენციით, დადგენილი სტანდარტების დაცვით.
- სისხლის სამართლის კოდექსში განისაზღვროს მუხლი, რომლითაც დასჯადი გახდება უფლებადაცვით საქმიანობაში ხელის შეშლა, პირის დაშინება ან შურისგება უფლებადაცვითი საქმიანობის განხორციელების გამო. აქვე, განისაზღვროს უფლებადაცვითი საქმიანობა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მედია

მედიის წარმომადგენლების უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მდგომარეობა

საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვნად გაძლიერდა მედიის წარმომადგენლების უსაფრთხოებასთან დაკავშირებით წინა წლებში დაწყებული ტენდენცია და კიდევ გახშირდა ჟურნალისტებზე სიტყვიერი თუ ფიზიკური თავდასხმის, პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელშეშლის შემთხვევები[183]. სახელმწიფო არ უზრუნველყოფს ასეთ ფაქტებზე სათანადო რეაგირებას და დროულ აღკვეთას, ასევე, არაეფექტიანი გამოძიებით სათანადო რეაგირების გარეშე ტოვებს მომხდარ დანაშაულებს. მაგალითად, დღემდე გამოუძიებელია 20-21 ივნისის საპროტესტო აქციის დაშლის დროს დაზარალებული ჟურნალისტების საქმეები[184]. პრობლემურია, ასევე, სასამართლოს მიდგომა ჟურნალისტებზე თავდასხმის საქმეებზე, როდესაც ის არ გამოკვეთს სიძულვილის მოტივს, დამამძიმებელ გარემოებებს და იყენებს არაპროპორციულად დაბალ სანქციას. ამისი კარგი მაგალითია ჟურნალისტ ვახო სანაიაზე და მის ოჯახზე თავდასხმის ფაქტი და მასზე შემდგომი არაეფექტიანი სამართლებრივი რეაგირება[185].

183. კოალიცია მედიის ადვოკატირებისთვის [Facebook-გვერდი], 12.04.2022, „კოალიცია "მედიის ადვოკატირებისთვის" ტელეკომპანია "ფორმულას" თანამშრომლებზე თავდასხმის ფაქტებს ეხმაურება", ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3ovTFyI, განახლებულია: 12.04.2022; საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, [Facebook-გვერდი], 09.05.2021, „მედიაკოალიცია სასულიერო პირების მხრიდან ჟურნალისტებზე თავდასხმებს გმობს". ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3rIkX76, განახლებულია: 12.04.2022; კოალიცია მედიის ადვოკატირებისთვის [Facebook-გვერდი], 19.11.2021, „კოალიცია "მედია ადვოკატირებისთვის "საგანგაშოდ მიიჩნევს საქართველოში კიდევ ერთი უკრაინელი ჟურნალისტის უფლების შეზღუდვას", ხელმისაწვდომია: https://bit.ly/31FBiyG, განახლებულია: 12.04.2022.

184. იხ. „საია 20 ივნისს დაზარალებული დემონსტრანტებისა და ჟურნალისტების სახელით ევროპულ სასამართლოს მიმართავს", საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ვებგვერდი, 07.04.2021. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3O9cL8B , განახლებულია: 12.04.2022

185. ჟურნალისტ ვახო სანაიას მიმართ თავდასხმის საქმეზე GDI პროკურატურას მიმართავს და სასჯელის ნაწილში, სასამართლოს განაჩენის გასაჩივრებას მოითხოვს. იხ. https://bit.ly/3L66GYP; კოალიცია მედიის ადვოკატირებისთვის [Facebook-გვერდი], 25.08.2021, „მედიაკოალიცია ჟურნალისტ ვახო სანაიაზე და მის ოჯახზე თავდასხმის ფაქტს ეხმიანება". ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3ven2rw, განახლებულია: 12.04.2022.

სახელმწიფო უწყებების უმოქმედობამ და მაღალი თანამდებობის პირების აგრესიულმა რიტორიკამ წაახალისა 2022 წლის 5-6 ივლისს მედიის წარმომადგენლებზე უპრეცედენტო მასშტაბის თავდასხმა, რა დროსაც რადიკალურმა და ჰომოფობიურმა ჯგუფებმა მედიის 50-ზე მეტ წარმომადგენელზე იძალადეს[186]. მედიის დაზარალებულ წარმომადგენლებს შორის იყო „TV პირველის“ ოპერატორი, ალექსანდრე ლაშქარავა, რომელიც რამდენიმე დღეში გარდაიცვალა[187]. ამასთან, სახელმწიფოს პასუხი ძალადობის ფაქტებზე კვლავ არ იყო სათანადო[188]. ასევე, ამგვარი ქმედებისაკენ საჯაროდ მოწოდების თაობაზე საჯარო წყაროებში არსებული არაერთი მტკიცებულების მიუხედავად, დღემდე არ წარდგენია ბრალი ძალადობის არც ერთ ორგანიზატორს[189].

გარდა ამისა, საგულისხმოა, რომ 5-6 ივლისის მოვლენების შემდგომაც, ხელისუფლების წარმომადგენლები ხშირად მედიას დისკრიმინაციული დამოკიდებულებით ეპყრობიან[190] და განაგრძობენ მათ ლეგიტიმურ მოთხოვნებზე აგრესიული რიტორიკით პასუხს[191].

186. სვიმონიშვილი მ. და სხვები, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, „5-6 ივლისის მოვლენების ქრონოლოგია და სამართლებრივი შეფასება“, 2021, 13-21, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3lRIqyX , განახლებულია: 12.04.2022.

187. იხ: კოალიცია მედიის ადვოკატირებისთვის [Facebook-გვერდი], 11.07.2021 „კოალიცია მწუხარებას გამოვთქვამთ “TV პირველის“ ოპერატორის, ალექსანდრე ლაშქარავას გარდაცვალების გამო“. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3jsQFjp განახლებულია 12.04.2022

188. იქვე.

189. იქვე.

190. იხ., საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, [Facebook-გვერდი], 11.11.2021, „კოალიცია “მედიის ადვოკატირებისთვის” მოუწოდებს იუსტიციის სამინისტროს, შეწყვიტოს ჟურნალისტთა დისკრიმინაცია“, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3rKf5du , განახლებულია: 12.04.2022

191. იხ. კოალიცია მედიის ადვოკატირებისთვის [Facebook-გვერდი], 17.07.2021, „კოალიცია “მედიის ადვოკატირებისთვის” პარტნიორი ორგანიზაციები შეშფოთებას გამოვთქვამთ პრემიერ მინისტრის მიერ „მთავარი არხის“, „ტვ პირველის“ და „ფორმულას“ დისკრედიტაციის გამო და ასევე ნიკა გვარამიას მიმართ გავრცელებულ მუქარასთან დაკავშირებით“, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3dtG9Wb, განახლებულია: 12.04.2022; კოალიცია მედიის ადვოკატირებისთვის [Facebook- გვერდი], 23.07.2021, „მოვუწოდებთ ყველა საჯარო პირს შეწყვიტოს საზოგადოებაში მტრული განწყობების გაღვივება და მედიის დისკრედიტაცია“, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3EKpoSo , განახლებულია: 12.04.2022;

უკანონო მოსმენები ჟურნალისტების მიმართ

ერთ-ერთი დიდი პრობლემა, რაც კიდევ ერთხელ გამოიკვეთა, ქვეყანაში არსებული უკანონო მოსმენების მასობრივი ფაქტებია, მათ შორის - მედიის წარმომადგენლების მიმართ[192]. 2021 წელს, საჯაროდ გავრცელდა ფაილები, რომელიც, სავარაუდოდ, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ განხორციელებული ფარული მოსმენების შინაარსს ასახავს[193]. მოსმენების ადრესატთა შორის იყვნენ ჟურნალისტებიც[194].

არასამთავრობო ორგანიზაციები წლების განმავლობაში მიუთითებენ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის განუსაზღვრელ და უკონტროლო უფლებამოსილებაზე[195]. წარსულში პირადი ცხოვრების ხელყოფის არაერთი გამოუძიებელი საქმე კიდევ უფრო ახალისებს და მეტ მასშტაბს სძენს სხვის პირად ცხოვრებაში უკანონოდ ჩარევას[196]. საგულისხმოა, რომ ზემოთ ხსენებულ შემთხვევაზე გამოძიება და საკანონმდებლო ორგანოს პასუხიც არაეფექტიანი იყო, რაც გამოიხატებოდა პროკურატურის მიერ არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სახალხო დამცველთან თანამშრომლობაზე უარის თქმით და საქართველოს პარლამენტის მიერ მის ხელთ არსებული საპარლამენტო ზედამხედველობის მექანიზმების არგამოყენებით[197].

192. „სამოქალაქო ორგანიზაციები: ხელისუფლება სუს-ს ტოტალური კონტროლის მექანიზმად იყენებს“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ვებგვერდი, 02.08.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3d9npLm . განახლებულია: 12.04.2022.

193. იქვე.

194. იქვე.

195. იქვე.

196. „საიას შეფასება ბოლო დროს გავრცელებულ უკანონო მოსმენებთან დაკავშირებით“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ვებგვერდი, 16.09.2021. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/37FwYSG განახლებულია 12.04.2022.

197. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ 2021, 123-124. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3JzQFsH. განახლებულია 12.04.2022.

გამოხატვის თავისუფლების მარეგულირებელი პრობლემური ინიციატივა

2021 წელს კვლავ ჰქონდა ადგილი გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვისკენ მიმართულ საკანონმდებლო ინიციატივას, რომლის მიღების მოტივიც, შესაძლებელია, სწორედ რეგულაციების დისკრიმინაციულად, კრიტიკული მედიის მიმართ გამოყენება იყოს. 2021 წლის 13 ოქტომბერს, საქართველოს პარლამენტში ინიცირებული საკანონმდებლო პაკეტით გათვალისწინებული იყო ცვლილებების შეტანა საქართველოს საარჩევნო კოდექსსა და „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში[198]. შემოთავაზებული ცვლილებებით, იგეგმება იმგვარი სააგიტაციო მასალის საჯარო სივრცეში გავრცელების აკრძალვა, რომელიც გამიზნულია საარჩევნო სუბიექტის ან კანდიდატის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულების შესაქმნელად, აგრეთვე, მსგავსი მიზნის მქონე წინასაარჩევნო რეკლამის ეთერში განთავსება[199]. აკრძალვით გათვალისწინებული გამოხატვის შინაარსის მსგავსი ფართო ფორმულირების პირობებში, მნიშვნელოვნად იზღუდება პოლიტიკოსებისა და ხელისუფლების წარმომადგენლების კრიტიკა. თავის მხრივ, მსგავსი მიდგომა შეუსაბამოა გამოხატვის თავისუფლების სტანდარტებთან, რომლის თანახმადაც, მაღალი დაცულობით სარგებლობს გამოხატვა, რომელიც პოლიტიკური შინაარსისაა ან პოლიტიკოსებისკენ არის მიმართული, რადგან მათი დასაშვები კრიტიკის საზღვრები ფართოა[200].

წარმოდგენილი კანონპროექტი ეწინააღმდეგება გამოხატვისა და მედიის თავისუფლების დაცვის არსებულ სტანდარტებს, ასევე, არაპროპორციულად ერევა მედიის საქმიანობაში, აკისრებს რა მაუწყებლებს პასუხისმგებლობას პოლიტიკური რეკლამის შინაარსთან დაკავშირებით[201].

198. კანონპროექტი (N 07-3/112/10. 13-10-2021) „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3E7KcnF, განახლებულია 13.04.2022.

199. იქვე.

200. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“, 2021, გვ 180. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3JzQFsH განახლებულია 12.04.2022.

201. „კოალიცია მედიის ადვოკატირებისთვის უარყოფითად აფასებს კანონმდებლობაში ახალი ცნების ე.წ. “უარყოფითი დამოკიდებულების” შემოტანას“, საქართველოს

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიდგომები

2021 წლის მანძილზე, რამდენჯერმე გამოვლინდა კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მხრიდან მაუწყებლობის შინაარსში ჩარევისა და გამოხატვის თავისუფლების არამართლზომიერი შეზღუდვის ფაქტები. საგულისხმოა, რომ მარეგულირებელი პრობლემურ მიდგომებს იყენებდა კრიტიკული მედიის მიმართ.

2021 წლის 1 თებერვალს, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ საკანონმდებლო მანდატის გარეშე ტელეკომპანია „მთავარი არხი“ ცნო ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად გადაცემაში, რადგან მისი მოსაზრებით, სიუჟეტი შეიცავდა უხამს შინაარსს[202]. კომუნიკაციების კომისიის ეს გადაწყვეტილება ეფუძნებოდა კანონმდებლობის არასათანადო ინტერპრეტაციას და ზღუდავდა გამოხატვის თავისუფლებას[203].

გარდა ამისა, საგულისხმოა, რომ გასული წლების მსგავსად, კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ კვლავ დააკისრა მაუწყებელს პასუხისმგებლობა არაწინასაარჩევნო პერიოდში[204]. მარეგულირებელმა მაუწყებელი დააჯარიმა პოლიტიკური რეკლამის განთავსების გამო, „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, რომლის მოქმედებაც პოლიტიკური შინაარსის რეკლამაზე არ ვრცელდება. სახალხო დამცველის შეფასებით, საქართველოს კანონმდებლობა არ შეიცავს არასაარჩევნო რეკლამის მარეგულირებელ წესებს და, შესაბამისად, პირდაპირ არ კრძალავს არასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური რეკლამის განთავსე-

---

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ვებგვერდი, 20.10.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/37dBWq3 განახლებულია 12.04.2022.

202. „საიას დახმარებით, „მთავარი არხი“ კომუნიკაციების კომისიის უფლებამოსილებას - მოახდინოს „უხამსი“ პროგრამების სანქცირება - საკონსტიტუციო სასამართლოში ასაჩივრებს“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ვებგვერდი, 29.03.2021 ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3LX1TZz, განახლებულია 12.04.2022.

203. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“, 2021, 177, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3JzQFsH განახლებულია 12.04.2022.

204. შპს „მთავარი არხისთვის“ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე, კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ვებგვერდი, 25.12.2021 ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3KGnUeW განახლებულია 12.04.2022.

ბას[205]. შესაბამისად, პასუხისმგებლობის დაკისრება არამართლზომიერად ზღუდავს გამოხატვის თავისუფლებას.

ცილისწამება, როგორც მედიის წინააღმდეგ ბრძოლის ახალი იარაღი

მედიის თავისუფლებაში ჩარევის კიდევ ერთ მცდელობად გვევლინება სასამართლოში ცილისწამების საფუძვლით მაუწყებლებისა და მედიის წარმომადგენლების წინააღმდეგ შეტანილი სარჩელები. საგულისხმოა, რომ უმეტეს შემთხვევაში, სარჩელები შეტანილია მაღალი პოლიტიკური თანამდებობის, პოლიციელებისა და „ქართულ ოცნებასთან“ სხვაგვარად დაკავშირებული პირების მიერ[206]. ეს გვაფიქრებინებს, რომ ხელისუფლება კიდევ ერთ გზას მიმართავს კრიტიკული მედიის თავისუფლების შესაზღუდად, ამჯერად - სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების მართლმსაჯულების ობიექტად ქცევის მცდელობებით.

რეკომენდაციები

საქართველოს პარლამენტს:

- მხარი არ დაუჭიროს 2021 წლის 13 ოქტომბერს ინიცირებულ საკანონმდებლო პაკეტს, რომელიც ითვალისწინებს ცვლილებების შეტანას საქართველოს საარჩევნო კოდექსსა და „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში;

საგამოძიებო ორგანოებს:

- დროული რეაგირება მოახდინონ და ეფექტიანად გამოიძიონ მედიის წარმომადგენლებისთვის პროფესიული საქმიანობის განხორციელებაში უკანონოდ ხელშეშლის და ძალის გადამეტების ფაქტები;

205. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“, 2021, 178, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3JzQFsH განახლებულია 12.04.2022.

206. იხ. https://bit.ly/3rstSJ8

- ბრალი წაუყენონ 5-6 ივლისის მოვლენების დროს მედიის წინააღმდეგ ძალადობის ორგანიზატორებს;
- უკანონო მოსმენებთან დაკავშირებით, დამნაშავეთა გამოვლენის მიზნით, აწარმოონ დროული, მიუკერძოებელი, ეფექტიანი გამოძიება.

კომუნიკაციების კომისიას:

- იმოქმედოს თავისი მანდატისა და კანონმდებლობის ფარგლებში, არ გააკეთოს კანონის საწინააღმდეგო განმარტებები და პატივი სცეს მედიის თავისუფლებისა და საზოგადოების ინფორმირების აღიარებულ სტანდარტს.

უსახლკარო პირები

უსახლკარობის მიზეზები საქართველოში

ამ სოფლიოში უსახლკარობის ძირითად მიზეზებად განიხილება სიღარიბე, უმუშევრობა, სოციალური უზრუნველყოფის ნაკლებობა, განათლების ნაკლებობა, სტიქიური უბედურებები, მავნე ნივთიერებების გამოყენება, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები, მიუწვდომელი საცხოვრებელი, ოჯახში ძალადობა[207].

საქართველოში უსახლკარობის გამომწვევი მიზეზების კვლევა წლებია, არ ხდება და სიტუაცია არ შეცვლილა არც მიმდინარე საანგარიშო პერიოდის განმავლობაში. სახელმწიფო არ ამუშავებს ინფორმაციას ქვეყანაში უსახლკარობის გამომწვევი ფაქტორების, უსახლკარობის მასშტაბების და ფორმების შესასწავლად[208]. ქვეყანაში არც ცენტრალურ და არც ადგილობრივ დონეზე დღემდე არ არსებობს არათუ უსახლკარობის გამომწვევი ფაქტორების შესახებ ინფორმაცია, არამედ - უსახლკარო პირთა ერთიანი მონაცემთა ბაზაც კი[209].

უსახლკარობასთან ბრძოლის სახელმწიფო პოლიტიკა

სახალხო დამცველი უთითებს, რომ სათანადო საცხოვრებლით დაკმაყოფილების მიზანს ადამიანის პირველადი მოთხოვნილებების უზრუნველყოფა წარმოადგენს. სათანადო საცხოვრებლის უფლების განხორციელებას არსებითი გავლენა აქვს ადამიანის სხვა ფუნდამენტური უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობაზე, თუმცა ის განსაკუთრებულადაა დაკავშირებული ადამიანის ღირსებასთან. სახალხო დამცველის მოსაზრებით, მიუხედავად იმისა, რომ სხვა ქვეყნების კონსტიტუციების მსგავსად, საქართველოს კონსტიტუცია ცალკე არ განსაზღვრავს სათანადო

207. Human Rights Careers, “10 Root Causes of Homelessness”. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3L8eSb2 [ბოლო ნახვა 20.04.2022].

208. იქვე.

209. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“, გვ. 229, 2021. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3OCOxnN [ბოლო ნახვა 20.04.2022].

საცხოვრებლით უზრუნველყოფის უფლებას, იგი დაცულია საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლით - ადამიანის ღირსების ხელშეუხებლობით[210]. საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, სახელმწიფო ზრუნავს ადამიანის ღირსეული საცხოვრებლით უზრუნველყოფაზე, რაც სოციალური სახელმწიფოს პრინციპის გამოვლინებაა[211].

სახელმწიფოს მიერ კონსტიტუციურად აღიარებული, ღირსეული საცხოვრებლით უზრუნველყოფის ვალდებულების მიუხედავად, წინა წლების მსგავსად[212], სახელმწიფოს საანგარიშო პერიოდშიც არ შეუმუშავებია კვლევის შედეგებზე დაფუძნებული უსახლკარობის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული პოლიტიკა. სახელმწიფო პოლიტიკის არარსებობის ფონზე, კვლავ პრობლემურია საცხოვრისის საჭიროების მქონე პირთათვის შესაბამისი სერვისების მიწოდება. უსახლკარობასთან საბრძოლველად, სახელმწიფოს ცენტრალიზებულად არ გააჩნია გრძელვადიანი საცხოვრისის უზრუნველყოფის სერვისები, ხოლო ცალკეულ მუნიციპალიტეტებში არსებული სერვისები საკმაოდ მწირია[213].

საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის თანახმად, რიგ მუნიციპალიტეტებში შეზღუდულია უსახლკარო პირთათვის გამოყოფილი საბიუჯეტო და ინფრასტრუქტურული რესურსები. წინა წლების მსგავსად, მიმდინარე პერიოდშიც თავშესაფრებსა და სოციალურ საცხოვრისებში მოთავსებული პირებისთვის არ არსებობს მხარდამჭერი პროგრამები, ხოლო ცალკეულ მუნიციპალიტეტებში არსებული პროგრამები არაეფექტიანია და ბენეფიციარების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას ვერ უზრუნველყოფს[214]. სათანადო საცხოვრისის სტანდარტის არარსებობის გამო კი, სოციალური საცხოვრებლით ფორმალურად დაკმაყოფილებულ ადამიანებს წლების განმავლობაში არაადეკვატურ პირობებში უწევთ ცხოვრება, რაც მათ ფიზიკურ და ფსიქიკურ

210. იქვე.

211. იქვე.

212. კოალიცია თანასწორობისთვის ანგარიში „დისკრიმინაციისგან დაცვის უფლების განხორციელება სხვადასხვა ჯგუფისთვის საქართველოში“, გვ.123, 2020. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3vzfkbx [ბოლო ნახვა 20.04.2022].

213. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“, გვ .229, 2021. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3OCOxnN [ბოლო ნახვა 20.04.2022].

214. იქვე, გვ. 229.

ჯანმრთელობაზე, საზოგადოებაში ინტეგრაციაზე მკვეთრად უარყოფით ზეგავლენას ახდენს[215].

უსახლკარობასთან ბრძოლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ხარვეზიანი კანონმდებლობა, რომელიც არ ითვალისწინებს სათანადო საცხოვრებლის საერთაშორისო დონეზე აღიარებულ გარანტიებს. ამ კუთხით, აღსანიშნავია უსახლკარო პირის ცნება, რომლის ბუნდოვანი ფორმულირება, საცხოვრისის საჭიროების მქონე პირთა არაერთ ჯგუფს გამორიცხავს კანონისმიერი რეგულირების სფეროდან და ეროვნული მასშტაბით ვერ ასრულებს საცხოვრისის ერთგვაროვანი სტანდარტების განმსაზღვრელ როლს[216].

უსახლკარო პირის ცნების არაკონსტიტუციურობაზე საკონსტიტუციო სასამართლოში დაობს საქართველოს სახალხო დამცველი. სარჩელის თანახმად, სადავოდ გამხდარი საკანონმდებლო რეგულაციით დადგენილი უსახლკარობის ცნება ბუნდოვანია და ამასთანავე, არ ასახავს რეალობაში არსებულ უსახლკარობის ყველა ფორმას, ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მიერ მიღებული უსახლკარო პირთა რეგისტრაციის წესი კი, უსახლკარო პირების დიდ ნაწილს, სათანადო საცხოვრისზე მისაწვდომობის უფლების გარეშე ტოვებს[217]. დადგენილებები, რომლებითაც განისაზღვრა მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე უსახლკარო ადამიანების რეგისტრაციის კრიტერიუმები, პროცედურა და მათი საცხოვრისით/თავშესაფრით უზრუნველყოფის წესი და პირობები, მხოლოდ 16 მუნიციპალიტეტს აქვს მიღებული[218] და თითოეულში უსახლკაროდ რეგისტრა-

215. სოციალური სამართლიანობის ცენტრი, „უსახლკარო ჯგუფების საცხოვრისით უზრუნველყოფის პრაქტიკა“, 2022, გვ. 26. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3y1JWpl [ბოლო ნახვა 22.04.2022].

216. კოალიცია თანასწორობისთვის ანგარიში „დისკრიმინაციისგან დაცვის უფლების განხორციელება სხვადასხვა ჯგუფისთვის საქართველოში“, გვ.123, 2020. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3vzfkbx [ბოლო ნახვა 20.04.2022].

217. საქართველოს სახალხო დამცველის ოფისი, „საქართველოს სახალხო დამცველმა საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა უსახლკარო პირთათვის სტატუსის მინიჭების წესის არაკონსტიტუციურად ცნობის მოთხოვნით“, 2021. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3v18EEo [ბოლო ნახვა 20.04.2022].

218. საქართველოს სახალხო დამცველის კონსტიტუციური სარჩელი, „ საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და სხვათა წინააღმდეგ“ კონსტიტუციური სარჩელი N1639, 2021. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3L4zcKu [ბოლო ნახვა 20.04.2022].

ციისა და საცხოვრისით უზრუნველყოფის კრიტერიუმები ერთმანეთისგან განსხვავდება, რაც ისედაც ფრაგმენტულ პოლიტიკას არაჰარმონიზებულსაც ხდის. აღსანიშნავია ისიც, რომ სახელმწიფოს მიერ უსახლკაროებისთვის შეთავაზებული ერთ-ერთი სერვისი, დროებითი თავშესაფარი (ე. წ. ლილოს თავშესაფარი), არათუ არ შეესაბამება საერთაშორისო კრიტერიუმებს, არამედ იგი წინააღმდეგობაშია სტანდარტებთან და კრძალავს თავშესაფრით სარგებლობას გარკვეულ მარგინალიზებულ პირთა ჯგუფებისთვის[219].

სახელმწიფო პოლიტიკის არარსებობასთან ერთად, წლებია, სახელმწიფო, უფრო კონკრეტულად კი თბილისის მერია, არათუ არ ებრძვის უსახლკარობას, პირიქით, ამკვიდრებს უსახლკარო პირთა საჭიროებების გათვალისწინების გარეშე მათ მიერ თვითნებურად მოწყობილი სახლების დემონტაჟის[220] და მათი ღია ცის ქვეშ დატოვების პოლიტიკას[221]. ასეთი დემონტაჟის განხორციელების დროს, მუნიციპალური სამსახურის მიერ არ ხდება მძიმე მეტეოროლოგიური პირობების, ასევე პანდემიის თუ სხვა გარემოებების მხედველობაში მიღება[222].

შესაბამისად, უსახლკარობა და მასთან ბრძოლის სახელმწიფო ერთიანი პოლიტიკის არარსებობა კვლავ გამოწვევაა ჩვენი ქვეყნისთვის. საანგარიშო პერიოდში ბევრ ადამიანს აწუხებს უსახლკარობასთან დაკავშირებული მძიმე უარყოფითი შედეგები, პასუხისმგებელი ორგანოები კი კვლავ ვერ ახერხებენ, ჩამოაყალიბონ ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკა და შექმნან პროგრამები, რომელიც მიზნად დაისახავს უსახლკარო ადამიანების უფლებების სრულ რეალიზებას და საზოგადოებაში ინტეგრირებას.

219. ასეთად განსაზღვრულია ალკოჰოლზე ან სხვა ნივთიერებებზე დამოკიდებული პირები. იხ.: კოალიცია თანასწორობისთვის ანგარიში „დისკრიმინაციისგან დაცვის უფლების განხორციელება სხვადასხვა ჯგუფისთვის საქართველოში“, გვ. 127, 2020. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3vzfkbx [ბოლო ნახვა 20.04.2022].

220. „ბულდოზერების გამოჩენას აფრიკის დასახლებაშიც ელოდებიან“, მთავარი არხის ვებგვერდი, 28.01.2022. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/396Vf55 [ბოლო ნახვა 20.04.2022]; „ან დამინგრევენ, ან გადავრჩები“, ღია საზოგადოების ფონდის ვებგვერდი, 27.12.2021. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/38a3QTR [ბოლო ნახვა 20.04.2022].

221. საიას განცხადება, „საია მოუწოდებს ქალაქის მერიას შეაჩეროს დემონტაჟის პროცესი და გაატაროს მხარდაჭერის პოლიტიკა“, 2020. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3JZy21v [ბოლო ნახვა 20.04.2022].

222. რადიო თავისუფლება, „ორხევში თბილისის მერიამ სახლები დაანგრია“, 2022. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3EviMZ7 [ბოლო ნახვა 20.04.2022].

რეკომენდაციები:

- საქართველოს პარლამენტმა საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოიყვანოს კანონმდებლობა უსახლკარო პირთა უფლებების სათანადო რეალიზებისთვის;
- საქართველოს მთავრობის, სახელმწიფო უწყებების, უსახლკარო ჯგუფების აქტიური მონაწილეობით, შემუშავდეს საცხოვრისის სახელმწიფო სტრატეგია და განისაზღვროს სათანადო საცხოვრისის სერვისის მიწოდების ერთიანი სტანდარტი და სამოქმედო გეგმა;
- საქართველოს მთავრობისა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტების აქტიური კომუნიკაციით, შემუშავდეს სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვების, დამუშავების, უსახლკარობის გამომწვევი მიზეზების იდენტიფიცირების ერთიანი მეთოდოლოგია
- დადგინდეს და გაიმიჯნოს ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების ფუნქციები საცხოვრისის სფეროში;
- მოხდეს საცხოვრისის არსებული სერვისების რევიზია და მოდიფიცირება;
- შემუშავდეს საცხოვრისის გრძელვადიანი სერვისების ჩამოყალიბება და მათი სტანდარტი.